

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

Students' Scientific Conference

საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები

European Integration Perspectives of Georgia

თბილისი

18 ნოემბერი, 2016

კრებული შედგენილია სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის "საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები" ფარგლებში წარმოდგენილი საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომებით.

The collection is composed of the best scientific works represented at students' scientific conference "European Integration Perspectives of Georgia".

სარედაქციო კოლეგია:

პროფ. შალვა მაჭავარიანი (მთავარი რედაქტორი), პროფ. თეიმურაზ ხუციშვილი, პროფ. რუსუდან ჩიქოვანი, პროფ. თემურ მაისურაძე, დოქტ. ნათია ჭიღვარია, თათია ღერკენაშვილი (რედაქტორის მოადგილე).

Editorial Board:

Prof. Shalva Machavariani (Editor-in-Chief), Prof. Teimuraz Khutsishvili, Prof. Rusudan Chikovani, Prof. Temur Maisuradze, Dr. Natia Tchighvaria, Tatia Gherkenashvili (Essociate editor).

გამომცემელი:

კავკასიის უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გამომცემლობა "რეგტაიმი"- თან თანამშრომლობით.

Publisher:

Caucasus University, East European University, Friedrich-Ebert-Stiftung, by the collaboration with "Ragtime".

პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის ხელშეწყობით.

Project was supported by the Friedrich-Ebert-Stiftung Foundation.

Friedrich-Ebert-Stiftung Foundation

Caucasus University

East European University

Ragtime

შინაარსი

წინათქმა	5
ელენე გოცაძე <i>მითები და რეალობა საქართველოს ევროინტეგრაციის კვალდაკვალ</i>	7
თათია უბერი <i>საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები სამოქალაქო სამართალწარმოებაში</i>	20
ბაკურ მგელიაშვილი <i>საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივები და გამოწვევები</i>	32
თინათინ ნიბლოშვილი <i>არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო გარემო საქართველოში და მისი გავლენა ევროპულ ინტეგრაციაზე</i>	41
ნათია სონღულაშვილი <i>გოგონათა ნადრევი ქორწინება, სოციალური თუ კრიმინოლოგიური პრობლემა</i>	54
ირაკლი შამათავა <i>პირგასამტეხლოს ბედი სააღსრულებო წარმოების პროცესში</i>	66
ნოდარ ქვარაია <i>საქართველოს რელიგიურ-კულტურული ინტეგრაცია ევროპაში</i>	80
ქეთევან ავალიშვილი <i>საბანკო ანგარიშების მონიტორინგი როგორც საგამოძიებო მოქმედება</i>	98
სოფიკო კოდუა <i>ხარისხიანი პროფესიული განათლება - გზა ევროინტეგრაციისკენ</i>	112
თამარ გვასალია <i>ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს სტანდარტები სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებისას</i>	127
ეთერ ბურჯანაძე <i>არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია (აღდგენითი მართლმსაჯულების ეფექტურობა არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით)</i>	154

Content

Preface	5
Elene Gotsadze <i>Myths and Reality on the Path of Georgia's European Integration</i>	7
Tatia Uberi <i>Instigation of Complaints and the Admissibility Conditions/Requirements for the Cassational Appeal under the Civil Procedure Code</i>	20
Bakur Mgliashvili <i>Georgia's Integration Perspectives and Challenges into NATO</i>	32
Tinatin Nibloshvili <i>Working Environment for Non-Governmental Organizations in Georgia and its Influence on European Integration</i>	41
Natia Songhulashvili <i>Early Marriage of Girls Social Problem or a Crime</i>	54
Irakli Shamatava <i>The Fate of the Penalty in Enforcement Process</i>	66
Nodar Kvaraia <i>Georgia's Religious-cultural Integration in Europe</i>	80
Ketevan Avalishvili <i>Bank Account Monitoring as an Investigative Action</i>	98
Sofiko Kodua <i>Qualitative Vocational Education - the Way to the European Integration</i>	112
Tamar Gvasalia <i>The Standards of European Human Rights Court Thought the Covert Investigation and Telephone Surveillance</i>	127
Eter Burjanadze <i>Diversion and Mediation Program for Juveniles (The effectiveness of Restorative Justice compared with Criminal Liability)</i>	154

წინათქმა

კონფერენციის მხარდამჭერის - ფრიდრიხ ებერტის ფონდისა და ორგანიზატორების: კავკასიის უნივერსიტეტის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრის მიერ განხორციელებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში: "საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები" მონაწილეობენ საქართველოს უნივერსიტეტების სამართლის, ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები.

კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს შემოქმედებითი უნარების მქონე კვალიფიციურ სპეციალისტებად და ინოვატორ მკვლევარებად ჩამოყალიბებაში.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტისა და სექციების მოდერატორების მიერ შეირჩა ორიგინალური იდეებით გამსჭვალული საუკეთესო სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც წარმოდგენილია წინამდებარე კრებულში.

საორგანიზაციო კომიტეტის სახელით კონფერენციის მონაწილეებს მრავალ წარმატებას ვუსურვებთ მათ მომავალ საქმიანობაში.

აღსანიშნავია, რომ წლებანდელი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, როგორც გასულ წლებში ჩატარებული ანალოგიური სტუდენტური სამეცნიერო ფორუმები განხორციელებულია საქართველოში ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობისა და მისი ხელმძღვანელის, ქალბატონ ია თიკანაძის ძალისხმევით, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ.

შალვა მაჭავარიანი

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი
სამეცნიერო დარგში

Preface

Students' Scientific Conference "European Integration Perspectives of Georgia" supported by the Friedrich Ebert Foundation and carried out by organizers: Caucasus University, East European University, Institute of Public Affairs, European Youth Centre, masters and Ph. D students from the following faculties - Law, Economics, Business Administration, Public Administration and Social Science are participating.

The conference aim is to promote the masters and Ph. D students become creatively skilled, qualified specialists and innovative researchers.

Conference Organizing Committee and section moderators selected best students scientific papers, that are presented in this collection.

On a behalf of the organizing committee we wish the participants of the conference success in their future endeavors.

It should be noted that this year's scientific conference, as previous forums implemented in previous years, are carried out by the effort of the Friedrich-Ebert-Stiftung Foundation and its' head, Ms. Ia Tikanadze, for what we are grateful.

Shalva Machavariani

Doctor of Science, Prof.
Vice-President of Caucasus University in Science Affairs

მითები და რეალობა ევროპული ინტეგრაციის კვალდაკვალ



ელენე გოცაძე

დოქტორანტი

შესავალი

საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბებისა და მისი სტაბილური განვითარების ღერძი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაზე გადის. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტებს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს.

ინტეგრაციის პროცესს აქვს სხვადასხვა განზომილება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საქართველოს შემთხვევაში წარმატებული ასპექტი გახლავთ საზოგადოების მზარდაჭერა ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ. მყარი და გაცნობიერებული მზარდაჭერა გახლავთ ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც თავად ინტეგრაციის პროცესის შეუქცევადობასა და საბოლოო წარმატებას განაპირობებს.

საზოგადოებრივი აზრი კომპლექსური საკითხი გახლავთ. მარტივად ის შეიძლება დავყოთ რაციონალურ/ინფორმაციულ და ფსიქოლოგიურ/ემოციურ კომპონენტებად. რაციონალურ/ინფორმაციული მოითხოვს საზოგადოებასთან მუდმივ კონტაქტს, სწორად დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიის წარმართვასა და მაქსიმალურ სიფრთხილეს, ხოლო ფსიქოლოგიურ/ემოციური დამოკიდებულება შედარებით მყიფე და რისკის შემცველია.

ნაშრომში სწორედ ამ საკითხებზე გავამახვილებ ყურადღებას, შევეცდები გამოვყო პრობლემური საკითხები, გავაანალიზო საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგები და არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შევავსო საზოგადოების განწყობებზე ზემოქმედების შესაძლებლობები.

ნაწილი 1: ევროინტეგრაციის პროცესში საზოგადოების გაცნობიერებული მხარდაჭერის მნიშვნელობა


საზოგადოებრივი აზრის კვლევას, როგორც სოციალური მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, დაახლოებით ორი საუკუნის ისტორია აქვს. ის პირველად 1824 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნების წინ გამოიყენეს. მას შემდეგ საზოგადოებრივი აზრის კვლევის ტექნოლოგიები თანდათანობით დაიხვეწა და უმნიშვნელოვანესი დანიშნულება შეიძინა. ის გავლენას ახდენს როგორც პოლიტიკურ და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე, ასევე კერძო კომპანიების მარკეტინგულ ინტერესებზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევა არ არის ზუსტი მეცნიერება, მაგრამ მათთვის, ვინც გადაწყვეტილებას იღებს და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას ქმნის, კვლევის შედეგების გათვალისწინება საბოლოო წარმატების მისაღწევად სერიოზულ წინაპირობას წარმოადგენს.

რატომ არის საჭირო კვლევის შედეგების გათვალისწინება? სრულფასოვან და ფართომასშტაბიან კვლევაში საზოგადოება დაყოფილია სხვადასხვა ჯგუფებად იმ მიზნით, რომ კვლევა ამა თუ იმ საკითხისადმი მთლიანად საზოგადოების დამოკიდებულებას ასახავდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები ერთგვარად ხალხის ხმას წარმოადგენს. ხალხის ხმის მოსმენა და გააზრება კი აუცილებელია პოლიტიკის შემუშავების, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შედგენისა და მისი განხორციელების ყველა ეტაპზე. დემოკრატიული მართვა სწორედ იმით განსხვავდება სხვა ტიპის მართვისაგან, რომ მოქალაქეების აზრი და დამოკიდებულება არის გადამწყვეტი. სამოქალაქო კონტროლის განხორციელება დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების ვალდებულებაა. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, გყავდეს ხელისუფლება, რომელსაც აქვს ნება მოისმინოს ხალხის ხმა, გააცნობიეროს საზოგადოების დამოკიდებულებები და განსაზღვროს ტენდენციები და მეორეს მხრივ, გყავდეს ძლიერი და ეფექტიანი სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც შესწევს უნარი მოახდინოს კონსოლიდირება და განახორციელოს ხელისუფლების ეფექტიანი კონტროლი. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივი აზრის კვლევას ჩვენ არ აღვიქვამთ სერიოზულად. არადა, თუ შევძლებთ შედეგების სწორად წაკითხვას, დასკვნების გამოტანას, შესაბამისად ქცევაში მათ გათვალისწინებას, ბევრი პრობლემის თავიდან არიდება და გადაჭრაც კი გახდება შესაძლებელი.

ვინაიდან საქართველოს ევროინტეგრაციის შეუქცევადობის წინაპირობა და ერთგვარი გარანტი საზოგადოების არჩევანი გახლავთ, საინტერესოა შესაბამისი

საზოგადოებრივი კვლევების ანალიზი და მათი შედეგების შედარება. ქვემოთ მოცემულია 2012-2016 წლებში ორი ორგანიზაციის (საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი/IRI (დიაგრამა N1) და ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი/NDI (დიაგრამა N2)) მიერ რეგულარულად განხორციელებული წარმომადგენლობითი კვლევები ქვეყნის მასშტაბით. ცდომილების ხარისხი არ სცილდება +/-1.6%. კვლევების შედეგების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოქალაქეების გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნულ ინტეგრაციის პროცესების მიმართ სტაბილურად პოზიტიურია და ის მერყეობს 60-80%-ს შორის.

უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას? IRI




საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი - IRI

დიაგრამა N1

წყარო: http://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/georgia_2016.pdf

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (q42)



დიაგრამა N2

წყარო: <https://www.ndi.org/NDI-poll-georgian-voters-june-2016>

მინდა, ყურადღება გავამახვილო კიდევ ერთ საინტერესო ასპექტზე. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ კვლევაში შეინიშნება ერთი თვალშისაცემი ცვლილება: ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხთა ჩამონათვალში „ტერიტორიული მთლიანობა“ პირველ სამეულში არ დაფიქსირდა. ის მოხვდა მეოთხე საკითხად „სამუშაო ადგილების“, „ფასების ზრდისა“ და „სიღარიბის“ შემდეგ. წინა კვლევებში „ფასების ზრდა/ინფლაცია“ ტრადიციულად მეექვსე ადგილს იკავებდა. ვფიქრობ, ეს არ არის მოულოდნელი შედეგი, ვინაიდან გამოკითხვა ჩატარდა 2015 წლის 27 მარტის-19 აპრილის პერიოდში, როცა საქართველოში სხვადასხვა შიდა და გარე ფაქტორების შედეგად, ეროვნული ვალუტის მკვეთრ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი. ეს კი პირდაპირ აისახა მოქალაქეების კეთილდღეობისა და სტაბილურობის ხარისხზე და შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების და სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესმა საკითხმა დევალვაცია განიცადა.

ინსტიტუტებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების ანალიზი გვამღევეს საშუალებას, დავინახოთ რამდენად ჭარბობს ეროვნული და პატრიოტული ასპექტები - ყოფითს. დამეთანხმებით, საქართველოს მდგომარეობაში ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ყველა კვლევაში, ტრადიციულად, პირველ ოთხეულში სანდოობის კრიტერიუმით სახელდება ეკლესია, ჯარი, მედია და პოლიცია. ეკლესიისადმი ასეთი

მაღალი სანდოობა ბუნებრივია. ეს მიანიშნებს, რომ დღეს და უახლოეს პერსპექტივაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში გადაწყვეტი ფუნქცია ეკლესიას ექნება. რაც შეეხება ჯარისადმი ასეთ მაღალ ნდობას, ეს დამოკიდებულება სახელმწიფოებრიობისათვის უმნიშვნელოვანესია. თუმცა, ეს ბუნებრივ მოცემულობად და კრედიტად არ უნდა მივიჩნიოთ. საჭიროა მუდმივად მუშაობა საზოგადოების ცნობიერებაში ჯარის ღირსებისა და პოზიტიური დამოკიდებულების გასაძლიერებლად. საინტერესოა, როგორი იქნება მომავალში სახელმწიფო ინსტიტუტების რეიტინგი მზარდი ანტიდასავლური კამპანიისა და ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინებით.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, საზოგადოებრივი აზრის კვლევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორი და ეფექტიანი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. დამდგარ შედეგებს, რა საკვირველია, ახსნა აქვს. შეიძლება, ვთქვათ, რომ ქვეყანაში შექმნილი რთული და არაპროგნოზირებადი გარემო მოსახლეობას აძლევს საშუალებას, რომ საქართველოს ასგზის არჩეულ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსს ალტერნატივა მოუძებნოს - იქნებ მეტი სარგებელი სხვაგანაა? და თუ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი საზოგადოებისათვის პრიორიტეტულ საკითხთა ჩამონათვალიდან თანდათანობით გაქრა, მაშინ ეკონომიკური სარგებელის მიღების მეტი შესაძლებლობა იქნებ სწორედ ევრაზიულ კავშირშია? ეს ტენდენცია კი იკვებება იმ ერთი შეხედვით უწყინარი უცხოური სატელევიზიო არხებით, რითიც საზოგადოების დეზინფორმაცია და ანტიდასავლური განწყობების მომძლავრება ხდება.

კვლევები და არჩევნები (ან რეფერენდუმი) ორივე საზოგადოების შეხედულებებისა და დამოკიდებულებების გამოვლენის საშუალებაა. ხშირად მათი შედეგები ერთმანეთისგან განსახვავებულია. კვლევების შედეგები არ წარმოადგენს შესაბამისი გადაწყვეტილების გარანტიას. მაგალითად, შესაძლებელია საზოგადოებრივი კვლევების შედეგების მიხედვით ესა თუ ის საზოგადოება მკვეთრად ევროპული ინტეგრაციისა და ღირებულებების მომხრე იყოს და არჩევნებში პრო-ევროპული პარტია დამარცხდეს. რატომ? პასუხი შეიძლება სხვადასხვა იყოს. თუმცა ვფიქრობ, აქ გადაწყვეტია ის, რომ კვლევა ხორციელდება კონკრეტულ დროში და ის წარმოადგენს ადამიანების დამოკიდებულებების ინდიკატორს, რომელსაც კონკრეტული ქმედებები არ ახლავს. არჩევნების შემთხვევაში კი მოქალაქე გადაწყვეტილებას იღებს და მან იცის, რომ მის არჩევანს კონკრეტული შედეგები მოყვება. სწორედ აქედან (და არა მარტო) გამომდინარეობს სხვაობა არჩევნებისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს შორის.

ნაწილი 2: მითები - საზოგადოების დეზორიენტირების ეფექტური საშუალება

საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში (ისევე როგორც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში) გაწევრიანება არ არის ჩვენი თაობის ახირება. ეს არის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გამყარების გზა, რაც თვითმიზანი და ვალდებულებაა. ინტეგრაციის პროცესი, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები უკვე გავდივართ გრძელვადიანი პროცესია და ვადების დათქმა, თუ როდის გავხდებით ამა თუ იმ ალიანსის წევრი, მხოლოდ ვარაუდებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. მთავარია, პროცესი განვითარდეს და არავის მივცეთ უფლება და საშუალება, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ჩვენივე არჩევანი.

დღეს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი კრიტიკულად მნიშვნელოვან ფაზას გადის, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ გამოცდილებისგან, რაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა წარმატებით გაიარეს.

რა არის ის ფაქტორი, რაც ასე ართულებს საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებას? პირველი, რაც გვახსენდება, არის შეცვლილი გეოპოლიტიკური გარემოებები, არაპროგნოზირებადი მოთამაშეები, გაცილებით აგრესიული და ასევე არაპროგნოზირებადი მოთამაშე - რუსეთის ფედერაციის სახით, ისლამური სახელმწიფოს სწრაფვა ხალიფატის შექმნისაკენ, არაპროგნოზირებადი მიგრაცია, სკეპტიციზმის ზრდა და ასე შემდეგ. ასევე, უნდა აღინიშნოს კონვეციური ომების ტრადიციული ხასიათიდან არაკონვენციურ ომებზე გადასვლის ტენდენცია. კიბერ-ომები და საინფორმაციო ომები დაპირისპირებულ სახელმწიფოებს შორის ურთერთობების ჩვეულებრივ ქმედებებად იქცა.

საქართველოში ევროპული ინტეგრაციის პროცესი ანტიდასავლური კამპანიის თანხლებით მიმდინარეობს. ამ პროცესში მძლავრად იჩინა თავი რუსული რბილი ძალის სხვადასხვა ასპექტებმა. მათ შორის, მიმზიდველმა საგანმანათლებლო პროექტებმა, კარგად შეფუთულმა მედია-პროექტებმა, მომხიბვლელმა ეკონომიკურმა და სამრეწველო პროექტებმა და ასე შემდეგ. ანტიდასავლური იდეოლოგიის მესვეურების ხელში არსებული ერთ-ერთი იარაღი სწორედ ცრუ ღირებულებებით მანიპულირება და მითების გავრცელებაა.

და მაინც, რა არის მითი? მითი არის პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი მექანიზმი. მას კონკრეტული ავტორი არ ჰყავს. ის ვრცელდება სწრაფად და რაც უფრო სახალხო ხდება, მით მეტად ძლიერი და გავლენიანი ესა თუ ის მითი. „თუ ტყუილს

გავიმეორებთ ათასჯერ, ის სიმართლედ იქცევა“- თქვა გებელსმა, რომელიც ფაშისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრი იყო. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ სიმართლე და სიცრუე ერთი ფაქტის ორი მოცემულობა იყო. მან ასევე კარგად იცოდა, რომ მითი, რომელიც მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურ ანალიზზეა აგებული, უნდა იყოს მარტივი, ადვილად დასამახსოვრებელი და ფართო მასისათვის მისაღები. ფაშისტური რეჟიმის საინფორმაციო პოლიტიკა ისევე, როგორც კომუნისტური, გათვლილი იყო ადამიანის ბუნებაზე, რომელიც მიდრეკილია დაიჯეროს სიცრუე, თუ მას ამას ხშირად გაუმეორებენ. ერთი ცხადია, პროპაგანდის მთავარი იარაღი არის მითი, რომელიც ათასჯერ უნდა გაიმეორე, სანამ ის „სიმართლედ“ არ იქცევა. მას ასევე აქვს “ექოს“ ეფექტი, ანუ მას შემდეგ, რაც მითი მოისმინა და მიიღო ასმა ადამიანმა, ის თვითონ გახდა გამავრცელებელი და უბრალო ადამიანისგან მოსმენილი ფართო საზოგადოებისთვის გაცილებით მისაღებია, ვიდრე ცნობილი პოლიტიკოსისაგან ან საზოგადო მოღვაწისაგან მიწოდებული ფაქტი. ასე ებმება ფართო საზოგადოება პროპაგანდისტულ ომში. თუ ადრე მითების გავრცელებისათვის მნიშვნელოვანი იყო ტრიბუნა და ორატორული უნარები, დღეს ეს აუცილებელი აღარ არის. საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებითა და სოციალური მედიის წყალობით უავტორო მითები ადვილად იკიდებს ფეხს საზოგადოებაში, განსაკუთრებით ზედაპირულ საზოგადოებაში, რომელიც თავისი განვითარების ვექტორს მხოლოდ წარსულთან დაკავშირებულ ცრუ ღირებულებებზე აგებს.

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია დაკავშირებულია ღირებულებებისა და ფასეულობების საკითხთან და მას აქვს კულტურული და ეკონომიკური ასპექტები. ნატოში გაწევრიანების საკითხი კი უფრო მეტად ასოცირდება უსაფრთხოებასა და ტერიტორიულ მთლიანობასთან. შესაბამისად, ანტიდასავლური ხასიათის მითები შეიძლება, დავაჯგუფოთ შემდეგ სამ კატეგორიად: კულტურულ-რელიგიური, ეკონომიკური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული.

ერთ-ერთი მითის მიხედვით, ჩვენი კულტურული იდენტობა და თვითმყოფადობა ევროინტეგრაციის შემთხვევაში დაკარგვის საფრთხის ქვეშ დგება. სინამდვილეში, ევროკავშირში ყველაზე კარგად არის წარმოჩენილი მისი წევრი და პარტნიორი ქვეყნების კულტურული მრავალფეროვნება. არავინ განიცდის კულტურულ შევიწროვებას, ბრძოლას ტრადიციების წინააღმდეგ. რაც შეეხება ენას, ევროკავშირს 24 ოფიციალური ენა აქვს. ქართული ენა, ისევე როგორც კულტურა, ფოლკლორი და ტრადიციები, უფრო მეტ გასაქანს ნახავენ ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის შედეგად. ფაქტია, რომ

ქართული ენა რეალური საფრთხის წინაშე 1978 წლის 14 აპრილს დადგა, მაშინ როცა საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმება განიზრახა. მაშინ შეტევა, სწორედ ქართული ენის წინააღმდეგ განხორციელდა, რადგან მართლმადიდებლური ეკლესია, პრაქტიკულად, განადგურებული ჰქონდა.

შემდეგი მგრძობიარე მითი, სწორედ მართლმადიდებლური რელიგიის გავლენისა და სიძლიერის შესუსტებას უკავშირდება. სინამდვილეში, ევროკავშირში გაწევრიანებული არიან მართლმადიდებლური სამყაროს ისეთი მნიშვნელოვანი ქვეყნები, როგორცაა საბერძნეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ბულგარეთი. შესაბამისად, ევროკავშირში გაწევრიანებას ზემოაღნიშნული ქვეყნების მართლმადიდებლური ეკლესიისათვის რაიმე სახის საფრთხე არ შეუქმნია. თუ ზემოაღნიშნულ ქვეყნებში არ დამდგარა ასეთი პრობლემა, რატომ უნდა დადგეს საქართველო ამ საფრთხის წინაშე? სამწუხაროდ, მეხსიერება გვალატობს და გვაზიწყდება გადაღებილი და იარაღის საწყობებად ქცეული ეკლესიები, დახვრეტილი და რეპრესირებული სასულიერო პირები.

შიში ერთსქესიან ქორწინებასთან დაკავშირებით ყველაზე აქტუალური მითია, თუმცა, რატომ არის ეს ევროპული ღირებულება, ან „ევროპული სენი“- ახსნა არ აქვს. რეალურად, ევროკავშირის უმეტეს ქვეყანაში არ არის დაშვებული ერთსქესიანთა ქორწინება. ერთსქესიანთა ქორწინება არ წარმოადგენს ევროკავშირის წევრობის მოთხოვნას და არაფერი აქვს საერთო ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

ასევე, მნიშვნელოვანია ეკონომიკური ხასიათის მითები. ერთ-ერთი მათგანი ევროკავშირთან ინტეგრაციის შედეგად სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის შესაძლებლობების დაკარგავს უკავშირდება. სინამდვილეში, თუ საქართველოს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების სხვა ქვეყნებთან შენარჩუნება სურს (მათ შორის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან) ეს შესაძლებელია ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის შემდეგაც. საქართველოს რჩება შესაძლებლობა, თავად განსაზღვროს საკუთარი სავაჭრო სივრცე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შეუძლია ჰქონდეს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან, ის ვერ გახდება ნებისმიერი სხვა ქვეყნების მონაწილეობით შექმნილი საბაჟო კავშირის წევრი. საბაჟო კავშირში გაწევრიანების შემთხვევაში საქართველო იძულებული იქნება აწარმოოს ამ კავშირის გადაწყვეტილებების შესაბამისი სავაჭრო პოლიტიკა და შემოიღოს მისი საბაჟო ტარიფები, რაც შეუძლებელს გახდის ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობაზე ორმხრივი შეთანხმების არსებობას.

დაბალი თვითშეფასება, რომ ჩვენი პროდუქცია ვერ იქნება კონკურენტუნარიანი და წარმატებული ევროპულ ბაზარზე, ასევე მიუღებელია. პროდუქტი უნდა იყოს ხარისხიანი, პირველ ყოვლისა, ჩვენი მოქალაქეებისათვის. რაც შეეხება, ევროპულ ბაზარს, ეს ხომ 500 მილიონი მოქალაქის ბაზარია, რომელიც ასევე მაღალი მსყიდველუნარიანობით გამოირჩევა და მის საპირწონედ ნაცნობი რუსული ბაზარი, რომელიც ღიაა უხარისხო პროდუქციისათვის, რა საკვირველია, არ გამოდგება.

ასევე, ყურადსაღებია მითები, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრიანებას უკავშირდება. მაგალითად, საინტერესოა მოსაზრება, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო ბაზები განთავსდება. ეს მოსაზრება აბსოლუტურად მოკლებულია რეალობას. პირველი, ნატოს არ ჰყავს ჯარი. მას აქვს სამხედრო სტრუქტურა და მის სამხედრო შესაძლებლობას წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალები წარმოადგენს, რომელიც მშვიდობიანობის დროს თავისი ქვეყნის ხელმძღვანელობის მართვის ქვეშ იმყოფება. ამასთან, საქართველოს შეიარაღებული ძალები გაწევრიანებს შემდეგ თავად იქნება ნატოს შემადგენელი ნაწილი და ეროვნული სამხედრო ბაზა, ასევე, იქნება ნატოს სამხედრო ბაზა. მეორე, თუ რა ტიპის შეიარაღებულ დანაყოფს მოითხოვს საქართველო, სად დაჭირდება მას დახმარება, ამას მთლიანად ეროვნული ხელისუფლება განსაზღვრავს და ითხოვს.

ჩვენი ევროპული სწრაფვის (როგორც ნატოში, ასევე ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში) ერთ-ერთ საფრთხედ აღიქმება ოკუპირებული ტერიტორიების საბოლოოდ დაკარგვა, რაც არა მხოლოდ სიცრუე, არამედ შეურაცმყოფელია. ხაზი უნდა გაესვას, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები არის სერიოზული გამოწვევა და დაბრკოლება არა მხოლოდ ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის, არამედ ქვეყნის განვითარებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით. საქართველო საერთაშორისო ორანიზაციებთან მოლაპარაკებებისას წარმოდგენილია საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებით, რაც გულისხმობს საქართველოს მისი შემადგენელი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებით. ამასთან, გვაქვს ფაქტი რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არა თუ გერმანია იყო ორად გაყოფილი, არამედ მისი დედაქალაქის, ბერლინის შუაგულში იყო აგებული გამყოფი კედელი. თუმცა, ისტორიული სამართალი აღდგა, კედელი დაინგრა და გაერთიანებული გერმანია დღეს ნატოსა და ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ძლიერი სახელმწიფოა. ნატოში გაწევრიანება არის ის შესაძლებლობა, რომელსაც მოაქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცება და ცხოვრების სტანდარტების ამაღლება. მითები მომავალშიც,

გაგრძელდება. ისინი ადგილს იქ პოულობენ, სადაც დაბალია საზოგადოების განათლებისა და ინფორმირებულობის დონე, არის მძიმე სოციალური ფონი და საზოგადოებას „შეჩვეული ჭირი ურჩევნია“ ახალ შესაძლებლობებს.

ის, რომ თანამედროვე ევროატლანტიკური სივრცე მძლავრი ანტიდასალური საინფორმაციო კამპანიის წნეხის ქვეშ იმყოფება, ფაქტია. ამის საპირწონედ სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხებზე მეტი ფიქრისა და მსჯელობის ტენდენცია ვითარდება, თუმცა რა არის სტრატეგიული კომუნიკაცია, მაინც ბუნდოვანია. არის ეს ახალი ტიპის კომუნიკაცია, თუ არის კომუნიკაცია, რომელმაც დღეისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა? ორივე შემთხვევაში საჭიროა საზოგადოებრივი ძალებისა და ძალისხმევის კონსოლიდირება, რათა ჩვენი თაობის პრივილეგია - საქართველოს ევროპულ ოჯახში დაბრუნება შეუქცევადად განვითარდეს.

დასკვნა

ზემოთ შევეცადე წარმომეჩინა საზოგადოების მხარდაჭერის მნიშვნელობა ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების გზაზე, თუმცა საზოგადოებრივ განწყობებს საშინაო პოლიტიკაშიც კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ მნიშვნელოვანია, პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში მუდმივად გავითვალისწინოთ მოქალაქეების ფსიქოლოგიური პორტრეტი, საწყისი ეტაპი, შესაძლო გარემოებები, სასურველი შედეგები, შესაძლო რისკი და შესაბამისად დაიგეგმოს ესა თუ ის სტრატეგია მიზნის მისაღწევად.

რაც შეეხება, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, ფაქტია, რომ საქართველო იმყოფება ჰიბრიდული ომის პირობებში. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ისტორიული გამოცდილება, არამედ დასკვნები ჩვენივე უახლესი წარსულიდან გავაკეთოთ. კერძოდ: ემოციური და ზედაპირული კამპანია ქმნის საზოგადოების მაღალ, მაგრამ მყიფე მხარდაჭერას, აჩენს არარეალისტურ განწყობებს და შესაბამისად წარმოადგენს რისკს. მყიფე მხარდაჭერა გარე ფაქტორების ზეწოლის შედეგად ადვილად შეიძლება შეიცვალოს, მაშინ როცა გაცნობიერებული მხარდაჭერა გაცილებით მყარი და ღირებული შეიძლება იყოს.

ასევე, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ რომ მითები, რომელიც გამოირჩევა სიმარტივით, ადვილად დასამახსოვრებელია და გათვლილია ზედაპირულ ან განვითარებად საზოგადოებაზე, შეიძლება მოწინააღმდეგის შემთხვევაში სერიოზულ იარაღად იქცეს და მისდამი უყურადღებობის შემთხვევაში შესაძლებელია

საზოგადოებრივი აზრისა და განწყობების დეზორიენტირების საფრთხე დადგეს. ამისათვის საჭიროა ყველა არსებული მექანიზმების პროქტიულად ამოქმედება, ეროვნული მედია საშუალებების ხელშეწყობა, საინფორმაციო პოლიტიკის სწორხაზოვნება და ყველა მნიშვნელოვან აქტორის კოორდინირებული მუშაობა.

და ბოლოს, 21-ე საუკუნე სწრაფად მიმდინარე და ტექნოლოგიურად ცვალებადი ასწლეულია. ეს არის პერიოდი, როცა იგებს ის ვინც ფლობს ინფორმაციას და ყურს უგდებს საზოგადოების განწყობებს. ამიტომ, ამ ეტაპზე ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტების განხორციელების გზაზე საჭიროა სწორად წარვმართოთ საინფორმაციო პოლიტიკა და საზოგადოების მხარდაჭერა ჩვენ ხელთ არსებულ მომგებიან და მყარ კრიტერიუმად ვაქციოთ.

დღეს ყველამ დავინახეთ, რომ საზოგადოების მაღალი და სტაბილური მხარდაჭერა ევროპული ინტეგრაციის მიმართ არ არის ის მოცემულობა, რომლითაც კმაყოფილი უნდა ვიყოთ. საფრთხე განსაკუთრებით მაშინ იზრდება, როცა ეკონომიკურად არასახარბიელო გარემოა ქვეყანაში; როცა ქვეყანა ეკონომიკური აღმასვლისა და ზრდის ფაზაში იმყოფება, საზოგადოება უფრო მყარად დგას ევროპული ინტეგრაციის რელსებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთი ჩვენთვის რთულად მიღწევადი, მაგრამ პროგრესია, ხოლო ევრაზიული კავშირი (ანუ მოდერნიზებული საბჭოთა კავშირი) - ჩვენი გაჭირვების თავშესაფარი და რეგრესი. ტენდენცია ნათელია. რაც შეეხება ჩვენს ევროპულ გზას, რომელსაც ყველა ერთად გავდივართ, მეტი სიფრთხილე და წინდახედულება ჭირდება.

გამოყენებული ლიტერატურა

Max Haller (2008), *European Integration as an Elite Process: The Failure of a Dream?*
New York: Routledge

Angelika Scheuer (2005), *How Europeans See Europe: Structure and Dynamics of European Legitimacy Beliefs.* *Amsterdam University Press.*

ზვიად ავალიანი (2011) „ლიბერტარიანული სახელმწიფო და „ეკონომიკაში ჩაურევლობის“ მითი“. *გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“*.

ელენე გოცაძე, თამარ მედულაშვილი (2015), „ნატო და ევროკავშირი - საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები“. *ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი*

მითები და რეალობა საქართველოს ევროინტეგრაციის კვალდაკვალ

ელენე გოცაძე

დოქტორანტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მიზანი - ნაშრომის მიზანია საზოგადოების განწყობებსა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელებას შორის პირდაპირი კავშირის წარმოჩენა. ასევე, ხაზგასმულია ევროინტეგრაციის პროცესის წარმატებით განხორციელების კუთხით მზარდი ანტიდასავლური კამპანიის ნეგატიური გავლენა.

სტრუქტურა/ მეთოდოლოგია/მიდგომა- აღნიშნული სტატიაში გამოყენებულია რამდენიმე საზოგადოებრივი კვლევის შედეგები და მათი შედარებითი ანალიზი; ღია წყაროებში გამოქვეყნებული და პოპულარული მითები განზოგადებულია საზოგადოების დეზორიენტაციის ჭრილში.

დასკვნა - ევროპული ინტეგრაციის წარმატებული განხორციელება პირდაპირ უკავშირდება საზოგადოების განწყობებსა და დამოკიდებულებებთან. შესაბამისად, საზოგადოების განწყობების მართვას და ეფექტურ საინფორმაციო პოლიტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

თემის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა - ძირითადი სისუსტე სტატიის სუბიექტური ხასიათია, რაც თავის მხრივ ავტორის გამოცდილებებსა და მოსაზრებებზეა აგებული.

სიახლე/ღირებულება - სტატიაში განხილული პრობლემა არ არის მხოლოდ საქართველოსთვის აქტუალური და ენათესავება აღმოსავლეთ/ცენტრალური ევროპის ქვეყნებში შექმნილ ვითარებას. ის მომავალში შეიძლება მასშტაბიანი საერთაშორისო კვლევის კომპონენტად იქცეს.

Myths and reality on the path of Georgia's European Integration

Elene Gotsadze

PhD Student

Tbilisi State University

Abstract

Purpose – This paper aims to demonstrate a direct linkage between the public attitudes and implementation of country's foreign policy priorities. A risk of the negative influence of increasing anti-western propaganda is also underlined.

Design/ methodology/approach – In this paper the results of various public opinion surveys have been used and analysed. Besides, the popular myths spread over the general population is generalized in the context of disorientation of society.

Findings – The successful implementation of the process of Eurointegration is directly linked to the attitudes of the society. Thus, on the way of implementation of the foreign policy priorities to manage the public expectations and to hold the effective public information campaign is critical.

Limitations/implications – The major limitation of the article is subjective approach and based on the practical experience of a writer. Author's intention was to generalize existed open data, researches and demonstrate a risk for the country in the process of European Integration.

Originality/Value - In the article the findings of the various public opinion researches, attitudes of the society and the threats in the process of the integration are discussed. Considering that the described problem and existed situation is characterized not only for Georgia, but also for the countries of Eastern and Central Europe, this paper can become a part of the wider research paper.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები სამოქალაქო სამართალწარმოებაში
(შედარებითი ანალიზი)



თათია უბერი

დოქტორანტი

შესავალი

დემოკრატიული, თანამედროვე, ევროპული სტანდარტების მქონე სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია ძლიერი, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის გარეშე. მართლმსაჯულება, უპირველესად, სამართლიანი უნდა იყოს, რათა თავად მართლმსაჯულების მომხმარებელი იყოს კმაყოფილი იმისათვის, რომ ქვეყანაში განსაზღვროს დემოკრატიული წყობის არსებობის ეფექტურობა და პრიორიტეტულობა სხვა ფორმაციებთან შედარებით. დემოკრატიული წყობის განმსაზღვრელი, ამოსავალი წინაპირობა კი არის ეფექტური, სამართლიანი მართლმსაჯულება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, 1997 წლის 14 ნოემბერს მიღებულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომელიც 1999 წლის 15 მაისიდან შევიდა ძალაში, უკანასკნელი წლების მანძილზე არაერთი სახის ცვლილება განხორციელდა, რაც, პირველყოვლისა, შეეხო სსსკ-ის მეცხრე კარს, კერძოდ, XLVIII თავს, რომელიც კასაციის დასაშვებობას ეხება.

ყოველდღიურად თანამედროვე ეპოქის სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშობა უამრავი პრობლემური საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია საკასაციო საჩივრის შეტანასთან, საჩივრის დასაშვებობის შემოწმებასა და საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმებასთან, ასევე, შესაბამისი გადაწყვეტილების (განჩინების) მიღებასთან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ჯერ კიდევ 2005 წლის 23 ივნისს შეტანილი ცვლილებებით ერთმანეთისაგან გაიმიჯნა საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები. კერძოდ, მიღებულ იქნა კასაციის ახალი ფორმა, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფორმალურ წინაპირობებს და ამის შემდეგ იღებს საკასაციო საჩივარს დასაშვებობის შესამოწმებლად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ძველი რედაქციის მიხედვით, საკასაციო საჩივრის პირობად დაწესებული იყო დავის საგნის 1000-ლარიანი ზღვარი, რომელიც მხოლოდ ქონებრივ სამართლებრივ დავებზე იყო გათვალისწინებული და არანაირ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა.

ამდენად, კასაცია მეტად უფრო ხელმისაწვდომი ინსტიტუტი გახლდათ და ნაკლებად შეზღუდული ხელმისაწვდომობით გამოირჩეოდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში საკასაციო საჩივართა გაზრდილმა რაოდენობამ აუცილებელი გახადა საქმეების ფილტრაცია. დღეის მდგომარეობით, საკასაციო სასამართლოში დასაშვები საქმეების ფილტრაცია სწორედ აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე ხდება.

აღნიშნულ ცვლილებებს საფუძველად უდევს ის გარემოებები, რომ უზენაესი სასამართლოები უზრუნველყოფენ იმას, რომ გარანტირებული იყოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა სხვა მოქალაქეებთან ან ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობაში. უზენაესმა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს კონსტიტუციური ნორმების უშუალო გამოყენება და ამ ნორმების გათვალისწინებით კანონის განმარტება.¹

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „კასაცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ანულირებას, ლიკვიდაციას. მთელი რიგი ქვეყნებისა, სამოქალაქო სამართლის პროცესში, გასაჩივრების უმაღლეს ფორმას აღნიშნული ცნების სახით გამოხატავს, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სიტყვა „კასაციის“ ნაცვლად იყენებს „რევიზიის“ ცნებას, რომელის მნიშვნელობა შემდეგნაირად განიმარტება - „გადასინჯვა“, „გადახედვა“.

პირველად საქმეთა გადასინჯვის საკასაციო სისტემის პრაქტიკა საფრანგეთში დაინერგა, მას შემდეგ კი აღნიშნული მექანიზმის გამოყენება სხვა სახელმწიფოებშიც მოხდა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში თანამედროვე სასამართლო სისტემაში კასაციას მნიშვნელოვანი როლი აქვს. იგი სრულიად განსხვავდება, როგორც საბჭოთა, ისე მანამდე არსებული კასაციის მოდელებისაგან და წარმოადგენს საბოლოო, მესამე ინსტანციის სასამართლოს, რომელსაც უფლება აქვს არა მხოლოდ გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნოს ხელახლა განსახილველად, არამედ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თვითონ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.

რაც შეეხება კასაციის მიზანს, ეს უკანასკნელი არა მხოლოდ მხარეთა ინტერესების დაცვას ემსახურება, ასევე, მისი უმთავრესი მიზნებია სამართლის განვითარება, მართლმსაჯულების ერთიანობის, ერთიანი სისტემის უზრუნველყოფა და კანონის ერთგვაროვნად გაგება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ზემოთ ხსენებულ მიზნებს მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის სახით, აერთიანებს საჯარო ინტერესების დაცვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

¹ სამართლიანი სასამართლოს უფლება // [სარედ. კოლ.: ირაკლი სესიაშვილი, მაია მენაღარიშვილი ; თარგმანი: გიორგი კუკულავა, ნინო ბაქაქური] - თბ. : საია, 2001 გვ. 162.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა, რომლებიც კასაციის დასაშვებობას ეხება და ამის გათვალისწინებით, პრაქტიკაში წარმოშობილი უმნიშვნელოვანესი პრობლემების არასაკმარისად აღმოფხვრამ განაპირობა აღნიშნული თემის აქტუალობა.

აღნიშნული საკითხის კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

კასაციის მიზანი

მნიშვნელოვანია კასაციის მიზანთან მიმართებით მოკლედ მიმოვიხილოთ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა და სხვადასხვა ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, 1964 წლის სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლებითა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებული იყო საკასაციო ინსტანციის სასამართლოები. ამ სასამართლოების ამოცანების განსაზღვრის დროს კი უთითებდნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსების იმ მუხლებზე, რომლებიც ეძღვნება საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ფარგლებს. საქართველოს სსრ-ის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას და დასაბუთებულობას, როგორც გასაჩივრებულ, ისე გაუსაჩივრებელ ნაწილში, ასევე იმ პირთა მიმართ, რომელთაც არ ჰქონდათ შეტანილი საკასაციო საჩივარი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ იყო შეზღუდული საკასაციო საჩივრის მოსაზრებებით და საქმე სრული მოცულობით უნდა შეემოწმებინა. სწორედ ამ მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, აკეთებდნენ დასკვნებს, რომ საკასაციო სასამართლოს მიზანი იყო შეემოწმებინა გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა, ე.ი მისი როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მხარე.²

სამოქალაქო პროცესში დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების გაძლიერებამ 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან საკასაციო სასამართლოს მიზნები და ამოცანები ნაწილობრივ შეცვალა.

² ხრუსტალი ვ., კასაციის მიზნები და საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების (დასაშვებობის) წინაპირობები, თ. ლილუაშვილის 75 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემული საიუბილეო კრებული, 2003, გვ. 183-204.

საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 604-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი მიზნად უნდა ისახავდეს საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობის შემოწმებას. ამ შემთხვევაში სრულად მოქმედებს დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები. იგი ამ გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივ მხარეს განიხილავს.

ამ მუხლის კომენტარებში საუბარია, რომ საკასაციო სასამართლო არ ამოწმებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ შეუძლია მიიღოს რაიმე ზომები მოკვლევითი ღონისძიებების დანიშვნის შესახებ, იგი არც ახალ გარემოებებს განიხილავს და არც ხელმეორედ ამოწმებს მტკიცებულებებს, რომლებიც გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში იყო წარდგენილი.³

ფრანგული კასაცია არ განიხილება, როგორც მესამე ინსტანციის სასამართლო, რადგან იგი არ იხილავს საქმეს არსებითად, არამედ თუ აუქმებს გადაწყვეტილებას მისი იურიდიული დაუსაბუთებლობის გამო, აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად.

საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და საკასაციო სასამართლოს შინაარსი ახლებურად განისაზღვრა. ქართველი პროფესორის, თენგიზ ლილუაშვილის მოსაზრებით, საკასაციო სასამართლოს შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება, კანონების ერთგვაროვნად გაგების უზრუნველყოფა. ამასთანავე, ქვეყნის კანონების ერთგვაროვნად გაგება კასაციის ერთადერთი მიზანი არ არის. უფრო მეტიც, კანონების ერთგვაროვნად გაგება შეიძლება განვიხილოთ არა როგორც მიზანი, რისთვისაც კასაცია არსებობს, არამედ როგორც მისი საქმიანობის აუცილებელი თანმხლები შედეგი. კასაციის მიზანი არ შეიძლება იყოს სხვა, თუ არა მხარეთა უფლებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო შეცდომების გამოსწორება, რომლებიც შეიძლება დაუშვან მათ ამ კანონმდებლობის გამოყენებისას.⁴ უზენაესი სასამართლო, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სასამართლოს დინამიკური, პროგრესირებადი და მათნიფიცირებელი განმარტების უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებაში, ზოგადად უზენაესი სასამართლოები უზრუნველყოფენ იმას, რომ გარანტირებული იყოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა სხვა მოქალაქეებთან ან ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობაში.⁵ უზენაესმა სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ კონსტიტუციური ნორმების უშუალო

³ Ginchard S., Raynaud P., Nouveau Code de Procedure civile, Dalloz, 2002, p. 334-339.

⁴ ლილუაშვილი, თ. სამოქალაქო საქმეთა წარმოება საქართველოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2003, გვ. 302-303.

⁵ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები_ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ი. ლიორია კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, თბილისი, 2005, გვ. 363.

გამოყენება და ამ ნორმების გათვალისწინებით კანონის განმარტება.⁶ საქართველოს საკასაციო სასამართლო შეიქმნა არა მხოლოდ ინდივიდუალური ინტერესების დაცვის, არამედ საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის განსაზღვრისას საქმე დაშვებულად უნდა იქნეს ცნობილი ყოველთვის, თუ საქმეს აქვს მნიშვნელობა ან სამართლის განვითარებისთვის ან ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის, ვინაიდან საჯარო ინტერესების დაცვის მიზანი გულისხმობს, როგორც სამართლის განვითარებას, ისე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის, ერთიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებას.⁷

შესაბამისად, კასაციას ორგვარი მიზანი გააჩნია: ინდივიდუალური (კერძო), რაც მხარეთა (კასატორის) ინტერესების დაცვაში გამოიხატება, მის მიმართ კანონიერი და იურიდიულად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა კანონის დარღვევით და საჯარო მიზანი, რაც ერთიანი მართლმსაჯულების სისტემის დაცვაში გამოიხატება, რომელიც კანონის ერთგვაროვნად გაგებას და სამართლის განვითარებას ემსახურება.

საკასაციო საჩივარი და მისი დასაშვებობის პირობები

საკასაციო საჩივრის ფორმა, შინაარსი, შეტანის ვადა

საკასაციო საჩივრის შეტანისათვის მოთხოვნები სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით სხვადასხვა ფორმით გვევლინება, აღსანიშნავია, რომ ამ მოთხოვნების დაუცველობას სერიოზული და კასატორისათვის არახელსაყრელი შედეგები უკავშირდება, კერძოდ, საკასაციო საჩივრის მიღებაზე (დაშვებაზე) უარის თქმა ან საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის, კერძოდ კი გსსკ-ის 549-ე მუხლის თანახმად საკასაციო საჩივარი წერილობითი ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს და შეტანილ იქნეს არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, არამედ უშუალოდ საკასაციო სასამართლოში. აღნიშნული მუხლის კომენტარი შემდეგნაირადაა განმარტებული: „საკასაციო საჩივრის შეტანა ფედერაციის უზენაეს სასამართლოში დაშვებულია ადვოკატის მიერ.“⁸ საკასაციო წესით გადაწყვეტილების

⁶ სამართლიანი სასამართლოს უფლება, 2001, თბილისი, გვ. 162.

⁷ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2007წ. გვ. 678.

⁸ იხ. Zivilprozessordnung. Kommentar von prof. Dr. Heinz Thomas. Dr. Klaus Reichold. Prof. Dr. Hans Putzo, Dr Rainer Husstege, 24., neubearbeitete Auflage C.H. Beck, Munchen, 2002, S. 298

გასაჩივრების ვადა შეადგენს ერთ თვეს, რომლის ათვლა, გსსკ-ის 548-ე მუხლის თანახმად, იწყება მას შემდეგ, რაც სრულყოფილი ფორმით გამოტანილი გადაწყვეტილება ოფიციალურად გადაეცემატ მხარეებს. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად საპროცესო ვადის გაშვების საერთო შედეგი იმაში გამოიხატება, რომ მხარე კარგავს შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას. ასევე, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გაშვებული ვადის აღდგენის (გაგრძელების) შესაძლებლობას. ამ კოდექსის 233-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეები მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლებენ დადგენილ ვადაში შესაბამისი მოქმედების შესრულებას, შესაძლებელია ეს ვადა გაგრძელდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანიის საპროცესო კანონმდებლობით დასაშვებია საჩივრის შეტანის გაშვებული ვადის გაგრძელება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 395-ე მუხლის თანახმად საკასაციო საჩივარი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

საკასაციო საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. საჩივრის შინაარსს თავად კასატორი განსაზღვრავს, სსსკ-ის 396-ე მუხლი აუცილებელ მოთხოვნებს აწესებს. საკასაციო საჩივარი იმდენი ასლის სახით უნდა წარედგინოს სასამართლოს რამდენი მონაწილეცაა საქმეში და გადახდილი იქნეს სახელმწიფო ბაჟი.

მითითებული პირობების გარდა კასატორმა საკასაციო საჩივარი დადგენილ ვადაში უნდა შეიტანოს გადაწყვეტილების მიმდებ სასამართლოში, იმისათვის, რომ აღნიშნულმა სასამართლომ საჩივარი საქმესთან ერთად გადააგზავნოს მესამე ინსტანციის სასამართლოში.

საკასაციო საჩივარი სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილი მოთხოვნებით უნდა შეიცავდეს სსსკ-ის 396-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას, კერძოდ: 1. იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც შედგენილია საჩივარი (იგულისხმება საკასაციო სასამართლო); 2. საჩივრის შემტანი პირის დასახელებას და მისამართს; 3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას და მითითებას ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე; 4. მითითებას, თუ რა ნაწილში საჩივრდება გადაწყვეტილება; 5. მითითებას, თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება, გასაჩივრების საფუძვლებს (კასაციის მიზეზები) და განმარტებას იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა მომჩივანი გადაწყვეტილების გაუქმებას თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი); 6. მითითებას

საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის დამადასტურებელ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, თუ საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება; 7. იმ წერილობითი მასალების ნუსხას, რომელიც ერთვის საკასაციო საჩივარს. 8. იმ პირის ხელმოწერას, რომელსაც შეაქვს საკასაციო საჩივარი. საკასაციო საჩივარს ხელს აწერს კასატორი ან მისი წარმომადგენელი. წარმომადგენლის მიერ შეტანილ საჩივარს უნდა დაერთოს იმ წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ასეთი საქმეში არ მოიპოვება.

იმ შემთხვევაში თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს მისი შინაარსისადმი სსსკ-ის 396-ე მუხლით წაყენებულ მოთხოვნებს, ან არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სასამართლო გამოიტანს განჩინებას და კასატორს დაუნიშნავს ვადას ამ ხარვეზის შესავსებად. თუ ამ ვადაში არ შეივსება ხარვეზი, ან საკასაციო საჩივარი არ იქნება შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი დარჩება განუხილველი დაუშვებლობის გამო.

აღსანიშნავია, რომ კასატორს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით. შესაძლებელია საკასაციო საჩივარი შეცდომით იქნეს შეტანილი უშუალოდ საკასაციო ინსტანციაში, თუმცა აღნიშნული დამაბრკოლებელ ფაქტორს არ წარმოადგენს.

თუ მოხდება კასატორის მიერ საჩივრის შეცდომით შეტანა უშუალოდ საკასაციო სასამართლოში უმჯობესი იქნება კანცელარიის მუშაკის მიერ მოხდეს საქმის მასალების გამოთხოვა სააპელაციო სასამართლოდან და აღარ გადაიგზავნოს საჩივარი. მხოლოდ საქმის მასალების გამოთხოვას ის უპირატესობა გააჩნია, რომ დაიზოგება სასამართლო ხარჯები და დრო. მთავარი მაინც არის, რომ მხარეს არ ჩაეთვალოს საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა გაშვებულად.

2011 წელს განხორციელდა ცვლილება სსსკ-ის 397-ე მუხლში, კერძოდ, შემცირდა საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა და ერთი თვის ნაცვლად განისაზღვრა 21 დღე. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის ათვლისას სსსკ-ის 397-ე მუხლის გარდა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე სსკ-ის 259-ე პრიმა მუხლიც, რომლის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში

და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. ამავე კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის (რომლებიც თავისუფლდებიან სასამართლო ხარჯების გადახდისაგან), ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავს წარმომადგენელი გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. აღსანიშნავია რომ კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა საბოლოო დასაბუთებული ფორმით გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან იწყება (თუ მის გამოცხადებას ესწრება კასატორი - სხვა შემთხვევაში მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან - სსსკ-ის 397-ე მუხლის გათვალისწინებული წესით).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით⁹ დაადგინა, რომ კასატორის მიერ საკასაციო საჩივარი წარდგენილი იქნა 21 დღიანი ვადის დარღვევით, რის გამოც წარმოიშვა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძვლები.

უმჯობესი იქნება, სსკ-ის 397-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბება შემდეგნაირად: „საკაცასიო საჩივრის შეტანის ვადაა ერთი თვე. ამ ვადის ათვლა იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის გადაცემის მომენტიდან. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) დასაშვებია თუ საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირები მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლებენ დადგენილ ვადაში საჩივრის შეტანას“.

დასკვნა

ზემოაღნიშნული კვლევიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში საკასაციო საჩივრის დასაშვებად დღეს მოქმედი პირობები, შემოღებული გახლავთ ერთადერთი მიზნით, რათა საკასაციო სასამართლოს განტვირთვა მოხდეს საქმეებისგან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უზენაესი სასამართლო, რომელიც გასაჩივრების შიდასახელმწიფოებრივ საშუალებებს შორის საბოლოო, მესამე ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენს და სამართლის მაძიებელი მოქალაქის უკანასკნელი იმედი გახლავთ შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა იმ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რომ მაქსიმალურად

⁹ იხ. სუსგ სამოქალაქო საქმეზე Nას-438-415-2012, 22 მარტი, 2012 წელი.

გაუადვილოს საჩივრის შემტან პირს გასაჩივრების აღნიშნული პროცედურა და ხელოვნური ბარიერების შექმნით, პროცედურულად მისი დამძიმებით არ შეემალოს ხელი სამართლიანი გადაწყვეტილების მიღწევას.

დასაშვებობის კრიტერიუმებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როდესაც საკასაციო სასამართლო უარს ამბობს საკასაციო საჩივრის დაშვებაზე და სამოტივაციო ნაწილში საფუძვლად უთითებს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება მითითებული კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან, არ აკეთებს აღნიშვნას კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დამკვიდრდა შესაბამისი პრაქტიკა, რაც ხარვეზია და იწვევს კითხვისნიშნებს რაც რეალურად ქმნის პრობლემებს. უმჯობესი იქნება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი სწორედ ასეთ დასაბუთებას შეიცავდეს.

მივიჩნევთ, რომ სსსკ-ის 397-ე მუხლი, რომლითაც საკასაციო საჩივრის ვადაა განსაზღვრული და ბოლო ცვლილებებით ერთ თვიანი ვადა 21 დღემდე შემცირდა, ზედმეტად მკაცრია, მიზანშეწონილი იქნება, თუ კასატორთა ინტერესებიდან გამომდინარე ამ მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ: „საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა ერთი თვე. ამ ვადის ათვლა იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის გადაცემის მომენტიდან. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) დასაშვებია, თუ საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირები მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლებენ დადგენილ ვადაში საჩივრის შეტანას“. აღნიშნული ცვლილება გასაჩივრების უფლებას შეუნარჩუნებს კასატორს, რომელმაც ეს ვადა საპატიო მიზეზით გაუშვა.

სსსკ-ის 395-ე მუხლის თანახმად საკასაციო საჩივარი იმ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა, თუმცა პრაქტიკაში ხშირად არის შემთხვევა, რომ კასატორს შეცდომით საჩივარი პირდაპირ საკასაციო სასამართლოში შეაქვს. არ არსებობს იმის აუცილებლობა, რომ საკასაციო საჩივარი უკან გადაეგზავნოს სააპელაციო სასამართლოს იმისათვის, რომ შესრულდეს სსსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებული მოქმედება, კერძოდ სააპელაციო სასამართლომ გადაუგზავნოს უკან საჩივარი მთლიან საქმესთან ერთად. უმჯობესი იქნება კანცელარიის მუშაკის მიერ მხოლოდ მთლიანი საქმე იქნეს გამოთხოვნილი სააპელაციო სასამართლოდან საჩივრის გადაგზავნის გარეშე, აღნიშნულ მოქმედებას ის უპირატესობა გააჩნია, რომ ამით დაიზოგება სასამართლო ხარჯები და დრო.

ვფიქრობ, ზემოთ მითითებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ეფექტურობის ამაღლებას და პირთა უფლებებისა და საჯარო ინტერესების დაცვას.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ნორმატიული აქტები

საქართველოს კონსტიტუცია, 1995; (2013 წლის 04 ოქტომბრის მდგომარეობით);
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997; (2015 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით);
საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 2009; (2015 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით).

უცხოენოვანი ნორმატიული აქტები

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; German Civil Code BGB (version promulgated on 2 January 2002 ; last amended by Article 4 para. 5 of the Act of 1 October 2013);
საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
Code de procédure civile. (Edition: 2016-08-21).

ქართულენოვანი ლიტერატურა

ლიორია, ი., კორკელია, კ., კუბლაშვილი, კ., ხუბუა, გ. (2005). *ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი* - საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.

ხრუსტალი, ვ. (2003). *კასაციის მიზნები და საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების (დასაშვებობის) წინაპირობები*, თ. ლილუაშვილის 75 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემული საიუბილეო კრებული.

ლილუაშვილი, თ., ხრუსტალი ვ. (2007). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“.

ლილუაშვილი, თ. (2003). სამოქალაქო საქმეთა წარმოება საქართველოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო.

სამართლიანი სასამართლოს უფლება (2001). სარედ. კოლ.: ირაკლი სესიაშვილი, მათა მენაღარიშვილი ; თარგმანი: გიორგი კუკულავა, ნინო ბაქაქური - თბ. : საია.

უცხოენოვანი ლიტერატურა

Ginchar S., Raynaud P. (2002). Nouveau Code de Procédure civile, Dalloz.
Zivilprozessordnung. Kommentar von prof. Dr. Heinz Thomas. Dr. Klaus Reichold. Prof. Dr. Hans Putzo, Dr. Rainer Husstege, 24., (2002). eubearbeitete Auflage C.H. Beck, München.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

სუსგ სამოქალაქო საქმეზე Nას-438-415-2012, 22 მარტი, 2012 წელი.

**საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები სამოქალაქო სამართალწარმოებაში
(შედარებითი ანალიზი)**

თათია უბერი
დოქტორანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მიზანი - კასაცია არ არის საქართველოს სასამართლო სისტემის ახალი ინსტიტუტი. საკასაციო სასამართლო ფუნქციონირებდა საქართველოში ჯერ კიდევ 1917 წლის რევოლუციამდე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით არამარტო შენარჩუნებულ იქნა საკასაციო სასამართლო, არამედ არსებითად შეიცვალა მისი ფუნქცია და მიზნები. მთლიანად გაუქმდა საზედამხედველო წესით კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა გადასინჯვის ინსტიტუტი და კასაციამ შეიძინა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს ფუნქცია. საკასაციო სასამართლოს, გარდა ინდივიდუალურისა, აქვს საჯარო სამართლებრივი ხასიათის მიზანიც: უზრუნველყოს კანონების აზრისა და შინაარსის ერთგვაროვნად გაგება, მართლმსაჯულების ერთიანობა, სამართლის განვითარება.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა – ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ისტორიულ ლოგიკურ შედარებითი კვლევის მეთოდები.

დასკვნები - აღნიშნულ კვლევის შესრულება გამართლებული აღმოჩნდა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

კვლევის შეზღუდვები(ხარვეზები)/გავლენა – მიზანშეწონილია საკითხი მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე უფრო სიღრმისეულად და კომპლექსურად იქნეს შესწავლილი.

სიახლე/ღირებულება - წარმოდგენილია კანონმდებლობაში არსებული არაერთი ხარვეზი, რომელის გამოსწორება, მნიშვნელოვანი დადებით ეფექტის მომტანი იქნება ქართული სასამართლო სისტემის განვითარებისთვის და ევროპული მომავლის უზრუნველყოფისთვის.

Instigation of Complaints and the Admissibility Conditions/Requirements for the Cassational Appeal under the Civil Procedure Code (comparative analyses)

Tatia Uberi
PhD Student
Caucasus University

Abstract

Purpose – The Court of Cassation is not a new institution in the Georgian judicial system. The Court of Cassation was functioning even before the revolution of 1917, i.e. before the establishment of the Soviet Union in Georgia. Under the new Code of Civil Procedure and the fundamental law of Georgia “Common Law Courts”, the Court of Cassation has not only been retained in the Georgian judicial system, but its functions and objectives have also been substantially changed. In particular, the prior function of the Court of Cassation to review pre-existing judgments in a supervisory manner was abolished. Additionally, the Court of Cassation acquired the function of a court of final appeal. The Court of Cassation not only has a legal duty to individual complainants, but must also consider its duty to the public at large. This principle is intended to provide a uniform understanding of the meaning and interpretation of the law, equality of justice, development of case-law, etc.


Design/methodology/approach – Research methodology: Historical-logical comparative.

Findings – This research is justified from both a theoretical and a practical point of view.

Research limitations/implications – It is reasonable to make research in a most appropriate manner, more thoroughly and comprehensively.

Originality/value – How should the country develop and which steps should be taken towards European integration- in this topic we elaborated recommendations which should be taken in to consideration. Our recommendations may have a significant positive effect for court system in Georgia.

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივები და გამოწვევები



ბაკურ მგელიაშვილი
დოქტორანტი

შესავალი

საქართველო მისწრაფვის დემოკრატიული ფასეულობების მქონე ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საერთო ოჯახისაკენ. ნატოს მიზანია ერთიანი, თავისუფალი, უსაფრთხო და მშვიდობიანი ევროპის იდეის ხორცშესხმა. საქართველოს გაწევრიანება ამგვარი მიზნების მქონე ორგანიზაციაში იქნება ქვეყნის მშვიდობიანი, უსაფრთხო და დემოკრატიული განვითარების გარანტია. ნატოში გაწევრიანება სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა მოხდეს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით. ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის არსებობის ისტორიაში მოიპოვება ტერიტორიული და საზღვრების დე-მარკირების პრობლემების მქონე არაერთი ქვეყნის (გერმანია, საბერძნეთი, თურქეთი და სხვა) ალიანსში გაწევრიანების პრეცედენტი, და შესაბამისად რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა საქართველოში არ შეიძლება განხილულ იქნას ნატოში გაწევრიანების დამაბრკოლებელ ფაქტორად. ნატოში ინტეგრაცია საქართველოსთვის შექმნის ეროვნული უსაფრთხოების მყარ გარანტიებს და ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას, როგორც სამხრეთ კავკასიაში, ასევე შავი ზღვის რეგიონში.

ნატო - საქართველოს ურთიერთ-ინტერესები

ნატოს წევრი ქვეყნების, ისევე როგორც სხვა ევროპული ქვეყნების, მიზანია ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის იდეის ხორცშესხმა. ამ იდეის განხორციელებისათვის კი, აუცილებელია, რომ ყველა ევროპული ქვეყანა იყოს სტაბილური და მშვიდობიანი. შესაბამისად, ნატო დაინტერესებულია განვითარებული და დემოკრატიული საქართველოს ჩამოყალიბებით, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების განმტკიცებას.

- ნატო დაინტერესებულია შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფით, რომლის წევრ სახელმწიფოებს შორის საქართველოც არის. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ნატოს ვარშავის სამიტზე გაუღებელი ინიციატივა შავი ზღვის აუზში უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით. ნატო როგორც ორგანიზაცია შეიმუშავებს შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგიას და ამ პროცესში აუცილებლად ჩაერთვებიან საქართველო და უკრაინა.
- ნატოსთვის მნიშვნელოვანია საქართველო მისი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობიდან და ხელსაყრელი სატრანზიტო პოტენციალიდან გამომდინარე. შესაბამისად, ალიანსის ინტერესებში შედის რეგიონში საქართველოს სახით ძლიერი და სანდო პარტნიორი ქვეყნის არსებობა.
- საქართველო ყველაფერს აკეთებს, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურის სრულფასოვანი წევრი გახდეს, რაც კიდევ უფრო გაზრდის ქვეყნის უსაფრთხოებასა და მშვიდობიანი განვითარების შანსს.

პოლიტიკური ინტერესი: საქართველო, როგორც დემოკრატიული განვითარების გზაზე მყოფი ქვეყანა, ბუნებრივად მიისწრაფვის დემოკრატიული ფასეულობების მქონე განვითარებული ქვეყნების საერთო ოჯახისაკენ. შესაბამისად, საქართველოს ნატოში გაწევრიანება, ქვეყნის მშვიდობიანი, უსაფრთხო და დემოკრატიული განვითარების გარანტიაა.

თავდაცვითი/სამხედრო ინტერესი: ნატოსთან აქტიური თანამშრომლობის განვითარება ხელს უწყობს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის კიდევ უფრო ზრდას. საქართველო ნატოს ერთ-ერთი უმსხვილესი და მნიშვნელოვანი პარტნიორია საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის თვალსაზრისით.

უსაფრთხოების ინტერესი: ნატოში საქართველოს ინტეგრაცია შექმნის ეროვნული უსაფრთხოების მყარ გარანტიებს და ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას, როგორც სამხრეთ კავკასიაში, ასევე შავი ზღვის რეგიონში.

საქართველოს, როგორც შეზღუდული რესურსების მქონე პატარა ქვეყანას, სჭირდება ნატოს და მისი წევრი ქვეყნების საერთო ძალისხმევა არსებული საფრთხეების დასაბალანსებლად.

ეკონომიკური ინტერესი: ნატოს წევრობა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და ქვეყნის საერთო კეთილდღეობას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, უზრუნველყოფს ინვესტიციების მოზიდვას, რადგან ალიანსის წევრობა ინვესტორებისათვის წარმოადგენს სტაბილურობის გარანტს უსაფრთხოების კუთხით.

სინამდვილეში, ნატოში გაწევრიანება, სამართლებრივი თვალსაზრისით, ნიშნავს საქართველოს გაწევრიანებას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებით, რა თქმა უნდა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან ერთად. არსებობს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითი, რომლებსაც ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების დროს ტერიტორიული და საზღვრების დადგენის პრობლემა ჰქონდა. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია ორად გაიყო და აღმოსავლეთ გერმანია ოკუპირებული იყო საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ჯარის მიერ. 1955 წელს დასავლეთ გერმანია გაწევრიანდა ნატოში, რამაც გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერე და სტაბილური განვითარება განაპირობა. ცივი ომის დასრულებისა და ბერლინის კედლის ნგრევის შემდეგ, გერმანია გაერთიანდა და დღეს ის ნატოსა და ევროკავშირის ერთერთი ყველაზე ძლიერი წევრია. ნატოში გაწევრიანებამ დასავლეთ გერმანიის უსაფრთხო და სტაბილურ განვითარებას შეუწყო ხელი, ხოლო ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ გაერთიანებულ გერმანიას გაცილებით ძლიერი და მყარი ხმა აქვს ალიანსში.

საინტერესოა ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითი, რომლებიც 2004 წელს ნატოში გაწევრიანდნენ. ამ ქვეყნებს საზღვრების დადგენის საკითხები არ ჰქონდათ მოგვარებული მეზობელ სახელმწიფოსთან. მიუხედავად ამისა, მოკავშირეებმა მიიღეს პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ ესტონეთი, ლიტვა და ლატვია ნატოში მიეწვიათ. ამ გადაწყვეტილებამ ბალტიის ქვეყნების სტაბილური და მშვიდობიანი განვითარება განაპირობა. აქვე უნდა აღინიშნოს 1952 წელს საბერძნეთისა და თურქეთის ნატოში გაწევრიანების მაგალითიც. ამ ორ ქვეყანას დღემდე აქვთ დავა თურქეთის მიერ ოკუპირებული კუნძულ კვიპროსის ნაწილის ირგვლივ.

ეს მაგალითები ადასტურებს, რომ ტერიტორიული პრობლემების ქონა არ წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორს ნატოში გაწევრიანების კუთხით, მეტიც ნატოს წევრობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია.

მომავლის ხედვა - პროცესის განვითარების პერსპექტივები

უსაფრთხოება არის ის აუცილებელი პირობა, რომლის გარეშეც ქვეყნის სახელმწიფოებრივი არსებობა წარმოუდგენელია. ის წარმოადგენს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და მეცნიერული განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის უალტერნატივო გამოსავლად რჩება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანება.

ალიანსი საქართველოს მოუტანს უსაფრთხოებას ძალზე დიდი ხნით, გარანტირებულს მსოფლიოში წამყვანი დემოკრატიული, განვითარებული, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოების მიერ.

რაც შეეხება იმას, თუ რას მოუტანს საქართველო ნატოს. საქართველო იქნება არა მარტო მომხმარებელი იმ უსაფრთხოებისა, რომელსაც ალიანსი სთავაზობს, არამედ შეიტანს თავის წვლილს ამ უსაფრთხოების განმტკიცებაში. პირველ რიგში, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არეალი კიდევ ერთი დემოკრატიული ქვეყნით გაიზრდება, რომელსაც აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა ამ რეგიონში და საშუალებას მისცემს ნატოს, როგორც დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებულ ორგანიზაციას, კიდევ უფრო განამტკიცოს ევროატლანტიკური უსაფრთხოება.

ეს არის საშუალება იმისა, რომ ყველაზე მოკლე გზა ცენტრალური აზიისაკენ იყოს კონტროლის ქვეშ, და აქ, პირველ რიგში, იგულისხმება ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს ნატოში გაერთიანება არ არის მიმართული ვინმეს წინააღმდეგ, არავის უქმნის საფრთხეს, არამედ მიზნად ისახავს ქვეყნისა და მთელი მისი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რაც, იმავდროულად, გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან კავკასიის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიღწევასაც შეუწყობს ხელს. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებით საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი უშუალო მეზობლებისათვის კიდევ უფრო საიმედო, პროგნოზირებადი და პერსპექტიული პარტნიორი უნდა გახდეს.

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის უმთავრესი მიზანია ქვეყნის უსაფრთხოებისა და ერთიანობის უზრუნველყოფა და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებში მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

ნატოს 2016 წლის 8-9 ივლისის ვარშავის სამიტზე ღიად გაჟღერდა, რომ ნატო მეტ დახმარებას გაუწევს უკრაინასა და საქართველოს. „ნატო მეტ დახმარებას გაუწევს უკრაინასა და საქართველოს და გააგრძელებს რესპუბლიკა მოლდოვას დახმარებას. ჩვენ გავაღრმავებთ ჩვენს ჩართულობას პარტნიორებთან ერთად შავი და ბალტიისპირეთის ზღვის რეგიონებში. ასევე დასავლეთ ბალკანეთში.“

ვარშავის სამიტზე ნატომ ასევე მიიღო არაერთი ძალზედ აქტუალური გადაწყვეტილება, რომელთა განხორციელებაც ამ ორგანიზაციის მომავალ სამოქმედო გეგმას წარმოადგენს. ეს გადაწყვეტილებებია:

- 2018-2020 წლებში ნატო ავღანურ თავდაცვას მილიარდი დოლარით უზრუნველყოფს. ალიანსის ქვეყნების მიერ ავღანეთში მყოფი სამხედროები კი იქ 2016 წლის შემდეგაც დარჩებიან იმისათვის, რომ ადგილობრივი სამხედროები გაწვრთნან;
- ავღანეთის მტკიცე მხარდაჭერის მისიის ფორმატი 2016 წლამდე გაგრძელდება, რომელშიც ქართული მხარის გადაწყვეტილებით, ქართველი ჯარისკაცებიც განაგრძობენ მონაწილეობის მიღებას;
- ნატო გააძლიერებს თავის წარმომადგენლობას შავი ზღვის რეგიონში, რაშიც აქტიურად ჩაერთვებიან საქართველო და უკრაინა;
- ნატომ გადაწყვიტა ევროპა აშშ-ის ანტისარაკეტო მექანიზმით უზრუნველყოს იმისათვის, რომ კონტინენტი დაცული იყოს ნებისმიერი სახის სარაკეტო შეტევისაგან;
- კონტრაბანდასთან ბრძოლის მიზნით, ნატო ლიბიის სანაპიროზე მყოფ ევროკავშირის სამხედრო მისიას დაეხმარება. ალიანსმა აიღო პასუხისმგებლობა ხომალდებით, სამეთვალყურეო თვითმფრინავებითა და რადარებით უზრუნველყოფის შესახებ;
- ნატომ შეიმუშავა ურთიერთმომგებიანი პარტნიორობის მექანიზმი ფინეთსა და შვეიცარიასთან იმისათვის, რომ უზრუნველყოს ბალტიის ზღვის რეგიონის უსაფრთხოება;
- ალიანსი გააძლიერებს კიბერ თავდასხმებისაგან თავისი წევრების დაცვას;

- ნატო განაგრძობს გაფართოვებას - ღია კარის პოლიტიკას.

ნატოს ღია კარის პოლიტიკა და აღმოსავლეთით გაფართოვება უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის, როგორც საიმედო და სტაბილური პარტნიორისთვის, რათა მიღწეულ იქნას საბოლოო მიზანი, რასაც საქართველოს ალიანსის სრულუფლებიანი წევრობა ჰქვია.

დღეს ნატო არის ის ორგანიზაცია, რომელიც ბევრად განსხვავდება იმ ინსტიტუციისგან, რომელსაც იგი წარმოადგენდა მისი შექმნის პერიოდში 1949 წელს. ნატოს ფარგლებში მიმდინარე მუდმივი ცვლილებები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოების და ასევე პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების გამყარებისა და ევროატლანტიკურ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს;

აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ალიანსი განვითარების ახალ სტადიაზე გადავიდა, ის არათუ არ დაიშალა, არამედ მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი ყოფილი მოწინააღმდეგეების ნატოში მიღების ხარჯზე;

სამხედრო სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ნატოში არსებული სამხედრო პოტენციალის გათვალისწინებით საიმედოდ იყო, არის და იქნება დაცული თითოეული წევრი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა;

ნატოს წევრობის კუთხით მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას არა მხოლოდ პოლიტიკური და სამხედრო ასპექტებიც, არამედ ასევე აუცილებელია ხაზი გაესვას ეკონომიკურ ფაქტორებს. ალიანსის წევრობა შესაბამისად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე სტაბილური, უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. ეს კი თავის მხრივ ნოყიერ ნიადაგს ქმნის წევრ ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, უცხოელ პარტნიორებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გამყარებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და შრომის ანაზღაურებაზე;

რაც შეეხება საქართველო-ნატოს ურთიერთობებს აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, ეკონომიკური აღმავლობა და სოციალ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოს განვითარებულ,

ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ნამდვილად შედის ალიანსის ინტერესებში. თუმცა, მიუხედავად ნატოს წევრი ქვეყნების უმრავლესობის მხარდაჭერისა, ყველაფერი დამოკიდებულია თავად საქართველოზე, თუ რამდენად მომზადებული იქნება ქართული საზოგადოება, საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და ჭეშმარიტად სტაბილური, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში;

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ ნატოში როგორც სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანება საქართველოს შემთხვევაში არის წმინდა პოლიტიკური ინტერესებისა და პოლიტიკური ტენდენციების მატარებელი. პირველ რიგში ეს გამომდინარეობს კავკასიის რეგიონისა და კერძოდ საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან;

საქართველო-ნატოს შორის არსებული თანამშრომლობისა და პარტნიორობის მექანიზმებიდან გამომდინარე სრულიად შესაძლებელია ტექნიკური თვალსაზრისით საქართველო გახდეს ნატოს წევრი, თუმცა არსებობს პოლიტიკური ინტერესები და ტენდენციები, რომლებიც ამ ეტაპზე აფერხებენ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას;

საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ არეალში მოქცევა გახდის ჩვენს ქვეყანას ძლიერს და ანგარიშგასაწევ ძალას, ძლიერს კი მეტი პასუხისმგებლობა, მეტი ღირსება, მეტი სოლიდარობა და მეტი საიმედოობა მართებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- იუჯინ კოგანი - „ნატო - საქართველოს ურთიერთობები; 28-ს მინუს 1“ - GFSIS
- NATO - A-Z pages – NATO Public Diplomacy Division Brussels, Belgium December 2014;
- NATO Encyclopedia 2015;
- NATO 2020: Assured Security; Dynamic Engagement. Analysis and Recommendations of the group of experts on a new strategic concept for NATO;
- Warsaw Summit Communiqué – Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Warsaw 8-9 July 2016;
- NATO and the Russian Federation – Thematic Bibliography;
- Wales Summit Declaration – Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Wales; www.nato.int
- NATO’s New Strategic Concept; www.Nato.int/strategic-concept
- Col. Robert E. Hamilton – “Georgia’s NATO Aspirations: Rhetoric and Reality” – July – 2016;
- Vasil Sikharulidze - „Security Sector Reform in Georgia“ - www.GFSIS.org
- Military – Political Aims of NATO – North star Compass – By AQUCPB – Information – Analytical Center – www.Northstarcompass.org

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივები და გამოწვევები

ბაკურ მგელიაშვილი

დოქტორანტი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი - დასავლეთის, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის გარანტორის აღქმა კიდევ უფრო ამყარებს საქართველოს პრო-დასავლურ პოლიტიკურ კურსს. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მთავარი მიმართულება და საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტური მიზანი არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში და ევროკავშირში ინტეგრაცია. ეს მიმართულება წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოების, სტაბილურობისა და დემოკრატიული განვითარების მთავარ გარანტიას. ნატოს წევრობა არა მხოლოდ განამტკიცებს საქართველოსათვის პოლიტიკურ და სამხედრო უსაფრთხოებას, არამედ ქვეყანას მისცემს შესაძლებლობას მიაღწიოს ქართული პოლიტიკის ერთ-ერთ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრიორიტეტს უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

პრობლემის კვლევის თვალსაზრისით - არსებული ვითარებიდან გამომდინარე, საკითხი ცალსახად საკმაოდ რთულია. ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მუსირებს მოსაზრება, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ნატოში გაწევრიანება ორი ურთიერთგამომრიცხავი საკითხია. თუმცა, ისმის ლეგიტიმური კითხვა, ნატოში ინტეგრაციაზე უარის თქმა იქნება კი გარანტია აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა?

დასკვნა - მიუხედავად ქვეყანაში კონფლიქტური კერების არსებობისა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანება შესაძლებელია.

კვლევის სამეცნიერო სიახლე - სიახლე მდგომარეობს შემდეგში - კიდევ უფრო დეტალურად იქნას აღქმული ქართული საზოგადოების მიერ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და განსაკუთრებით ნატოში ინტეგრაციის მნიშვნელობა.

Georgia's Integration Perspectives and Challenges into NATO

Bakur Mgelishvili

PhD Student

Georgian Institute of Public Affairs

Abstract

The purpose of the research – The perception of the West, as the main guarantee of Georgia's sovereignty more and more reinforces our country's pro-Western political course. The main national security direction and fundamental political direction of Georgia is the integration into North Atlantic Treaty Organization and European Union. This direction is the main developing guarantor of Georgia's security, stability and democracy. Georgia's membership of NATO not only strengthens the political and military security of the country, but also gives the chance to approach one of the main priorities to assure the Country's territorial unity.

With regards the problem research – Based on reality the issue is quite complicated. The certain parts of the Georgian society believe that the membership into NATO and solution of the territorial problems are two contradictory issues. But there is one logical question – to say “no” on the integration into NATO will be the guarantee of solving Georgian territorial problems?

Conclusion – Despite the existence conflict zones within the country, Georgia's integration and full membership into the NATO is possible.

The scientific news of the research – To increase the level of importance of perception of the Society about Georgia's integration into Euro-Atlantic structures in the entire society.

არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო გარემო საქართველოში და
მისი გავლენა ევროპულ ინტეგრაციაზე



თინათინ ნიბლოშვილი
დოქტორანტი

შესავალი

დასავლური ცივილიზებული სამყაროს მიერ, საგარეო ურთიერთობების ახლებურმა გააზრებამ და საგარეო პოლიტიკის წარმოების ახალმა მეთოდებმა (აღნიშნული მეთოდები კი მეორე მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზების ანალიზის შემდეგ ფორმირდა), საქართველოსთვის და სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისათვის ახალ გამოწვევებთან გამკლავებისათვის, ახალი შესაძლებლობები გააჩინა.

დასავლურმა ცივილურმა სამყარომ – ევროკავშირისა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მეშვეობით შეიმუშავა ახალი სამეზობლო პოლიტიკა. რომლის ერთ–ერთ ძირითად მიზანს, გეოპოლიტიკური ინტერესები და ენერგომატარებლების დივერსიფიკაცია წარმოადგენდა. შესაბამისად საქართველოს წინაშე არსებული ახალი გამოწვევები თანხვედრაში მოვიდა დასავლურ პოლიტიკასთან. საქართველომ გარდა კონკრეტული სამოქმედო გეგმებისა, დაიწყო ფინანსური რესურსებისა და სხვა ტექნიკური სახის დახმარებების მიღება. რასაც უნდა დაეჩქარებინა და ხელი უნდა შეეწყო დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისათვის. დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას, პოლიტიკური ელიტების ძალისხმევით გარდა, საზოგადოების მხარდაჭერა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობა სჭირდებოდა გადაწყვეტილებების მიღების და იმპლემენტაციის პროცესში. საქართველოში **სამოქალაქო სექტორი** ჩამოყალიბების პროცესში იყო და ვერ უზრუნველყოფდა სახელისუფლებო შტოების კონტროლს. თავად სახელმწიფო ბუნდოვანი სახელმწიფოებრიობით ხასიათდებოდა. საზოგადოება მიჩვეული იყო კომუნისტურ ეპოქაში უზრუნველად ცხოვრებას, რომლის შემდეგაც ე.წ 90–იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, შეიძლება ითქვას, საზოგადოების ფრუსტრაცია გამოიწვია, ხელისუფლების კონტროლის მექანიზმები, საზოგადოებას არ აღმოაჩნდა.

მეოცე საუკუნის ბოლოსათვის სამოქალაქო საზოგადოება მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციითა და მოძრაობით შემოიფარგლებოდა. მათი იურიდიული სტატუსით რეგისტრაცია 1993 წლიდან იწყება და რამდენიმე წელიწადში რამდენიმე ათასს აღწევს. მათი უმეტესობა ე.წ მკვდარ ორგანიზაციებად დაიბადნენ – მხოლოდ რეგისტრაციით შემოიფარგლნენ (ჩაჩავა,2013).¹⁰

თავად **სამოქალაქო სექტორის ცნების შესახებ**, არ არსებობს შეჯერებული, ერთიანი პოზიცია. ცხადია, რომ მასში შესაძლოა მოვიაზროთ ყველა, მეტნაკლებად ორგანიზებული ინტერეს ჯგუფი, რომელიც მოქმედებს დროებითი, მოკლევადიანი, გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად, რომელთაც არ აქვთ განცხადებული პოლიტიკური ინტერესები და არ იმყოფებიან ხელისუფლებაში, მმართველ ორგანოებში, საჯარო სამსახურში. **ამ დეფინიციის მიხედვით სამოქალაქო სექტორის შემადგენელი ნაწილები არიან:** საინიციატივო ჯგუფები, პროფესიული კავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები და გაერთიანებები, რელიგიური ჯგუფები, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, ეკო მიგრანტები, პატიმრები და მათ ოჯახის წევრები, ეთნიკური უმცირესობები, სექსუალური უმცირესობები, სტუდენტური მოძრაობები და გაერთიანებები და ა.შ. ე.ი სამოქალაქო სექტორში შესაძლებელია მოვიაზროთ ყველა ის ერთობა, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს მეტნაკლები ორგანიზებულობა, კანონიერი ან/და სამართლიანი, ინტერესების რეალიზაციისათვის, იმოქმედოს არაძალადობრივი მეთოდებით.

კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები: **NGO** – (Non Governmental Organization), **INGO** – (International Non Governmental Organization) – ების სამოქმედო გარემო. არასამთავრობო ორგანიზაციები, განსხვავებით სხვა სახის ინტერეს ჯგუფებისაგან, ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა, წარმოადგენენ სამოქალაქო სექტორის, ყველაზე ორგანიზებულ ნაწილს. მათ გრძელვადიანი და სხვადასხვა სახის მიზნები და ამოცანები ამოძრავებთ. მათი ქმედებები გაცილებით თანმიმდევრული და მოცულობითია. დიდი ნაწილი, უცხოური მხარდაჭერით სარგებლობს. ამასთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციები გარკვეულ წილად აერთიანებენ, სხვადასხვა დროებითი ინტერეს ჯგუფების მიზნებსა და ამოცანებს. მცირე საინიციატივო ჯგუფების გააქტიურებისთანავე

¹⁰ ჩაჩავა, მ. ჩ, სამოქალაქო საზოგადოება და მედია, <http://www.grassroots.ge/>, 2013, 1-8.

NGO-ები და INGO-ები პოზიტიურად ან ნეგატიურად ახდენენ რეაგირებას, მათ ინიციატივებზე.

თემის აქტუალობა

საინფორმაციო საშუალებებზე დაკვირვებითაც კი, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში. პოლიტიკოსების, და მათი იდეების აქტიურ ოპონენტებად ხშირ შემთხვევაში, სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციები გვევლინებიან. ერთის მხრივ, როგორც კი ჩნდება პრობლემა რომელიმე NGO დაუყოვნებლივ ერთვება მის შესწავლაში, მეორეს მხრივ კი ხშირ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ხოლმე პრობლემის ხილვადობის გაზრდას.

არასამთავრობო ორგანიზაციები, გარკვეულწილად შეზღუდულები იყვნენ. ძნელი იყო დაფინანსების, საჯარო ინფორმაციის მოპოვება და შესაბამისად პრობლემური საკითხების გამოკვეთა და ანალიზი. არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო გარემო, 2012 წლის არჩევნების შემდეგ გარკვეულწილად უნდა შეცვლილიყო. მედიის დამოუკიდებლობა, აღმასრულებელი და საპარლამენტო ხელისუფლების წევრების ღიაობა და გახსნილობა, გაცილებით მეტ ბერკეტს უნდა აძლევდეს არასამთავრობო ორგანიზაციას, პრობლემების იდენტიფიკაციისა და შემდგომში მათი გადაწყვეტის სწორი ადვოკატირებისთვის.

G-PAC ის კვლევის მიხედვით, საქართველოში 2011 წლიდან 2014 წლამდე სამოქალაქო აქტივობის დონე არ შეცვლილა, ეს დასკვნა შემდეგი მონაცემების საფუძველზე კეთდება:

რესპონდენტთა 13% აცხადებს, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დაესწრო საჯარო შეხვედრას, 4% ამბობს, რომ წერილი გაგზავნა ან დარეკა გაზეთის, ტელევიზიის ან რადიოს რედაქციაში და მხოლოდ 3% აცხადებს, რომ მონაწილეობა მიიღო პოლიტიკურ დემონსტრაციაში (G-PAC, 2014). ყველაზე აქტიური პირების განსაზღვრისას, რომლებიც ყველაზე მეტად არიან ჩართული სამოქალაქო ცხოვრებაში, საინტერესო გარემოება გამოიკვეთა. კვლევის მიხედვით ცნობილი ხდება, რომ ყველაზე აქტიური პირები ახალგაზრდები არიან, რომელთაც შედარებით მაღალი განათლება აქვთ მიღებული, ხშირად სარგებლობენ ინტერნეტით, და ამავე დროს ცხოვრობენ დედაქალაქიდან მოშორებით – პატარა ქალაქებსა და სოფლებში. 2014 წლის

მონაცემებით 35% აცხადებს რომ გაწევრიანდებოდა ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციაში რომელიც მის ინტერესებს დაიცავდა, ხოლო 65% არ აინტერესებს არცერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში გაწევრიანება.

აქედან გამომდინარე ლოგიკური კითხვების ფორმულირება ხდება შესაძლებელი – რატომ არ ენდობა საზოგადოება არასამთავრობოებს? რატომ არ არიან ჩართულნი სხვადასხვა აქტივობებში? ასახავს თუ არა NGO სექტორი საზოგადოების ინტერესებს? რა გავლენას ახდენს საზოგადოების ინერტულობა არასამთავრობო სექტორის ფუნქციონირებაზე? სწორედ ამ კითხვებზე, პასუხის გაცემა წარმოადგენს, ნაშრომის მთავარ მიზანს.

ძირითადი ნაწილი

G-PAC – მა თავის კვლევაში (2013), სამოქალაქო სექტორის ფორმულირება ძალზედ ფართო სახით წარმოგვიდგინა. არასამთავრობო ორგანიზაციებს დაემატა ისეთი გაერთიანებები, როგორცაა – წიგნის კლუბი, მწერალთა ან ხელოვანთა გაერთიანება, ცეკვის, თეატრის ან სპორტის მოყვარულთა გაერთიანებები, მსგავსი ინტერესების ონლაინ გაერთიანება. თუმცა როგორც გამოქვეყნებული შედეგებიდან ირკვევა, მოსახლეობის აქტივობა ამ მიმართულებით მაინც ძალიან დაბალია – გამოკითხულთა მხოლოდ 2% აცხადებს რომ ასეთი გაერთიანების წევრია, 98% კი უარყოფს რაიმე სახის სამოქალაქო ორგანიზაციის წევრობას.¹¹ ეს პროცესი ნეგატიურად აისახება სამოქალაქო სექტორის განვითარებაზე. მათ გავლენაზე პოლიტიკის ფორმირების პროცესზე, ადვოკატირების პროცესზე. მითუმეტეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომელთა ტაქტიკა და სტრატეგია მთლიანად ემყარება მედია კამპანიების წარმოებასა და აქტივიზმს. სამოქალაქო სექტორის განვითარების მოცემული კვლევის მიხედვით, თუკი საქართველოს 2014 წლის მონაცემების მიხედვით, შევადარებთ სხვა პოსტსაბჭოთა, ევროპულ სახელმწიფოებს საქართველო ბოლო ადგილზე იმყოფება და ფასდება როგორც კრიზისული მდგომარეობა (CSO Index, 2014).

მდგრადი განვითარების ინდექსი

ცხრილი N1

ქვეყანა	მოსახლეობა	GDP	CSO Index
---------	------------	-----	-----------

¹¹ „The 2014 CSO Sustainability Index for Central Eastern Europe and Eurasia 15 th Anniversary Edition” https://www.usaid.gov/sites/default/files/documents/1863/EuropeEurasia_FY2014_CSOSI_Report.pdf (0ct.25.2016)

საქართველო	4,935,880	7,700\$	79
ლატვია	2,165,165	23,900\$	48
ლიტვა	3,505,738	26.700\$	35
ესტონეთი	1,257,921	26,600\$	33
პოლონეთი	38,346,279	24,400\$	35

ამავე მონაცემებით საქართველო ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს როგორცაა რუსეთი – ინდექსი: 57; ბულგარეთი – 58; სერბეთი – 77; ბელარუსი – 53.¹²

სამოქალაქო სექტორის განვითარების ინდექსი და მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობა ერთმანეთზე დამოკიდებული და გარკვეულწილად ერთმანეთის განმსაზღვრელი მონაცემებია. ხელისუფლების კონტროლის მექანიზმები თავმოყრილია არასამთავრობო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების ხელში. შესაბამისად CSO-ს დაბალი ინდექსი, ნიშნავს მეტ ჩართულობას. ამით არის განპირობებული GDP-ის მაჩვენებელი. თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ მაღალი GDP – ევროკავშირის წევრობით განპირობებული მონაცემებია. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება კი ამ ქვეყნებში არა საზოგადოების მხრიდან, არამედ ხელისუფლების მხრიდან მოხდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო გარემო, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ მოქნილობას, კონფლიქტური საჯარო პოლიტიკური საკითხების ანალიზისა და მათ გადაჭრაზე მუშაობის პროცესში. არასამთავრობო სექტორის სამოქმედო გარემოს შესწავლისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ქვეყანაში არსებული – **მმართველობის გარემო, სოციალურ-ეკონომიკური გარემო და სოციალურ-კულტურული გარემო**. აღნიშნული სფეროები თავის მხრივ აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: საკანონმდებლო რეგულაციები, არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაციის პირობები, საჯარო ინფორმაციის მიღების სიმარტივე, დივერსიფიცირებული დაფინანსების მიღების შესაძლებლობები, კომუნიკაციის ფორმები და სიმარტივე ხელისუფლების შტოებთან, მედიის თავისუფლება, პოლიტიკის საკითხების შესახებ დიალოგი, კორუფცია, მოხალისეობა, კერძო სექტორის დამოუკიდებლობა პოლიტიკური გავლენებისაგან, სიტყვისა და გამოხატვის

¹² The 2014 CSO Sustainability Index for Central Eastern Europe and Eurasia 15 th Anniversary Edition” https://www.usaid.gov/sites/default/files/documents/1863/EuropeEurasia_FY2014_CSOSI_Report.pdf (0ct.25.2016)

თავისუფლება, სამოქალაქო სექტორის განვითარების დონე, საზოგადოების ნდობა NGO სექტორის მიმართ და ა.შ ამიტომაც, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, კონფლიქტურ საკითხებზე ადვოკატირების პროცესის დროს, გამოვლენილ დაბრკოლებებზე და წინააღმდეგობებზე მსჯელობა, შეუძლებელია შეფასდეს არასამთავრობო სექტორის სამოქმედო გარემოს სიღრმისეული ანალიზის გარეშე. ჩამოთვლილი გარემოებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის, დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პერსპექტივებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა საჯარო პოლიტიკის კეთების პროცესში და მათი მონაწილეობა ან/და ზეგავლენა გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, შესაძლოა ერთი და იგივე სირთულეების წინაშე იდგეს სხვადასხვა პოლიტიკურ რეალობაში. ამ ნაშრომში განხილული მოვლენები მოცემულია ორი სხვადასხვა პოლიტიკური რეალობის ანალიზიდან. კვლევის ფარგლებში ჩაწერილ იქნა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი და ხელმძღვანელი პირი, მათი ინტერვიუება მოიცავდა - **2012 წლის არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომი პერიოდის შედარებას.**

NGO-ების ჩართულობის ხარისხი, 2012 წლის შემდგომ, საგრძნობლად გაზრდილია. მაგალითისათვის შესაძლებელია მოვიყვანოთ, ე.წ პირადი ცხოვრების ამსახველი, ფარული ჩანაწერების განადგურების კომისია; ასოცირების ხელშეკრულება; პროკურატურისა და შსს-ს რეფორმირების სამუშაო ჯგუფები; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის საკითხი; სახალხო დამცველის შერჩევის საკითხი; პოლიტპატიმრებს და უკანონო პატიმრების საქმეების შემსწავლელი კომისია; მასობრივი ამინისტიის კანონის მიღების პროცესი; გაფიცული მუშების შრომითი უფლებების დაცვის პროცესი, კამპანია „ეს შენ გეხება“. თითოეულ ამ მოვლენაში არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელისუფლებო რგოლების მიერ იქნა მოწვეული და ჩართული აღნიშნულ პროცესებში. ამ დონის საკითხებთან მიმართებაში 2012 წლის არჩევნებამდე ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა იყო, – არასამთავრობო ორგანიზაციებით დაკომპლექტდა ციხეების მონტორინგის 40 კაციანი საბჭო, რომელსაც ციხეებში მონიტორინგი უნდა ეწარმოებინა, თუმცა რესპოდენტების ნაწილის შეფასებით, ეს ღონისძიება ფორმალურ სახეს ატარებდა და ქმედითი ღონისძიებების გატარება არ შეეძლო. რაც შეეხება რეფორმების გატარების პროცესს, ხელისუფლების მიერ შექმნილი ახალი, დასაქმების სამინისტროს შექმნის დროს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,

(09/07/2012, #245) არაერთი რეკომენდაცია გაკეთდა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, თუმცა უშედეგოდ რადგანაც სამინისტროს შექმნა წინასაარჩევნო პიარს ემსახურებოდა. ამიტომ მსგავსი პროცესები ძირითადად დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. რესპოდენტების თქმით 2012 წლამდე პოლიტიკური პროცესები არასამთავრობო ორგანიზაციების მინიმალური ჩართულობით მიმდინარეობდა. 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ჩართულობის ზრდის მიუხედავად, იგივეს თქმა ძნელია გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. NGO-ების მიერ, საჯარო პოლიტიკურ საკითხებზე ზეგავლენის მოხდენისა და გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის მხრივ, შესაძლებელია ითქვას, რომ ვითარება დიდად არ შეცვლილა. რესპოდენტების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ხელისუფლება ღია და გამჭვირვალე გახდა. თუმცა ეს მოცემულობა არ განაპირობებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გადაწყვეტილების პროცესზე გავლენის მოხდენის ზრდას.

პროკურატურის რეფორმირების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, ინტენსიური მსჯელობების ფონზე მიმდინარეობდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოისმინეს NGO – ების დასკვნები და რეკომენდაციები, მათი ანალიზის დროს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დაფიქსირდა აზრთა სხვადასხვაობები. აღმასრულებელი და საპარლამენტო ხელისუფლების წარმომადგენლების ნაწილი ეთანხმებოდა NGO – ების ზოგიერთ მოსაზრებას. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კი, რეფორმის ინიციატორი, იუსტიციის სამინისტროს პრეროგატივა იყო. სამინისტრომ პარლამენტში წარადგინა პროკურატურის რეფორმირების კონცეფცია, პრაქტიკულად უცვლელი სახით, რაც წარმოდგენილ იყო სამუშაო ჯგუფის პირველად შეხვედრაზე. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა, NGO – ების მიერ მიწოდებული ყველა სახის წინადადება.

რესპოდენტთა უმეტესობა სწორედ ამ მაგალითით ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ ხელისუფლება ერთის მხრივ გამჭვირვალეა მაგრამ მეორეს მხრივ არასამთავრობოებს უჭირთ ადვოკატირება თავიანთი რეკომენდაციების რეალიზების კუთხით.

NGO – ების უნარი, გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, პრაქტიკულად იგივე სტატუს-კვოს ინარჩუნებს, რაც 2012 წლამდე იყო. ამ საკითხზე, მსგავს შეფასებებს არაერთი რესპოდენტი აკეთებს. მათი შეფასებებიდან და ორი განსხვავებული პოლიტიკური გარემოს ანალიზიდან, მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები იკვეთება. ერთ-ერთი მედია კამპანიის „ეს შენ გეხება“-ს მაგალითზე მსჯელობისას და NGO სექტორის სამოქმედო გარემოს ანალიზით იკვეთება, რომ – 2012 წლამდე პერიოდში,

სამოქმედო გარემო შეზღუდული იყო, დემოკრატიული ინსტიტუტები პოლიტიკური წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ, მედია სივრცე რეპრესირებული და შეზღუდული იყო, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დიდი საფრთხეების წინაშე იდგა. 2012 წლის შემდეგ კი, სამოქმედო გარემო მნიშვნელოვან წილად გაუმჯობესდა. ამ ფონზე, რესპოდენტების ნაწილი, სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, აცხადებს, რომ 2012 წლამდე პერიოდში წარმოებული კამპანია „ეს შენ გეხება“, – გაცილებით უფრო ეფექტური იყო, ვიდრე 2012 წლის შემდეგ წარმოებული. მათი შეფასებით 2012 წელს, კამპანია „ეს შენ გეხება“-ს ხელისუფლება აქტიურად დევნიდა, ვერ ხერხდებოდა კამპანიის გაპიარება და მოსახლეობამდე ინფორმაციის მიტანა. ამის მიუხედავად, რესპოდენტების უმეტესობა, კამპანიას წარმატებულად აფასებს, რადგან მათ მოახერხეს ევრო კომისიისა და ვენეციის კომისიის ჩართვა პროცესებში, რამაც ხელისუფლებას აიძულა ცვლილებები განეხორციელებინა. 2012 წლის შემდგომ კი კამპანიის აქტიური გაშუქებისა და ფართო კამპანიის მიუხედავად, ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენა ვერ შეძლეს. რესპოდენტების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების არაეფექტურობის გამომწვევი მიზეზი საზოგადოების უნდობლობაში უნდა ვეძებოთ და არა მათი ჩართულობის ხარისხში, გადაწყვეტილებების მიღებისას. ვინაიდან საზოგადოებას ყოველთვის აქვს განცდა, რომ ესა თუ ის ორგანიზაცია რომელიმე პოლიტიკური ძალის ინტერესების გამტარებელია.

რესპოდენტების მიერ დასახელებულ იქნა, რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება, 2012 წლამდე და შემდგომ პერიოდებს შორის, ადვოკატირების შესაძლებლობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო გარემოს ცვლილებების კუთხით. ძირითადად, გამოკითხულთა უმეტესობა ასახელებს ცვლილებებს:

1. ხელისუფლების ჩართულობის დონე

კონფლიქტური საკითხების განხილვისას, ხელისუფლების ჩართულობის დონე გაზრდილია. ამის მაგალითს წარმოადგენს კაზრეთის მუშების გაფიცვები, ასევე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის 2013 და 2015 წლების, რუსთავის მიკროავტობუსების სამარშუტო მძღოლების 2015 წლის, ზესტაფონი – სამტრედიის ავტომაგისტრალზე დასაქმებული მუშების 2014 წლის გაფიცვები. არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით და წარმოებული ადვოკატირების კამპანიის შედეგად, თითოეულ შემთხვევაში, ხელისუფლების წარმომადგენლები ინტერესდებოდნენ საკითხის გადაწყვეტით. კომუნიკაციას ამყარებდნენ გაფიცულებთან, დამსაქმებლებთან

და არასამთავრობოებთან. მონაწილეობდნენ მოლაპარაკებების პროცესში და ამასთან ერთად არცერთ ამ შემთხვევაში ხელისუფლებას არ მიუმართავს საკითხის გადაწყვეტის ძალადობრივი მეთოდებისათვის.

ამ მაგალითებით შეიძლება დავასკვნათ, რომ როდესაც საზოგადოების და ამ კონკრეტულ შემთხვევაში მუშების პრობლემების და არასამთავრობოების ინტერესები თანხვედრაში მოვიდა, ადვოკატირების პროცესი წარმატებული აღმოჩნდა.

კიდევ ერთ-ერთი რესპოდენტი საუბრობს მსგავს ფაქტებზე, შპს „გეოსთილი“-ს მუშების 2010 წლის გაფიცვა, მისი თქმით პოლიციის მუქარის შედეგად შეწყდა. ხელისუფლებას, მუშების მოთხოვნებზე რეაგირება არ მოუხდენია. ისინი ითხოვდნენ ჰიგიენური პირობების, მოწესრიგებას, უსაფრთხოების ნორმების დაცვას, არანორმირებული სამუშაო გრაფიკის ფონზე ძალზე დაბალ ანაზღაურებას (humanrights, 2010).

2. არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის შესაძლებლობები:

არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის დონე გაზრდილია, კონფლიქტურ საკითხებზე მუშაობის და მსჯელობისას. ხელისუფლება, მეტ დიალბას აფიქსირებს და ხშირად მართავს კონსულტაციებს სამოქალაქო სექტორთან. ამის მაგალითებად სახელდება შსს და პროკურატურის რეფორმირების საკითხები 2015 წელს; ფარული მოსმენებისა და მიყურადების, ასევე პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო და აუდიო მასალების განადგურების საკითხები 2013-2014 წლებში, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირების საკითხი 2012-2015 წლებში. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ სახელისუფლებო რგოლები აქტიურად ხვდებიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მათთან ერთად განიხილავენ კონფლიქტური საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობებს. თუმცა ამის ფონზე აღნიშნავენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, კვლავ დაბალია და 2012 წლამდე მდგომარეობას უტოლდება.

დასკვნა

აქედან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის სამოქმედო გარემო გაუმჯობესებულია, საჯარო ინფორმაციის მოპოვების, მედიაზე წვდომის და დაფარვის, სიტყვის თავისუფლების კუთხით. არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენა გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე

უმნიშვნელოდ შეიცვალა. როგორც ინტერვიუების ანალიზიდან ირკვევა, ხელისუფლებაზე გავლენას ახდენს ის საკითხები რაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის და ამავდროულად მოსახლეობის დაკვეთის საგანია. მაგალითისათვის გაფიცული მუშების საკითხებში ხელისუფლების წარმომადგენლების მაღალი ჩართულობის დონე განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ საზოგადოების ფართო მასები მხარს უჭერდა და სოლიდარული იყო მათი პრობლემების მიმართ. ამავდროულად გაფიცული მემხატეების შემთხვევაში, ხელისუფლებამ (ადგილობრივმა თვითმმართველობამ) საგრძნობლად დააგვიანა რეაგირება, რაც ასევე არაეფექტური აღმოჩნდა. ამის გამომწვევ მიზეზად კი კერძო კომპანიასა და ხელისუფლებას შორის დიკომუნიკაციის შედეგი უნდა ყოფილიყო. რადგანაც კერძო კომპანიისაგან ხელისუფლების აქტივობა, მის საქმიანობაში ხელის შეშლად შეფასდებოდა. მეორეს მხრივ კი გაფიცული მუშების შრომითი უფლებების დაცვა ვერ შეძლეს სახელმწიფო უწყებებმა. ეს იმ ფონზე როდესაც შრომის კოდექსში უკვე განხორციელებული იყო ევროკავშირის მიერ რეკომენდირებული ცვლილებები.

კვლევის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო გარემო მკვეთრად გაუმჯობესებულია. თუმცა საზოგადოებრივი აქტივობები კვლავ კრიზისულად დაბალ მაჩვენებელს უტოლდება. ევრო სტრუქტურებში ინტეგრაციისათვის აუცილებელი მოთხოვნებიდან შესასრულებელი საკანონმდებლო ვალდებულებების უმეტესი ნაწილი შესრულებულია. ლოგიკურ გაგრძელებად შესაძლოა მოაზრებულ იქნას მოსალოდნელი ვიზალიბერალიზაციის პროცესი. თუმცა ქვეყნის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისათვის, საზოგადოების აქტივობა და ქვეყნის ეკონომიკა კვლავ ძალზე დაბალ დონეზეა სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით. ჩვენს შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება პირდაპირ კავშირში არ არის საზოგადოებრივ აქტივობებთან. სამოქმედო გარემო, რომელიც უამრავ მიმართულებას მოიცავს, ხელისუფლების კეთილი ნებიდან გამომდინარეობს, რაც ქვეყნის სტაბილური განვითარებისათვის არ არის საკმარისი გარანტი. ეს გარემოება ასევე კავშირშია ერთიან ეროვნულ შიდა პროდუქტთან რაც ეკონომიკის განვითარების ერთ – ერთი მთავარი მაჩვენებელია. ამ მაჩვენებლების გაუმჯობესება მნიშვნელოვნად დაგვაახლოვებს ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

civil.ge, „არასამთავრობო და მედია ორგანიზაციები “შუღლის გაღვივების მოწოდებების” კრიმინალიზების გეგმებს აკრიტიკებენ“, 2015.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, „ქართული მედია გარდამავალ პერიოდში“, 2014.

www.civics.ge, „ადვოკატირება – სოციალური ცვლილებების საფუძველი“, 2015

ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს 2014-2015

ჩაჩავა,მ. ჩ, სამოქალაქო საზოგადოება და მედია, <http://www.grassroots.ge/>, 2013, 1-8.

საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2008, 1-645.

crrc.ge, საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების

განვითარება საქართველოში (G-PAC), <http://www.crrc.ge/>, 2014.

esshengexeba.ge/, კამპანია „ეს შენ გეხება“, 2012.

esshengexeba.ge/, კამპანია „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ“, 2014.

ევროკავშირი EU, ევროკავშირის სტრატეგია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისთვის, 2014, 1-41.

არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო გარემო საქართველოში და მისი გავლენა ევროპულ ინტეგრაციაზე

თინათინ ნიბლოშვილი
დოქტორანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მიზანი - „არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო გარემო და მისი გავლენა ევროპულ ინტეგრაციაზე“ კვლევის მიზანია, არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო გარემოს ანალიზი, რის საფუძველზეც უნდა გამოიკვეთოს, ქვეყნის წინაშე არსებული ძირითადი დაბრკოლებები, რაც ხელს უშლის ევროპულ ინტეგრაციას.

კვლევის მეთოდოლოგია/მიდგომა - კვლევა დაიგეგმა, თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით. თვისებრივი კვლევის კუთხით ჩამოყალიბდა კითხვარი სიღრმისეული ინტერვიუსათვის. განხორციელდა ევროსაბჭოს პლატფორმაში გაწევრიანებული არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩევა შემდეგი კრიტერიუმებით:

არასამთავრობო ორგანიზაციების ასაკი: 5, 15 წელი. აღნიშნული კრიტერიუმი აღებულია სხვადასხვა პოლიტიკურ რეალობაში გამოცდილების მქონე NGO/INGO ების წინაშე არსებული გამოწვევების უკეთ ანალიზისა და ერთმანეთთან შედარებისათვის.

ორგანიზაციების საქმიანობის სფერო: პატიმრების უფლებები, დასაქმებულთა უფლებები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 6 სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პირმა ან/და გამგეობის წევრმა. სიღრმისეული ინტერვიუების საერთო რაოდენობამ 220 წუთი შეადგინა. რესპოდენტებთან ინტერვიუებზე ხორციელდებოდა 25 კითხვისაგან შემდგარი კითხვარით.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა - კვლევის პროცესის ძირითად ხარვეზად გამოვლინდა საკვლევი თემის დიდი მოცულობა რომელთა დამუშავება და ანალიზი 12 გვერდიანი ნაშრომის ფარგლებში საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

სიახლე/ღირებულება - საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების გათვალისწინებით.

Working Environment for Non-Governmental Organizations in Georgia and its Influence on European Integration

Tinatin Nibloshvili

PhD Student

Caucasus University

Abstract

Purpose – “Working Environment for Non-Governmental Organizations in Georgia and its influence on European Integration” aims to analyze environment of non-government organizations and clarify main issues on providing obstacles on Georgia’s way on European integration.

Research’s methodology/approach – Research was planned with usage of qualitative methodology. A questionnaire for relevant interviews was designed on the basis of qualitative research. Non-governmental organizations which are members of the Council of Europe’s platform were chosen due to the following criteria:

Age of non-governmental organizations: 5.15 years. This criteria was taken to analyze and compare experience of NGO/INGO’s issues in different political realities.

Organization’s sphere of action: Prisoner’s rights and Employees’ rights.

The participants of research were the heads or board members of 6 different non-governmental organizations. Total duration of interviews was 220 minutes. Process of interviews was held with questionnaire of 25 questions.

Research limitations/implications - The main problematic limitation was a large amount of information which needed to be analyzed in 12 pages.

Originality/Value – Clarifying obstacles on Georgia’s way on European integration by analyzing problematic issues of non-governmental organizations.

გოგონათა ნაადრევი ქორწინება სოციალური თუ კრიმინოლოგიური
პრობლემა



ნათია სონლულაშვილი
დოქტორანტი

შესავალი

დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება ადამიანთა დიდი ნაწილის ცხოვრების განუყოფელ და კანონზომიერ ცხოვრებისეულ ციკლს წარმოადგენს, რომელთაგან ადამიანს, როგორც ინდივიდს, მხოლოდ ქორწინების, როგორც არჩევანის გაკეთების საშუალება გააჩნია. ქორწინების უფლება პირდაპირ კავშირშია ადამიანის ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობასთან, რადგანაც ყველა ადამიანს აქვს უფლება თავად განსაზღვროს და დაგეგმოს მომავალი, აირჩიოს პარტნიორი.

„ქორწინება ოჯახის საფუძველია. მასში, პირველ ყოვლისა, ასახვას პოულობს სულიერი, ზნეობრივი, ასევე, პირადი და ქონებრივი ურთიერთობების გაერთიანება. ქორწინებისთვის დამახასიათებელი იურიდიული ნიშნების გათვალისწინებით, კანონმდებელს საშუალება მიეცა შემოეთავაზებინა ქორწინების შემდეგნაირი განსაზღვრება: ქორწინება მამაკაცისა და ქალის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირია, ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც მყარდება კანონით დადგენილი წესისა და პირობების დაცვით, წარმოშობს მეუღლეთა შორის პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს“¹³.

ქალთა უფლება თავისუფლად აირჩიონ მეუღლე და იქორწინონ, მათი ცხოვრების, ისევე როგორც ადამიანის ღირსებისა და თა ნასწორობის, უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ქვემოთ მოყვანილი კვლევების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში არსებობს რეგიონები და ქალაქებიც კი, სადაც ჩვეულებების, რელიგიურ შეხედულებებისა და ცალკეული პირების ეთნიკური წარმომავლობის გამო, ხშირია ნაადრევი ქორწინებები, რაც უმეტეს შემთხვევაში გამორიცხავს ქალის თავისუფალი არჩევანის არსებობას, რადგანაც

¹³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.07.2015 წლის საქმე №ას-187-174-2015; <http://prg.supremecourt.ge/>;

არჩევანს მსგავს შემთხვევაში, აკეთებენ ბავშვები, რომლებსაც თავისი ასაკიდან გამომდინარე, არ შეუძლიათ მისცენ ქორწინებაზე თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის თანახმად ქორწინება დასაშვებია 18 წლის ასაკიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2015 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, განისაზღვრა 2 წლიანი გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც 17 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მისი ნებით და მხოლოდ სასამართლოს თანხმობით, ისიც მხოლოდ ბავშვის დაბადების შემთხვევაში, 2017 წლის 01 იანვრამდე. ამავე ცვლილებით გაუქმდა ჩანაწერი, რომელიც საშუალებას აძლევდა მშობელს ან მზრუნველს, წინასწარი წერილობითი თანხმობით, ნება დაერთო 16 წელს მიღწეული პირისათვის ქორწინებაზე.

სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული ცვლილების ავტორი იყო საქართველოს სახალხო დამცველი, რომლის ყოველწლიურ ანგარიშებში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობოდა აღნიშნულ პრობლემას.¹⁴

მაგალითისთვის საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წლის ანგარიშში „გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები“, წარმოადგინა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მონაცემები, რომლის მიხედვით, 18 წელს მიუღწეველი დაახლოებით 14 მილიონი გოგო ქორწინდება ერთი წლის განმავლობაში, 38 000 ერთ დღეს, 13 გოგონა კი 30 წამში. ანგარიშის მიხედვით, 2013 წლის იანვრამდე საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო საფეხურის დასრულებამდე 7 367 გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება, რისი მიზეზიც უმრავლეს შემთხვევაში ადრეული ქორწინება იყო.¹⁵

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშის თანახმად, სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა მოაგროვა ადრეულ ასაკში ქორწინების მონაცემები, რომლის თანახმადაც 2014 წელს 665, არასრულწლოვანი პირის

¹⁴ იხ. საქართველოს პარლამენტის ინტერნეტ-გვერდი, <http://info.parliament.ge/#law-drafting/10819>;

¹⁵ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში „გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები“, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3280.pdf>;

ქორწინება დარეგისტრირდა, ხოლო 2015 წელს 611. მოცემული მაჩვენებლებიდან 95%-ის შემთხვევაშიც არასრულწლოვანი გოგო იყო.¹⁶

ძირითადი ნაწილი

როგორც ცნობილია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის თანახმად, დასჯადია სრულწლოვანის სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში განსაკუთრებით აქტუალურია 16 წლამდე ასაკის ქალთა ქორწინების პრობლემა, რაც თავისთავად ქმნის სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას და იმ პირთა მიმართ დევნის დაწყების საფუძველს, რომლებმაც ოჯახი შექმნეს 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან და ამ მიზნით დაამყარეს მასთან სქესობრივი კავშირი.


სქესობრივი დანაშაულის, კერძოდ თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირებთან ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის ეფექტური პრევენციის მიზნით, საქართველოს პროკურატურის მიერ შესწავლილი იქნა 2015 წლის პერიოდში მთელი ქვეყნის მასშტაბით სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით გამოძიებადაწყებული 189 სისხლის სამართლის საქმე.¹⁷

ჩატარებული კვლევის თანახმად, 2015 წლის საანგარიშო პერიოდში, სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოძიება დაიწყო სულ 183 საქმეზე. საკითხის შესწავლის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ ვისგან ხდება მეტწილად ცნობილი სამართალდამცავებისათვის ფაქტის თაობაზე. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ფაქტების დიდი ნაწილის შესახებ სამართალდამცავი ორგანოებისთვის ცნობილი გახდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან. ამ მონაცემების მიხედვით:

125 შემთხვევაში შეტყობინების ავტორი არის სამოქალაქო რეესტრის სააგენტო; 20 ფაქტზე - ოჯახის წევრი; 15 ფაქტზე - სამედიცინო დაწესებულება; 6 ფაქტზე - თავად დაზარალებული; 2 ფაქტზე - ახლობელი; 21 ფაქტზე - სხვა პირები.

¹⁶ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში „გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები“, <http://www.ombudsman.ge/>;

¹⁷ იხ. საქართველოს პროკურატურის ვებგვერდი <http://pog.gov.ge/res/docs/holideiinn/140analizi.pdf>;



კვლევის შედეგების მიხედვით, დანაშაულის ჩადენის თაობაზე გამოძიების ორგანოებისათვის მეტწილად ცნობილი ხდება მაშინ, როდესაც ბავშვის დაბადების შემდგომ სამშობიარო დაწესებულებიდან დაბადების რეგისტრაციის მიზნით სამედიცინო ცნობა (რომელიც შეიცავს მშობლების დაბადების თარიღებს) ეგზავნება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, მიმართავს სამართალდამცავ ორგანოს. შესაბამისად, ფაქტზე გამოძიება იწყება მას შემდეგ, რაც წყვილი გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანაცხოვრობს როგორც ოჯახი და ჰყავთ შვილი ან შვილები. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემებიდან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ რეაგირების კუთხით სამოქალაქო რეესტრის იდენტური მაჩვენებელი უნდა ჰქონდეს სამედიცინო დაწესებულებებსაც, სამშობიარო სახლებს, რადგანაც სამოქალაქო რეესტრამდე, ახალშობილთა და მათი მშობლების მონაცემების პირველადი დამუშავება ხდება, სწორედ სამედიცინო დაწესებულებებში. შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულებები მსგავსი ფაქტების გამოვლენის კუთხით ერთ-ერთი სუსტი რგოლია. აღნიშნული მაჩვენებელიდან ასევე საგანგაშოა ის ფაქტიც, რომ მსგავს შემთხვევებზე არანაირ რეაგირებას არ ახდენენ არასრულწლოვანის ოჯახის წევრები და ახლობლები.

ამავე კვლევის მიხედვით, 2015 წლის განმავლობაში დედაქალაქში მომხდარია 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მხოლოდ 8 ფაქტი. დიდი ნაწილი - 50 ფაქტი

მომხდარია ქვემო ქართლის რეგიონში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში - 26 ფაქტი, კახეთში - 24 ფაქტი, დასავლეთ საქართველოში - 22 ფაქტი, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 16 ფაქტი, შიდა ქართლში - 12 ფაქტი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში - 2 ფაქტი; დაუდგენელია 1 ფაქტის ადგილი.

ამავე კვლევიდან ირკვევა, რომ სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული ფაქტების ყველაზე დიდი ნაწილი მომხდარია ოჯახის შექმნის მიზნით ან/და ოჯახური თანაცხოვრებისას. ასეთია 140 ფაქტი, 189-დან. მხოლოდ 23 შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა 16 წლამდე პირთან სქესობრივი კავშირს ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ მოქმედებას შემთხვევითი კავშირის, ნაცნობობის დროს და ა.შ. ანუ ოჯახის შექმნის მიზნის გარეშე.

შესწავლილი საქმეების დიდ ნაწილში პოტენციურ დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის არის ოჯახური კავშირი, კერძოდ: 140 ფაქტის დროს დაზარალებულია ცოლი, ხოლო ბრალდებული ქმარი. კვლევამ აჩვენა, რომ გამოძიების დაწყების დროისათვის აღნიშნული 140 ფაქტიდან ერთობლივი თანაცხოვრების შედეგად შვილი/შვილები უკვე ჰყავდა 124 წყვილს.

შვილიდ ყოლის ეტაპზე მიმართვიანობა უკავშირდება მეორე პრობლემასაც, როდესაც არ ხდება ქორწინების რეგისტრაცია და არასრულწლოვანი წყვილი თანაცხოვრებს რეგისტრირებული ქორწინების გარეშე. ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მხოლოდ რეგისტრირება წარმოშობს მეუღლეთა შორის უფლებება-მოვალეობებს. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს სამართლებრივი კულტურის ნაკლებობასა და ამ საკითხში საზოგადოების გაუთვისებლობაზე.

სახალხო დამცველმა აღნიშნულ საკითხზე შემუშავებულ არაერთ რეკომენდაციაში, ადრეული ქორწინების და განსაკუთრებით 140-ე მუხლით გათვალისწინებული ფაქტის დაფიქსირების ერთ-ერთ არაეფექტურ მექანიზმად მიუთითა ბრალდებულების მიმართ გატარებული ლოიალური სისხლისამართლებრივი დევნის პოლიტიკა.

აღნიშნული მსჯელობის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანი გარემოებების აუცილებელი გათვალისწინება:

1) ბრალდებული რომელიც უკვე თავად არის მშობელი, რიგ შემთხვევაში ჰყავს ერთზე მეტი შვილი;

2) საქართველოს სსკ 140-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი 7-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა.

როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულის ჩადენის თაობაზე საგამოძიებო ორგანოებისთვის მეტწილად ცნობილი ხდება ბავშვის დაბადების შემდგომ, სამოქალაქო რეაქტორის სააგენტოს მეშვეობით. შესაბამისად, ფაქტზე გამოძიება იწყება მას შემდეგ, რაც წყვილი გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანაცხოვრობს როგორც ოჯახი და ჰყავთ შვილი ან შვილები. გამოძიების მიმდინარეობისას, როგორც წესი, „დაზარალებული“ აქცენტს აკეთებს ქმედების ნებაყოფლობითობაზე, აქვს ოჯახისთვის მატერიალური ტვირთის დაკისრების შიში და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების წინააღმდეგია. ამგვარ შემთხვევებზე სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი რეაგირება (თუნდაც ნაკლებად მკაცრი) დაზარალებულსა და პოტენციურ ბრალდებულში, ზოგჯერ საზოგადოების წევრებშიც, იწვევს უარყოფით განცდებს, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ აყალიბებს იმგვარ შეხედულებებს, რომ სახელმწიფოს წარმოაჩენს „მოდლადედ“, რომელიც ანგრევს ოჯახს. ამასთან, „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ თანახმად, სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლეს, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. მითითებული მიზეზების გამო, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, უკანა პლანზე იწევს საჯარო ინტერესი, დევნა დაიწყოს იმ პირის მიმართ, რომელმაც 16 წლამდე პირთან დაამყარა სქესობრივი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით ან ოჯახური თანაცხოვრებისას.

მიმაჩნია, რომ სახელმწიფო მხრიდან სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბებას კიდევ უფრო უშლის ხელს დანაშაულისთვის გათვალისწინებული მკაცრი სანქცია (7-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა), რაც გამორიცხავს პირობითი მსჯავრის ან ნაკლებად მკაცრი სასჯელის გამოყენების შესაძლებლობას საპროცესო შეთანხმების გარეშე. კანონი საერთო ჭრილში განიხილავს ოჯახის შექმნის მიზნით ან ოჯახური თანაცხოვრებისას 16 წლამდე პირებთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, ანუ ნაადრევი ქორწინების შემთხვევებს და ოჯახის შექმნის მიზნის გარეშე 16 წლამდე პირთან სქესობრივი კავშირის დამყარების შემთხვევებს და შესაბამისად, არ იძლევა ქმედების ხასიათისა და სიმძიმის მიხედვით სასჯელის დიფერენცირების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია, რომ პრობლემის მოგვარების გზების ძებნა დაიწყოს პრობლემის სათავედან და არა შედეგიდან. ამისათვის მნიშვნელოვანია აქტიურად და კომპლექსურად

იქნეს გამოყენებული ის ბერკეტები, რომლებიც გააჩნია სახელმწიფოს, კონკრეტულად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს განათლების და ჯანდაცვის სამინისტროებს.

საქართველოს სახალხო დამცველის და პროკურატურის მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დაზარალებულები და ბრალდებულები დავყოთ შემდეგი ფაქტორების მიხედვით:

✓ კვლავაც აქტუალურია ადრეულ ასაკში სასკოლო დაწესებულებების მიტოვების რიცხვი, სადაც ჭარბობენ გოგოები;

✓ 140-ე მუხლით დაზარალებულად ცნობილი პირებიდან თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა გოგოა, ქართველი ან აზერბაიჯანელი ეროვნების.

✓ 140-ე მუხლით ბრალდებული პირების ასაკი 18-დან 25 წლამდე, ისინიც ქართველი ან აზერბაიჯანელი ეროვნების.

არასათანადო ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამალღების კამპანიის ნაკლებობის პირობებში, საზოგადოებას უჭირს იმის აღქმა, თუ რატომ არის ქმედება დანაშაული, ანალოგიურზე მიუთითებს სახალხო დამცველი საკუთარ ანგარიშებში და რეკომენდაციებში. მითუმეტეს, როცა მასს ოჯახის ერთი წევრი მეორის მიმართ ნებაყოფლობით სჩადის, ან აღნიშნული ქმედება არ შეიცავს ძალადობის ელემენტებს, ან პარტნიორები ოჯახის შექმნის მიზნით და ოჯახური თანაცხოვრებისას სჩადიან. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ სოციალურ (მაგალითად აზერბაიჯანელი ეროვნების საზოგადოებაში), სადაც ნაადრევ ასაკში ქორწინება ტრადიციას წარმოადგენს და წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარეობს.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 140-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩამდენი პოტენციური ბრალდებულების თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა არც წარსულში და არც ქმედების ჩადენის შემდეგ, კრიმინალური სამიანობის კუთხით არ წარმოადგენს მოწყვლად ჯგუფს. უფრო მეტიც. აღნიშნული კვლევის თანახმად, პოტენციურ ბრალდებულთა უმრავლესობა არ არის ნასამართლევი და გააჩნია საშუალო ან/და უმაღლესი განათლება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი დამოუკიდებელი კვლევის შედეგებმა წარმოაჩინა ძალან მკაფიო სურათი. კერძოდ არასრულწლოვან გოგონათა უმეტესობას არ გააჩნია

საბაზისო განათლება, მაშინ როდესაც პოტენციურ ბრალდებულებიდან (მამაკაცები) უმეტესობას არათუ საშუალო განათლება, არამედ უმაღლესი განათლებაც კი გააჩნია.

1993 წლის 14-15 ივნისს ვენაში გამართულ ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენციაზე მიღებული ვენის დეკლარაციისა და სამოქმედო პროგრამის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან შეცვალონ არსებული კანონმდებლობა და რეგულაციები და აღკვეთონ ისეთი ჩვეულებებისა და პრაქტიკის გამოყენება, რომელიც არასრულწლოვანი გოგონების მიმართ დისკრიმინაციულია და ზიანს აყენებთ მათ. „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის და „ბავშვთა უფლებათა კონვენციის“ დებულებების თანახმად, სახელმწიფოებს ეკრძალებათ აღიარონ ქორწინება იმ პირებს შორის, რომლებსაც სრულწლოვანებისთვის არ მიუღწევიათ. ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენციის თანახმად, „ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი რომელსაც 18 წელი არ შესრულებია, თუ კანონით, რომელიც ამ ბავშვის მიმართ გამოიყენება, ის უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.“

ქორწინების შედეგად ქალები და კაცები ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში საპასუხისმგებლო უფლება-ვალდებულებებს იღებენ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად არასრულწლოვანების, განსაკუთრებით კი გოგონების ქორწინება და ბავშვების ყოლა უარყოფით გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობასა და განათლებაზე. შედეგად, იზღუდება მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ეს ყოველივე უარყოფითად აისახება არა მხოლოდ ქალთა პიროვნების ჩამოყალიბების პროცესზე, არამედ ზღუდავს მათი სამუშაო უნარ-ჩვევებისა და დამოუკიდებლობის განვითარებას და ამცირებს მათი დასაქმების შესაძლებლობებს, რაც, თავის მხრივ, საბოლოო ჯამში აზიანებს მათ ოჯახებსა და საზოგადოებებს.

გაერო და მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია პარტნიორებთან ერთად მოუწოდებენ სახელმწიფოებს ნაადრევი ქორწინება ადამიანის უფლებების დარღვევად და მოზარდებისთვის საფრთხის შემცველად გამოაცხადონ და სტრატეგიული გეგმები შეიმუშაონ ამ მხენე ტრადიციის აღმოსაფხვრელად. ეროვნული კანონმდებლობის „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან (სტამბოლის კონვენცია) ჰარმონიზაციის მიზნით, შემუშავებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს სტამბოლის კონვენციის მოთხოვნათა იმპლემენტაციას 20-მდე საკანონმდებლო აქტში, აღნიშნული საკანონმდებლო

ცვლილებები უდაოდ ხელს უნდა შეუწყობს ქალთა უფლებების კეთ დაცვის კუთხით ეროვნული სამართლებრივი სივრცის მაქსიმალურად ეფექტური ნომრების შემუშავება/დანერგვას.

ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გაეროს სახელმწიფოებო ორგანოებს. ამის დასტურია, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის კომიტეტში (CEDAW) შესული განაცხადი, რომელშიც აღწერილია ოჯახში ძალადობის ფაქტები. აღნიშნული საქმის განხილვის ფარგლებში კომიტეტმა სხვა რეკომენდაციებთან ერთად, 1) საქართველოს დააკისრა გააძლიეროს ცნობადობის ასამაღლებელი კამპანიები და დაამკვიდროს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ქალების წინააღმდეგ ძალადობასა და კონკრეტულად ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით; 2) ჩატარდეს სავალდებულო ტრენინგები მოსამართლეთათვის, ადვოკატებისა და სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მათ შორის პროკურატურის თანამშრომელთათვის ოჯახში ძალადობის პრევენციის აქტთან დაკავშირებით, ასევე ოჯახში ძალადობის განმარტებასა და გენდერული სტერეოტიპებთან დაკავშირებით.¹⁸

ყველა ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად მხოლოდ გამართული კანონმდებლობა საკმარისი არ არის. უმნიშვნელოვანესია, რომ ქალებმა/გოგონებმა იცოდნენ საკუთარი უფლებების შესახებ და სახელმწიფოს სახით ჰყავდეთ მხარდამჭერი, რათა შეძლონ ამ უფლებებისთვის ბრძოლა, რადგან საკმაოდ ფესვგადგმულ ტრადიციებთან დაპირისპირებას ასეთივე ძლიერი ძალისხმევის გაღება სჭირდება.

დასკვნა

✓ აუცილებელია არსებული კანონმდებლობის გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული ქმედებების ერთმანეთისგან გამოჯვნა და ახალი ქმედებების კრიმინალიზაცია;

✓ აუცილებელია კანონმდებლობის შემუშავება, სამედიცინო დაწესებულებებისათვის (განსაკუთრებით სამშობიარო სახლები) მსგავსი ფაქტების პრევენციის მიზნით,

¹⁸ იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ.გვერდი <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlebebii7.pdf>;

შეტყობინების ვალდებულების სამართლებრივი რეგულირებისა და შეუსრულებლობის შემთხვევაში სანქციების განსაზღვრის შესახებ;

✓ აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგთა ცნობიერების ამაღლება, რათა მათი მეშვეობით მოხდეს მსგავსი შემთხვევების პირველადი რეაგირება და დროული პრევენცია;

✓ აუცილებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამინისტროს და განათლების სამინისტროების კოორდინირებული მუშაობისათვის, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, მსგავსი ფაქტების პირველადი გამოვლენის გაზრდისა და მონაცემთა დროული მიწოდება/დამუშავების მიზნით.

✓ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება, საწყის ეტაპზე იმ რეგიონებში და ფოკუს ჯგუფებში, სადაც პრობლემა აქტუალურია;

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.07.2015 წლის საქმე №ას-187-174-2015

[http://prg.supremecourt.ge/;](http://prg.supremecourt.ge/)

საქართველოს პარლამენტის ინტერნეტ-გვერდი, საკანონმდებლო პროექტი

<http://info.parliament.ge/#law-drafting/10819;>

საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში „გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები“, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3280.pdf>;

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში „გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები“, [http://www.ombudsman.ge/;](http://www.ombudsman.ge/)

საქართველოს პროკურატურის ინტერნეტ - გვერდი

<http://pog.gov.ge/res/docs/holideiinn/140analizi.pdf>;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინტერნეტ-გვერდი

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebii7.pdf>;

გოგონათა ნაადრევი ქორწინება სოციალური თუ კრიმინოლოგიური პრობლემა

ნათია სონღულაშვილი
დოქტორანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მიზანი - კვლევის მიზანია გამოარკვიოს, თუ რა კავშირი არსებობს ტრადიციებს, სამოქალაქო განათლებასა და კონკრეტულ დანაშაულს შორის, გოგონათა ნაადრევი ქორწინებასთან მიმართებით, რეგიონალური, გენდერული, ასაკობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, განათლების ხელმისაწვდომობის, სახელმწიფო ორგანოთა მიერ მონაცემთა გაცვლის ეფექტურობასა და დროული პრევენციის არარსებობის პირობებში.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - აღნიშნულ კვლევა ემყარება საქართველოს სახალხო დამცველის და საქართველოს პროკურატურის მიერ სხვადასხვა წლებში მომზადებული ანგარიშებით მოპოვებული მონაცემების ანალიზს, ეროვნულ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო კონვენციების ძირითადი პრინციპების პრაქტიკაში გატარების პრობლემებთან მიმართებაში.

დასკვნები - გოგონათა შორის განათლების ამაღლება და ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო სერვისებს შორის მონაცემთა ეფექტური გაცვლა და დროული პრევენციული აქტივობების დაგეგმვა და ღონისძიებების გატარება, სწორ და მოქნილ საკანონმდებლო პაკეტებთან ერთად, უზრუნველყოფს ნაადრევი ქორწინების არათუ დროულ გამოვლენას, არამედ დროულად თავიდან აცილებას.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა - უმთავრესი სისუსტე არასრულწლოვან დაქორწინებულ პირთა ზუსტი რაოდენობის, საბაზისო განათლების მიტოვების საფუძვლების და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი არასრულწლოვნების რაოდენობის ზუსტი მონაცემების არქონაა. მეორე შეზღუდვა კი არის ის, რომ ანალიზი ეყრდნობა საქართველოს პროკურატურის და სახალხო დამცველის აპარატის მიერ დამოუკიდებლად მომზადებულ ანგარიშებს, სადაც მონაცემთა დათვლის განსხვავებული მეთოდოლოგია და პარამეტრებია გამოყენებული, რაც არ იძლევა პრობლემის ზუსტი სურათის წარმოჩენის საშუალებას.

სიახლე/ღირებულება - სტატია შეეხება პრობლემას, რა კომპლექსური ნაბიჯები უნდა გადაიდგას სახელმწიფოს მხრიდან, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი გოგონათა ნაადრევი ქორწინება. სტატია შეეცადა დაედასტურებინა, რომ პრობლემა არ არის მკაცრი სასჯელის პირობებში სსკ 140-ე მუხლით ბრალდებული პირებისადმი შედარებით

ლოიალური მიდგომა, არამედ პრობლემა ნაადრევი ქორწინების გამომწვევი ფაქტორების არასრულყოფილი კვლევა და მათი პრევენციისათვის გასატარებელი სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტურობაა.

Early Marriage of Girls¹⁹ Social Problem or a Crime

Natia Songhulashvili

PhD Student

Caucasus University

Abstract

Purpose – the purpose of this research is to determine a link between traditions, civil education and a specific crime in terms of child marriage, in consideration of regional, gender and age characteristics, providing there is no access to education, lack of effective data exchange and timely prevention on the part of state agencies.

Structure/Methodology/Approach – the present research is based on the analysis prepared by the Public Defender’s Office of Georgia and the Prosecution Service of Georgia throughout the years in relation to the issue of national laws and application of the major principles of international conventions in practice.

Conclusions – raising education and make it accessible among girls, effective data exchange between state agencies, planning timely preventative activities and taking such measures, together with proper and flexible laws ensure not only prompt exposure of child marriage, but also their timely avoidance.

Impediments of the research (Errors)/Influence – the major flaw is the non-existence of precise data on child marriages, the reasons for quitting basic secondary education and exact number of persons in an unofficial child marriage. The second biggest impediment is that the analysis is based on the reports prepared separately by the Public Defender’s Office of Georgia and the Prosecution Service of Georgia and the reports use different methodology and parameters of data calculation, which makes it difficult to display the precise image of the problem.

Novelty/Value – the Article covers the issue of making complex steps on the part of the state in order to diminish the number of girl’s early marriages to minimum. The article intends to attest that the problem does not lie in a comparatively lenient approach to those charged under Article 140 of the CCG in the conditions of severe sanctions. The problem lies in insufficient research of the causes of child marriage and ineffectiveness of state policy in terms of its prevention.

¹⁹ ასეთი ტერმინი რამდენადაც ვიცი ინგლისურ კონტექსტში და ინგლისურენოვან იურიდიულ ტერმინოლოგიაში არ არსებობს. Child marriage ჰქვია გაეროს დოკუმენტებითაც, მაგრამ რადგან ჩემი თემისთვის მნიშვნელოვანი იყო სქესის გამოკვეთა, ამიტომ ასეთი კომპრომისული ვარიანტი შევარჩიე

პირგასამტეხლოს ბედი სააღსრულებო წარმოების პროცესში
(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)



ირაკლი შამათავა

დოქტორანტი

მართლმსაჯულების სისტემის ხელშეწყობისა და ჰარმონიზაციის მიზნით, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლო, საარბიტრაჟო თუ სხვა უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულება. სხვაგვარად, „ubi jus, ibi remedium“-ის²⁰ ლათინური შესატყვისი ეხმიანება ზემოაღნიშნულს: „არ არსებობს უფლება, თუ არ არსებობს მისი ეფექტური აღსრულების მექანიზმი“.

სამართლებრივ სახელმწიფოში, სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია დამატებითი ბერკეტის არსებობა, რომელიც ნებისმიერი სახის გადაწყვეტილებას გარდაქმნის იურიდიულ პოსტულატად, ანუ შესრულება გახდება სავალდებულო (იმპერატიული) ხასიათის, ყოველგვარი დათქმისა და გამონაკლისის გარეშე.

როგორც წესი, სსკ-ის 361-ე მუხლი ორიენტირებულია ვალდებულების დათქმულ დროსა და ადგილას, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად შესრულებაზე, თუმცა სწორედ აღნიშნული ნორმის უგულებელყოფა იწვევს კერძოსამართლებრივი დავის წარმოშობას, შედეგად კი, პროცესუალური მოქმედების დასრულებისთანავე, ჩვენს ხელთ არსებული გადაწყვეტილება ითხოვს ეფექტურ და დროულ (დაუყოვნებლივ) აღსრულებას.

„თუმცა, თუ კრედიტორმა მიაღწია მისთვის დადებით სასამართლო გადაწყვეტილებას, ეს ყოველთვის არ ნიშნავს მიზნის მიღწევას. საქმე ის არის, რომ ბევრი მოვალე არ აკმაყოფილებს სასამართლო გადაწყვეტილებით უკვე დამტკიცებულ სარჩელებს, რადგან არ შეუძლიათ ან არ სურთ საკუთარი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება. ასეთ დროს სახელმწიფო ეხმარება დაზარალებულ კრედიტორს და სთავაზობს იძულების სახელმწიფო სახსრებს. კრედიტორი იყენებს მათ

²⁰ კაპანაძე ნ., კვაჭაძე მ., „ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი“, Latin-georgian legal dictionary, [რედ.: ჭანტურია ლ., ტაბიძე ლ.] - თბ., 2008: სტ. „სეზანი“, ასევე ნადარეიშვილი გ., „რომის სამოქალაქო სამართალი“, მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2009 წ. გვ 165

შემუშავებული პროცედურის თანახმად, რათა სასამართლოთი დამტკიცებული მოვალისადმი მოთხოვნის მისეული უფლების რეალიზაცია მოახდინოს მისი ნების საწინააღმდეგოდ ან - თუ ამისთვის მოვალის ხელშეწყობაა საჭირო - აიძულოს იგი თანამშრომლობისთვის მუქარით და მისადმი სანქციების გამოყენებით“.²¹

სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სახელით გამოტანილ მართლმსაჯულების აქტს, რომელიც მოდავე მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აწესრიგებს და მიმართულია სამომავლოდ (კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის) დაცული და აღიარებული უფლების რეალიზებისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი შედეგის განხორციელება, მართლმსაჯულება რეალურ მიზანს დაკარგავს.²²

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეზე²³ სწორედ, ზემოაღნიშნული დასტურდება.

სასამართლოს განმარტებით, გადაწყვეტილება წარმოადგენს ქვეყნის სახელით გამოტანილ აღსრულებაუნარიან აქტს, რომელსაც გამოსცემს სასამართლო ხელისუფლება და ეს აქტი ორიენტირებულია მხარის სადავო უფლების დაცვაზე. ის გარემოება, რომ მხარე არ ეთანხმება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ამა თუ იმ ნაწილსა თუ მთლიანად გადაწყვეტილებას, მისი გაუქმების საფუძველი არაა, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლისა.

მაშასადამე, გამოიკვეთა აღსრულების ინსტიტუტის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომლის თანახმად, კრედიტორის (მოსარჩელის) კანონიერ ინტერესს უპირისპირდება მოვალის (მოპასუხის) არაკეთილსინდისიერების ფაქტი, საიდანაც უფლებახელყოფილს უნდა მიეცეს საკანონმდებლო პრივილეგია დარღვეული უფლების სრულად აღსადგენად, სხვაგვარად, აზრი ეკარგება უფლების ნებისმიერ დონეზე აღიარებას, - რეალიზაციის შეუძლებლობის გამო.

თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, აღსრულების პროცესის განმავლობაში იმგვარად მოხდეს, „კრედიტორისა და მოვალის ინტერესთა შეპირისპირება, რომ დაირღვეს

²¹ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, გამ-ბა „ჯისიაი“, გვ. 160., თბ., 2001, ტ. II

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-1437-1452-2011, 21 ნოემბერი, 2011 წ., თბ.

²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-1591-1589-2011, 6 იანვარი, 2012 წ., თბ.

ინტერესთა ბალანსი და რომელიმე მხარეს მიადგეს დაუსაბუთებელი ზიანი“.²⁴ ამ დროს უმნიშვნელოვანესია სამართლის ნორმის შეფარდება იმგვარად, რომ არც ერთი მხარის ინტერესი არ იქნეს ხელყოფილი. „სამართლის ნორმის შეფარდება არის კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოს საპროცესო სამართლის ნორმებით მოწესრიგებული საქმიანობა, რაც გამოიხატება სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობათა კონკრეტული შინაარსის განსაზღვრაში, კონკრეტულ უფლება-მოვალეობათა ოფიციალურ, იმპერატიულ აღიარება-გამიჯვნაში“.²⁵

ამდენად, კრედიტორისა და მოვალის ინტერესთა შეპირისპირებამ არ უნდა უგულებელყოს თანაბარზომიერების პრინციპის დარღვევა. „იმ შემთხვევაში, თუ მოვალისა და კრედიტორის ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესთა ურთიერთშეფარდება მიგვიყვანს იმ შედეგამდე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოვალის სიცოცხლიდან და ჯანმრთელობიდან გამომდინარე ინტერესები, რომლებიც უპირისპირდება იძულებითი აღსრულების წარმოებას, აშკარად და არსებითად გადასწონის იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ემსახურება სახელმწიფო სააღსრულებო მოქმედება და ღონისძიება, მაშინ შესაძლოა ჩარევის განხორციელება არღვევდეს თანაზომიერების პრინციპს“.²⁶

რაკი აღსრულება გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს, უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დადგენილი ვალდებულების სისრულეში მოყვანას, მართლმსაჯულების განხორციელების სანდობას, ის სახელმწიფოს მხრიდან ითხოვს ფუნდამენტალურ კონტროლსა და ხელშეწყობას, რადგან ნებისმიერი გადაწყვეტილების უკან სოციუმია და ისინი, როგორც წესი, მოელიან კანონიერების აღდგენას.

იმდენად, რამდენადაც „გადაწყვეტილების აღსრულება მართლმსაჯულების შემადგენელი ნაწილია და მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა გარანტირებულია კანონის სხვადასხვა ნორმებით, რომლებიც ავალდებულებს სასამართლოს, გამოიტანოს აღსრულებადი გადაწყვეტილება“.²⁷

²⁴ საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, რედ.: იოს უითდეჰააგი, 2013 წ., გვ. 185

²⁵ სავანელი ბ., „იურიდიული მეთოდები“, მეორე გამოცემა, თბ., 2008 წ., გვ 33

²⁶ E-52, 214 ძირითადი უფლების (აქ: გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლი) გავლენა აღსრულების პროცესისაგან თავის დაცვის წარმოებაზე გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 765ა მუხლის მიხედვით, იხ., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, იურგენ შვაბე, ჰამბურგის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფ., 2011 წ.

²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-856-1142-09, 4 იანვარი, 2010 წ., თბ

„აღსრულება უნდა ეყრდნობოდეს ნათელ და თანმიმდევრულ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელშიც გაწერილი იქნება მხარეებისა და მესამე პირის უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა და უფლებები“,²⁸ ხოლო ზემოაღნიშნულის რეგულაციისთვის „კანონმდებლობა, საკმარისად დეტალური უნდა იყოს, რათა იგი აღსრულების პროცესის გამჭვირვალებას, პროგნოზირებადობას და მის ეფექტურობას უზრუნველყოფდეს.“²⁹

გადაწყვეტილება, როგორ წესი, დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელიც მოიცავს პირგასამტეხლოს, (ჯარიმა-საურავს) ასევე მოთხოვნის ძირითად თანხას, მასზე დარიცხულ სარგებელსა და პროცესუალურ ხარჯებს, რომელიც დავის წარმოების პროცესში საჭირო გახდა გადაწყვეტილების მისაღებად.

სწორედ, პირგასამტეხლოს სამართლებრივ ბუნებას ვეხებით მოცემულ შემთხვევაში, თუ რა ბედი ელის მას სააღსრულებო წარმოების პროცესში და განვიხილავთ ყველაზე მნიშვნელოვან ნორმას, რომლის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე, კანონში დაშვებულია ხარეზი, რაც გარკვეულ სირთულეებს უქნის სააღსრულებო წარმოების მხარეებს.

ეტიმოლოგიურად, ქართული წყაროების მიხედვით პირგასამტეხლოს აღსანიშნად გამოიყენებოდა ტერმინი წინდი. ივ. ჯავახიშვილის მითითებით³⁰ წინდი არა მარტო ვალის, არამედ ყოველგვარი ვალდებულებისა და ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალება იყო. ტერმინი „პირგასამტეხლო“ ქართული სამართლის ან სხვა სახის ძეგლებში არ გვხვდება, მაგრამ მისი შინაარსი გაიგივებულია წინდთან.³¹ გ. ნადარეიშვილი აღნიშნავს: „ხშირ შემთხვევაში, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არ იყო მოვალის პასუხისმგებლობის მასშტაბები და დეტალები. ასეთ ვითარებაში იურისტებმა შეიმუშავეს პასუხისმგებლობის წესები მოვალისათვის.“³²

ვფიქრობ, კერძოსამართლებრივი ურთიერთობისას, სწორედ პასუხისმგებლობის მასშტაბს წარმოადგენს პირგასამტეხლო.

²⁸ საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, რედ.: იოს უითდეჰააგი, 2013 წ, გვ. 101

²⁹ იქვე., გვ. 101, Rec 17/2003 ნაწილი III.1.b

³⁰ იხ., ჯავახიშვილი ივ., თხზ., 12 ტომად, ტ. VII, გვ. 331, თბილისის უნივერსიტეტის გამ-ბა, 1984 წ.

³¹ მეტრეველი ვ., „ქართული სამართლის ისტორია“, გამ-ბა „მერიდიანი“, თბ., 2013წ, გვ. 324

³² ნადარეიშვილი გ., „რომის სამართალი“, თბ., 2009 წ, მესამე გადამუშავებული გამოცემა, გამომ-ბა „ბონა-კაუზა“ გვ. 94

სსკ-ის 417-420-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას წარმოადგენს პირგასამტეხლო, [აქცესორული უფლება]³³ რომელიც თავის მხრივ არის - მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა³⁴, რომელიც მოვალეს გადახდება როგორც ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, ისე არაჯეროვნად შესრულებისთვის და ამასვე მოწმობს მისი ეტიმოლოგია, - პირის გატეხვისთვის განსაზღვრული საზღაური. (ანალოგიური დანაწესია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 339-ში, რომლის თანახმად, თუ მოვალე პირდება კრედიტორს ფულადი თანხის პირგასამტეხლოს სახით გადახდას მის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, - პირგასამტეხლო ექვემდებარება გადახდას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას. თუ ნაკისრი ვალდებულების შესრულება მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში, პირგასამტეხლო ექვემდებარება გადახდას ამ ვალდებულების საწინააღმდეგოდ მოქმედების განხორციელებისას).³⁵

პირგასამტეხლო აპრობირებულია კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში, (როგორც ალტერნატიული, ისე კუმულატიური)³⁶ რადგან იგი მხოლოდ ძალისაა და ხელშეკრულების მხარეებს მოუწოდებს ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულებისაკენ³⁷. ამასთან, „მისი მეშვეობით ხდება ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი ვალდებულების შესრულების „იძულების“ უზრუნველყოფა და კრედიტორს „უქმნის კომფორტს“ მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის მტკიცების აუცილებლობისაგან გათავისუფლებით“.³⁸

³³ უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს; აქცესორული ურთიერთობაა, რომელშიც ერთი უფლება ემსხურება მეორეს მიზნებს (სსკ, მუხლი 153, ნაწილი 1, (ცვლილებებით და დამატებებით 2012 წლის 20 ივლისამდე); იხ., აგრეთვე: ზოიძე ბ., სანივთო სამართალი, გამ-ბა „უფლება“, თბ., 1999 წ.

³⁴ ზურაბ ჭეჭელაშვილი აღნიშნულზე კრიტიკულად წერს: პირგასამტეხლო არის შეთანხმება, მოვალის მიერ ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებასთან ერთად დამატებითი ვალდებულების კისრება და არა თავად „მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა“, როგორც ეს მითითებულია სსკ-ის 417-ე მუხლში; (სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2010 წ, მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამ-ბა „ბონა კაუზა“, გვ. 191-192

³⁵ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, თარგმ. ზ. ჭეჭელაშვილისა, გამ-ბა „სიესტა“, თბ., 2010 წ.

³⁶ პირგასამტეხლოს სახეებს განეკუთვნება: კანონისმიერი (ნორმატიული), სახელშეკრულებო, ჩასათვლელი, საჯარიმო, ალტერნატიული, ექსკლუზიური. (იხ. აღნიშნულთან დაკავშირებით ნაშრომი, ჭანტურია ლ, „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“, გამ-ბა „სამართალი“, 2012 წ, გვ. 234-247;

³⁷ კეთილსინდისიერების პრინციპთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-1388-1224-10, 23 ივნისი, 2011 წ., თბ., სადაც ცალსახად წერია: სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები ანუ კეთილსინდისიერება უკავშირდება პირისათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და არა იმის შესრულებას, რაც მას არც ხელშეკრულებით და არც სხვა სახით მხარის მიმართ არ უკისრია.

³⁸ ჭეჭელაშვილი ზ., „სახელშეკრულებო სამართალი“, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010 წ, გვ. 193

საქართველოს კანონდებლობით, - აღნიშნავს მონოგრაფიულ ნაშრომში თ. შოთაძე, - სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეებს აქვთ არჩევის შესაძლებლობა, ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ მათთვის მისაღები და სახელშეკრულებო შინაარსთან მისადაგებული უზრუნველყოფის საშუალება. თუმცა პრაქტიკაში, ყოველთვის არჩევანი კეთდება იმ უზრუნველყოფის საშუალების სასარგებლოდ, რომელიც უფლების დაცვის ეკონომიკურობით და მოთხოვნის დაკმაყოფილების სისწრაფით ხასიათდება.³⁹

„პირგასამტეხლოს არსებითად ორი ფუნქცია აქვს: ვიდრე ვალდებულება დაირღვეოდეს, იგი ემსახურება მისი შესრულების სტიმულირებას. მოვალემ წინასწარვე იცის, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იგი ვერ აცდება გარკვეული საზღაურის გადახდევინებას, მაშინ როცა სხვა დროს, შეიძლება მას ამის „იმედი“ ჰქონდეს“.⁴⁰

„პირგასამტეხლო შეიძლება დადგენილ იქნეს განსაზღვრული ფულადი თანხით, რომელიც უნდა გადაიხადოს იმ მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ვალდებულება. ასეთ პირგასამტეხლოს ჯარიმა ეწოდება, ხოლო პირგასამტეხლოს, რომელიც ითვალისწინებს გადახდევინებას ვალდებულების შესრულების ყოველი გაცდენილი დღისთვის - საურავი ეწოდება“.⁴¹

პირგასამტეხლოსთვის, სამართალწარმოებისას, დადგენილია ერთგვარი მოთხოვნები, კერძოდ:

I. შესაბამისობა სახელშეკრულებო პირობებთან - მხარეები თავისუფალი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში. კრედიტორმა არ უნდა «აიძულოს» მოვალე, აშკარად უსამართლო პირობებს მოაწეროს ხელი, ამიტომ, პირგასამტეხლოზე შეთანხმებისას, მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე. მხარეები უნდა ითვალისწინებდნენ იმ შესაძლო ზიანს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ვალდებულების შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას, თუმცა კანონი მათ იმის უფლებასაც აძლევს, რომ შეთანხმებული პირგასამტეხლო აღემატებოდეს შესაძლო ზიანს.⁴²

³⁹ შოთაძე თ., „იპოთეკისა და „უზრუნველყოფითი საკუთრების“ შედარებითი ანალიზი“, გვ. 139-140, სამართლის ჟურნ., N1, 2011, თბ.

⁴⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001 წ., გვ. 488

⁴¹ ახვლედიანი ზ., „ვალდებულებითი სამართალი“, მეორე გამოცემა, თბ., გამ-ბა „სამართალი“, 1999, გვ. 78-79

⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-1214-1234-2011, 21 ნოემბერი, 2011 წ., თბ

II. პირგასამტეხლოს განსაზღვრის პრინციპი - იძლევა მისი ოდენობის გაუმართლებლად მაღალი სიდიდით გაანგარიშებას; კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას, შეამციროს მხოლოდ მხარეთა მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლო, როდესაც მისი ოდენობა გაუმართლებლად მაღალია ვალდებულების დარღვევის ხასიათისა და დარღვევით განპირობებული შესაძლო ზიანის მხედველობაში მიღებით.⁴³

III. სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები: ა. საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეუძლია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. (სსკ-ის 420 მუხლი), მაშასადამე, სასამართლოს არა ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია პირგასამტეხლოს შემცირება, არამედ საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, „პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული“.⁴⁴ ბ. პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ასევე, - კრედიტორის ეკონომიური ინტერესი. აღნიშნულ გარემოებებზე სასამართლო მსჯელობს მხოლოდ მხარის მოთხოვნის შესაბამისად და მხოლოდ ამგვარი წინაპირობის არსებობისას შეუძლია გამოიყენოს დისკრეცია.⁴⁵

ვიდრე პირგასამტეხლოს ინსტიტუტის სააღსრულებო მოდელზე ვისაუბრებთ, სასურველია შედარებითი ანალიზისთვის, მიმოვიხილოთ მისი ბედი საფრანგეთ-საქართველოს კანონმდებლობის მაგალითზე.

სასამართლო გადაწყვეტილებათა იძულებით აღსრულების განსახილველი სფერო საფრანგეთში რეგულირდებოდა დიდი ხარვეზებით, რომლის დასაფარად, საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში შეიმუშავა სანქციათა სპეციალური ინსტიტუტი, ე.წ. „astreinte“ („საურავი“). სასამართლოს შეუძლია, მოვალის მიერ ხელშეკრულების შესრულების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად დაავალოს მოვალეს თითოეული გაცდენილი დღისთვის კრედიტორისთვის გარკვეული

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-373-354-2012, 17 მაისი, 2012 წ., თბ.

⁴⁴ ბათუმის საქალაქო სასამართლო, საქმე №2/1971-13 წ, 09 იანვარი, 2014 წ. ქ. ბათუმი

⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-819-771-2012, 12 სექტემბერი, 2012 წ., თბ

საფასურის გადახდა საურავის სახით. განასხვავებენ ორი ტიპის საურავს, რომელსაც შეხედულებისამებრ აირჩევს სასამართლო. „დროებითი საურავის“ (“astreinte provisoire”) ან „დამმუქრებელი საურავის“ (astreinte comminatoire”) შემთხვევაში, რომელსაც ასე იმიტომ ეწოდება, რომ საბოლოო საფასურის განსაზღვრისას სასამართლო არ არის შეზღუდული პირვანდელი გადაწყვეტილებით და შეუძლია მოვალეს გადასახდელად დააკისროს უფრო ნაკლები თანხა, ვიდრე თავდაპირველად უნდა გადაეხადა. მეორე სახის - „ფიქსირებული, ანუ საბოლოო საურავი“ (“astreinte definitive”) – დაწესდება საბოლოოდ სასამართლოს პირვანდელი გადაწყვეტილების საფუძველზე. განსაკუთრებით ეს ეხება ყოველდღიურ (ყოველკვირეულ, ყოველთვიურ) გადასახადს. შემდგომში საურავები იანგარიშება მარტივი არითმეტიკული ოპერაციით: სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული თანხა მრავლდება მოვალის მიერ გაცდენილი დღეების რაოდენობაზე. საურავის დარიცხვის საშიშროება წყდება სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ. მაგრამ კრედიტორს შეუძლია სასამართლოს მიმართოს თხოვნით, ახალი საურავი დააწესოს შემდგომი პერიოდისთვის, თუ მოვალე კვლავ არ ასრულებს ხელშეკრულებას.⁴⁶

გადაწყვეტილების არსებობა ყოველთვის როდი ნიშნავს მისი აღსრულების შესაძლებლობას, ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როდესაც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის მოვალის ქონება ან არ არის საკმარისი, ან მას ღირებული ნივთი საერთოდ არ გააჩნია. განსაკუთრებულ სირთულეს, ასეთ შემთხვევებში, ქმნის არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა, რა დროსაც კრედიტორს გაწეული აქვს რისკი და ის პროცენტულად ისეთი მაჩვენებლისაა, რომ აღმოფხვრის ალტერნატივა თითქმის ნულოვანია. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი კვლავ მოვალის „კეთილ“ ნებაზეა დამოკიდებული, მოვალეს კი ყოველთვის სურს თავი აარისდოს სანქციას და ყველაზე კარგ შემთხვევაში შეასრულოს მხოლოდ მოთხოვნის ძირი თანხა და უარი თქვას პირგასამტეხლოს ნემისმიერ ოდენობაზე.

საინტერესოა აღნიშნულთან დაკავშირებით ქართული კანონმდებლობა და სააღსრულებო პრაქტიკა.

პირგასამტეხლოს დარიცხვისა და შეწყვეტის საკითხს არეგულირებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ნორმის დისპოზიცია შემდეგნაირია: „იმ გადაწყვეტილებათა აღსრულებისას,

⁴⁶ ცვაიგერტი კ, კოტცი ჰ. „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, ტ.II თბ. 1996, გვ. 165

რომლებითაც გათვალისწინებულია კრედიტორის მოთხოვნის ზრდა ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვის შედეგად, სააღსრულებო წარმოების დაწყების დღიდან შეწყდება კრედიტორის მოთხოვნის ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვა, გარდა საგადასახადო მოთხოვნის შემთხვევებისა. კრედიტორის მოთხოვნის ძირითად თანხაზე სარგებლის ან/და საურავის დარიცხვა გაგრძელდება იმ დღიდან, როდესაც აღსრულების ეროვნული ბიურო ამ კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად დაუბრუნებს კრედიტორს სააღსრულებო ფურცელს“.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ეს ნორმა ვფიქრობ გადასინჯვას საჭიროებს. სააღსრულებო წარმოების პროცესის დაწყებისთანავე წყდება სანქცია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღსრულების ეროვნული აღსრულების რომელიმე დამაბრკოლებელი გარემოებიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას [მაგალითად, თუ თანხის გადახდევინების შესახებ სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში ვერ დაკმაყოფილდა კრედიტორის მოთხოვნა ან იმის გამო, რომ მოვალეს არ გააჩნია ქონება, რომლიდანაც შესაძლებელია გადახდევინება, ასევე თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოების ან/და სამართლებრივი საფუძვლის გამო] კრედიტორს დაუბრუნებს სააღსრულებო ფურცელს, ხოლო კრედიტორი, თავის მხრივ, („საურავის დარიცხვა გაგრძელდება“-ს ჩანაწერიდან გამომდინარე) უფრო ვალდებულია (ვიდრე უფლებამოსილი) ამოქმედოს საურავის დარიცხვა. ძირითად სირთულეს ქმნის ის, რომ საურავის დარიცხვა უკვე კარგავს იურიდიულ ინტერესს და მხარეს, რომელმაც სააღსრულებო ინსტანციის მეშვეობით ვერ მოახდინა დავალიანების გადახდევინება, როგორც წესი, იმაზე მეტი რესურსი შემდგომში აღარ ექნება. ეს პრობლემა, გადასახადის გადამხდელისთვის, საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისას, მეტნაკლებად სირთულის გამომწვევიც შესაძლოა გახდეს.

კანონი არ არეგულირებს საკითხს, თუ რა ოდენობით და როდიდან უნდა მოხდეს სანქციის ამოქმედება, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რამდენად შეუსაბამო იქნება ასეთი პირგასამტეხლოს კალკულაცია ან/და ვის ექნება მის შესაბამისობა/ შეუსაბამობაზე მსჯელობის უფლებამოსილება;

ვინაიდან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი აღნიშნულზე პასუხს არ იძლევა, საპროცესო კანონმდებლობის 186-ე მუხლის შინაარსი კი სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლად ასახელებს სასამართლოს წარმოებაში

არსებულ საქმეს, სადაც დავის საგანი, საფუძველი და მხარეები ერთი და იგივეა, გამომდინარეობს, რომ კითხვა პასუხგაუცემელი რჩება.

„აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტში გარკვევით და ცალსახად საუბარია სარგებლის/საურავის დარიცხვის შეწყვეტაზე და არა შეჩერებაზე. შესაბამისად, აღნიშნული მუხლის მეორე წინადადებაში არსებული ჩანაწერი სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების შემთხვევაში სარგებლის/ საურავის დარიცხვის გაგრძელებაზე, შეუსაბამობაშია ერთმანეთთან“.⁴⁷

პროფ. ლადო ჭანტურია პირგასამტეხლოსთან მიმართებით წერს: „ის უფრო საჯარიმო სანქციაა, ვიდრე უზრუნველყოფა.“⁴⁸ თუკი მოვალეს ფინანსურად არ შეუძლია ნაკისრი ვალდებულების შესრულება, მას უფრო მეტად არ შეეძლება პირგასამტეხლოს გადახდაც, რის გამოც კრედიტორის მდგომარეობა არაფრით არ უმჯობესდება... კრედიტორის წინაშე დგას იგივე მოვალე, რომელმაც უკვე ვედარ შესძლო ვალდებულების შესრულება“.⁴⁹

ამდენად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი რიგ კითხვებს პასუხგაუცემელს ტოვებს, ამ კუთხით საკანონმდებლო სიახლე კი უპრიანი იქნებოდა.

მოცემულ ნაშრომში განხილულია სააღსრულებო კანონმდებლობის მხოლოდ ორი ნორმის ურთიერთმიმართება, თუმცა ფაქტია, აღსრულების კანონმდებლობას აქვს გარკვეული ხარვეზები. აღსრულების პროცესუალური მხარე უნდა იყოს გამართული და ჰარმონიზებული როგორც ზემდგომ კანონმდებლობასთან, ისე არსებულ რეალობასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნორმათა კოლიზიურობა და დისპოზიციის „თვითნებური“ განმარტება მთელი რიგი პრობლემების გამომწვევი შესაძლოა გახდეს. პირგასამტეხლოს ხელმეორედ დარიცხვის კრედიტორისთვის კრედიტორისთვის შექმნილი ხელოვნური ბარიერია, რასაც მხარე როგორც წესი, ვერ ძლევს.

ნორმის დანაწესი მიზანმიმართული უნდა იყოს გარკვეული სიკეთისაკენ, მოცემული შემთხვევა კი ის აზარალებს ერთის მხრივ მოვალეს, მეორეს მხრივ კი კრედიტორს, რომლის მოლოდინი დავალიანების აღსრულებაზე მინიმალურია.

⁴⁷ საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, რედ.: იოს უითდეჰააგი, 2013 წ., გვ. 216

⁴⁸ აღნიშნულს იზიარებს საკასაციო სასამართლო, (საქმე N ას-1015-1287-09, 4 თებერვალი, 2010 წ., თბ.), სადაც აღნიშნულია: „პირგასამტეხლო წარმოადგენს ერთგვარ სანქციას, სასჯელს მხარისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო“.

⁴⁹ ჭანტურია ლ, „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“, გამ-ბა „სამართალი“, 2012 წ., გვ. 235

თუ სააღსრულებო წარმოების პროცესში გამოყენებული ღონისძიებები საკმარისი არ არის გადაწყვეტილების აღსასრულებლად, კრედიტორისთვის სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების შემთხვევაში ხელმეორედ პირგასამტეხლოს ამოქმედება აზრს მოკლებულია და ამ ინსტიტუტს უდავოდ ესაჭიროება მოდიფიცირება, ისევე და ისევე, მხარეთა უფლებების თანაბარზომიერად დაცვის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

- ალფაიძე, თ. (2009). „შესავალი სამართალმცოდნეობაში“, თბილისი.
- ახვლედიანი, ზ. (1999). „ვალდებულებითი სამართალი“, თბ., გამ-ბა „სამართალი“.
- ბიზნესმენის მეგზური სამართლებრივ საკითხებში, თბ., 2005 წ. ცვლილებებითა და დამატებებით 2005 წლის 10 აგვისტომდე)
- გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) 2010 წლის 1 მარტის მდგომარებით, თარგმ. ზ. ჭეჭელაშვილისა, გამ-ბა „სიესტა“, თბ., 2010 წ.
- გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, იურგენ შვაბე, ჰამბურგის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფ, 2011 წ. [მთარგ. ჩაჩანიძე ე; სამეცნ. რედ.: კუბლაშვილი ვ. [და სხვ.]
- დანელიშვილი, ლ., მესხიშვილი მ., (2006). „იურიდიული ლექსიკონი“, მეორე გადაუშავებული გამოცემა, გამ-ბა „ლეგა“, თბ.
- ზოიძე, ბ. (1999). სანივთო სამართალი, გამ-ბა „უფლება“, თბ.
- იერიנגი რ. ფ., „ბრძოლა უფლებისათვის“, თბ., 2008 წ.
- კაპანაძე ნ., კვაჭაძე მ; „ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი“, Latin-georgian legal dictionary, [რედ.: ლ. ჭანტურია, მ. ტაბიძე] - თბ., 2008: სტ. „სეზანი“
- ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამ-ბა „სამართალი“, თბ., 2007 წ.
- ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, გამ-ბა „სამართალი“, თბ., 2014 წ.
- ლისკოვეცი ბ.ა და ჩუგუნოვი გ.ვ., „სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება“, სახელგამი, 1954 წ.
- სავანელი ბ., „იურიდიული მეთოდები“, მეორე გამოცემა, თბ., 2008 წ.
- სამართლიანი სასამართლოს უფლება, [რედ: სესიაშვილი ი., მენაღარიშვილი მ., თარგმ: კუკულავა გ., ბექაქური ნ], თბ., „საია“, 2001 წ.

საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა

ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, რედ.: იოს უითდეჰააგი, 2013 წ

ქართული კერძო სამართლის კრებული = Collected articles in the Georgian private law /

[სარედ. კოლ.: მიგრიაული რ., ზოიძე ო., ჭეჭელაშვილი ზ; რედ.: მენაღარიშვილი მ.,
სესიაშვილი ი]. თარგმ. ზ. ჭეჭელაშვილისა, - თბ. : საია, 2004 წ., წიგნი I

ქურდაძე შ., „სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში“, გამ-ბა
მერიდიანი, თბ., 2006 წ

შენგელია რ., 70., „საიუბილეო კრებული სამართლის პრობლემები“ [რედ.: ჭანტურია ლ.,
შენგელია ე]. - თბ. : „სამართალი“, 2012

ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო
სამართლის სფეროში“, თბ, 2001, ტ. I-II., გამ-ბა „ჯისიაი“

ჭანტურია ლ., „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“, გამ-ბა „სამართალი“, 2012 წ

ჭეჭელაშვილი ზ., „სახელმეკრულებო სამართალი“, თბ., 2010 წ, მეორე გადამუშავებული
გამოცემა

ხუბუა გ., „სამართლის თეორია“, გამ-ბა „მერიდიანი“, თბ., 2004 წ

ჯავახიშვილი ივ., თხზ., 12 ტომად, ტ. VII, თბილისის უნივერსიტეტის გამ-ბა, 1984 წ

ნორმატიული აქტები:

საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 2009 წ., (2012 წლის
28 დეკემბრის მდგომარეობით)

საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 1999 წ., (2013 წლის 25
დეკემბრის მდგომარეობით)

სტატიები:

კერესელიძე დ., „ჯეკლაკის“ საქმიანობა სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებაში,
ქართული სამართლის მიმოხილვა 7/2004-1

შოთაძე თ., „იპოთეკისა და „უზრუნველყოფითი საკუთრების“ შედარებითი ანალიზი“,
სამართლის ჟურნ., N1, 2011წ, თბ.

ჩიტოშვილი თ., „აბსოლუტურ და რელატიურ უფლებათა ზოგიერთი სამართლებრივი
ასპექტი“, [პროფ. ზ. ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული], გამ-ბა
„მერიდიანი“, თბ., 2004 წ

სასამართლო გადაწყვეტილებანი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-1437-1452-2011, 21 ნოემბერი, 2011 წ., თბ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-1591-1589-2011, 6 იანვარი, 2012 წ., თბ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-1214-1234-2011, 21 ნოემბერი, 2011 წ., თბ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-373-354-2012, 17 მაისი, 2012 წ., თბ.

ბათუმის საქალაქო სასამართლო, საქმე №2/1971-13 წ, 09 იანვარი, 2014 წ. ქ. ბათუმი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-819-771-2012, 12 სექტემბერი, 2012 წ., თბ.

ინტერნეტ წყარო:

http://www.chambresbelges.be/uploads/internationaal_ondernemen/debt_collection_in_europe.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 20.10.2016 წ)

http://court.ge/geo_dictionary (უკანასკნელად შემოწმებულია 20.10.2016 წ)

http://en.wikipedia.org/wiki/Writ_of_execution (უკანასკნელად შემოწმებულია 20.10.2016)

<http://law.queensu.ca/international/globalLawProgramsAtTheBISC/courseInfo/courseOutlineMaterials2012/internationalCommercialArbitration/Leboulanger2006.pdf> (უკანასკნელად შემოწმებულია 20.10.2016)

https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1655791 (უკანასკნელად შემოწმებულია 20.10.2016)

რეკომენდაციები სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებით, http://www.notary.ge/res/docs/shida/menu/saagsruleblo_furtslis_gacema.pdf (უკანასკნელად შემოწმებულია 20.10.2016 წ)

http://nbe.gov.ge/index.php?sec_id=484&lang_id=GEO (უკანასკნელად შემოწმებულია 20.10.2016 წ)

<http://publications.lib.chalmers.se/records/fulltext/129993.pdf>, (უკანასკნელად შემოწმებულია 20.10.2016)

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201011.pdf>, (უკანასკნელად შემოწმებულია 20.10.2016 წ)

(Banking & Finance) a person or commercial enterprise that owes a financial obligation, <http://www.thefreedictionary.com/debtor>, (უკანასკნელად შემოწმებულია 20.10.2016 წ)

პირგასამტეხლოს ბედი სააღსრულებო წარმოების პროცესში

ირაკლი შამათავა
დოქტორანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მიზანი - სააღსრულებო კანონმდებლობის ორი მნიშვნელოვანი და ამავდროულად პრობლემური ნორმის განმარტება, კოლიზიურობის ანალიზი, დასაბუთება და პირგასამტეხლოს ინსტიტუტში არსებული ხარვეზების წარმოჩენა.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა – კვლევა წარმოებს: შედარებით-სამართლებრივი, ეტიმოლოგიური და ლოგიკური მეთოდებით. ნაშრომის ინფორმაციულ ბაზას განეკუთვნება: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, მონოგრაფიული ნაშრომები, ქართულენოვანი სტატიები და სასამართლო გადაწყვეტილებები.

დასკვნები - რეკომენდაციების დასახელება, რაც პრობლემურ საკითხის კანონთან ჰარმონიზაციას უზრუნველყოფს.

კვლევის შეზღუდვები(ხარვეზები)/გავლენა – ძირითადი დატვირთვა აღნიშნული ნაშრომისა არის ის, რომ სტატიის მიზანია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მოვალისა და კრედიტორის ინტერესის თანაბარზომიერად დაცვას.

სიახლე/ღირებულება - ეს პირველი სტატიაა, რომელიც განიხილავს პირგასამტეხლოს საკითხს ქართულ კანონმდებლობაში და სააღსრულებო კანონთან მიმართებით. მისი განმარტება უმნიშვნელოვანესია, რამდენადაც ნორმის მანკიერი პრაქტიკით გამოყენება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს როგორც კრედიტორს, ისე მოვალეს. პრაქტიკაში უამრავ პრობლემას ვაწყდებით, რაზეც ზუსტი პასუხი, ხშირ შემთხვევაში, კანონში არ მოიძებნება, მით უფრო, თუკი ზოგიერთი ნორმა კოლიზიური აღმოჩნდება.

სტატიაში განხილული საკითხი მნიშვნელოვანია საბანკო, საფინანსო, საკრედიტო ინსტიტუტებისთვის და შესაძლოა სარეკომენდაციო მნიშვნელობაც შეიძინოს დაინტერესებულ პირთათვის, სწორედ ამ მიზეზით, ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობაც დიდია.

საქართველოს რელიგიურ კულტურული ინტეგრაცია ევროპაში



ნოდარ ქვარაია

მაგისტრანტი

შესავალი

პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების საკითხში განსაკუთრებულ როლს თამაშობს რელიგია და კულტურა, რომელთა მნიშვნელოვანობის ხარისხი დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმზე, ვინაიდან პოლიტიკური სისტემა პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების მეთოდების და საშუალებების ერთობლიობაა. მათი მეშვეობით პრაქტიკულად ხორციელდება პოლიტიკური და სამართლებრივი პროცესებისა და ურთიერთობების მართვა, საზოგადოების ინტეგრაცია, პოლიტიკური წესრიგის, სტაბილურობის უზრუნველყოფა და პოლიტიკური სოციალიზაცია. სწორედ პოლიტიკური სისტემა განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ და სამართლებრივ ცხოვრებაში რა ადგილი უნდა ეკავოს რელიგიასა და კულტურას.

დღესდღეობის საქართველოს და ქართველი საზოგადოების არჩევანს წარმოადგენს ევროპაში ინტეგრაცია და იმ ღირებულებებისა და ფასეულობების იმპლემენტაცია, რომელიც გააჩნია ევროპას. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რელიგიური და კულტურული ფასეულობები ქმნის გარკვეული სახის ბარიერებს ამ პროცესის დროს. იმისათვის, რომ გავხდეთ ევროპის ნაწილი აუცილებელია დავაკმაყოფილოთ ის საკითხები, რომელსაც ევროპა წაგვიყენებს, რადგან თუ გვსურს დასავლური ტიპის დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ დონეზე იქნეს დაცული ადამიანის უფლებები როგორც ეს ევროპაში და დასავლეთის ქვეყნებშია, ასევე აუცილებელია სხვა მნიშვნელოვან საკითხების დახვეწა და განვითარება იმისათვის, რომ მივაღწიოთ მიზანს და გავხდეთ ევროპის წევრი არა მარტო სტატუსით არამედ იმ ფასეულობებით და ღირებულებებით, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია. სწორედ ამ დროს იჩენს თავს ჩვენი რელიგიურ-კულტურული ბარიერები, რადგან როგორც უკვე აღვნიშნე რელიგია და კულტურა განსაკუთრებულ როლს თამაშობს პოლიტიკურ და ზოგადად ქვეყნის და საზოგადოების ცხოვრებაში.

არსებობს კანონები, რომელთა მიღებაც ჩვენ კულტურასა და რელიგიის დოგმებთან არ მოდის შესაბამისობაში და იწვევს აზრთდა სხვადასხვაობას საზოგადოებაში, მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ანტიდისკიმინაციული კანონი, რომელიც სულ ახლახან იქნა ინიცირებული და დამტკიცებული, ამ საკითხზე უფრო ვრცლად ვისაუბრებთ თემაში. აქვე მინდა ყურადღება გავამახვილო იმ ქვეყნებზე, რომლებიც ახლოს არის ჩვენი რელიგიასთან და კულტურასთან და უკვე არიან ევროპის ნაწილი, ესეთი ქვეყნებია საბერძნეთი და კვიპროსი. ვისაუბრებ თუ რა გზა გაიარეს ამ ქვეყნებმა ევროპაში ინტეგრაციისათვის და ჰქონდათ თუ არა მათ რთული პოლიტიკურ-კულტურული ვითარება როცა ხდებოდა მათ რელიგიურ დოგმებთან მიუღებელი კანონების განხილვა. ამ საკონფერენციო თემაში ასევე მსურს რომ ვისაუბრო იმაზე, არსებობს თუ არა რაიმე სახის საშიშროება ჩვენი კულტურისათვის და რამდენად არის სწორი იმაზე საუბარი თითქოსდა ევროპაში ინტეგრაცია გამოიწვევს ჩვენი კულტურის დაკნინებას და სახეცვლილებას. თემაში ასევე განვიხილავ იმ მნიშვნელოვან საკითხებს რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს ანუ საერო და სასულიერო ურთიერთობებითვის დამახასიათებელ იმ მნიშვნელოვან საკითხებს , რომელიც არეგულირებს მათ ურთიერთობას და არის თუ არა დღევანდელი საქართველოს კონტიტუციური კანონების მიხედვით სამართლიანი ერთი რელიგიის უპირატესობა, რადგან თუნდაც ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მხოლოდდამხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიას აფინანსებს და არა ყველას, თუნდაც იმ უმცირესობებს, რომლებიც როგორც თითოეული მართლმადიდებელი იხდის გადასახადებს. არის თუ არა მნიშვნელოვანი, რომ დემოკრატიული პრინციპები ზუსტად იმ სახით გადმოვიტანოთ საქართველოში, როგორც ეს დასავლეთშია, თუ უნდა იქნეს ევროპული ღირებულებები ჩვენი ქვეყნის ფასეულობებთან და ღირებულებებთან მორგებლი. შევეცდები, განვიხილო ანგლოკანური, კათოლიკური, მუსლუმური რელიგიების როლი იმ ქვეყნებში, რომლებიც უკვე წარმოადგენენ ევროპას, რა ხდება არის თუ არა პროტესტი რომელიმე კანონის მიმართ და თუ არის როგორ ხდება, რა საშუალებებით ასეთი კანონების წინააღმდეგ ბრძოლა და რა შედეგებს აღწევენ ისინი ამ ბრძოლაში. სწორედ ამ საკითხებზე გვექნება საუბარი მოცემულ საკონფერენციო თემაში და შევეცდები, საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები მოგაწოდოთ მოცემულ თემასთან დაკავშირებით.

ქართველი ხალხის არჩევანი და ევროპული ღირებულებები

ქართველი ხალხის ისტორიულ არჩევანს წარმოადგენს ევროპა, მისი ღირებულებები და ფასეულობები. ჯერ კიდევ ჩვ.წ-ადრინცხვამდე ქართველი ხალხის ისტორიულ მიწაზე, ევროპული ღირებულებების და ფასეულობების ნაკვალევი ჩანს, რაც გამოიხატება ძველი ბერძნული კოლონიებით. საქართველოს მიწაზე არაერთი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები იქნა აშენებული, ესენია პიტინტი (ბიჭვინთა), დიოსკურია (სოხუმი), გიენოსი (ოჩამჩირე), ფაზისი (ფოთი). ყველას კარგად მოეხსენება, რომ ბერძნული კულტურა გახდა საფუძველი ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების. ჩვენ კი მათთან ურთიერთობა ჯერ კიდევ ადრეულ ეპოქაში დავიწყეთ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართველები ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობაში იყო ევროპასთან. იმპერიები, რომლებიც ევროპის კონტინენტზე იქმნოდა, ყოველთვის ირჩევდა საქართველოს, როგორც მეგობარ ქვეყანას და სტრატეგიულ დასაყრდენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონში, კავკასიაში. ქართველ ხალხს ძალიან ბევრი საერთო აქვს ევროპელებთან. ქართველების და ევროპელების ბედი არაერთხელ გადაიკვეთა ისტორიის სხვადასხვა პერიოდში და თუ ჩავუღმავრდებით მივხვდებით, რომ საქართველო დამოუკიდებლობის პერიოდში ყოველთვის იყო და რჩებოდა ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების ერთგული. მნიშვნელოვანი გარდატეხა საქართველოსი და ევროპის კულტურულ-რელიგიური დაახლოებაში გამოიწვია რელიგიამ, რომელმაც ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ევროპაში და საქართველოში გავრცელდა, ეს გახლავთ ქრისტიანობა. აქვე მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ პირველ საეკლესიო კრებაში, რომელიც ნიკეაში გაიმართა და „ნიკეის პირველი საეკლესიო კრების“ სახელით არის ცნობილი ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველები ახლო ურთიერთობაში იყვნენ ევროპელებთან და მის ღირსეულ ნაწილს წარმოადგენდა. ჩვენს ქვეყანას არაერთი მტერი ყოლია, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ, არაერთ ბრძოლაში დამარცხებულა, მაგრამ არასოდეს უღალატია ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობებისთვის, რაც გამოიხატებოდა ანტიკური საბერძნეთის ღირებულებებისა და ქრისტიანული ღირებულებების დაცვით.

საქართველო პირველი იდგა ევროპის მთავარი ღირებულებების სადარაჯოზე, რადგაც ევროპას XV-XVI საუკუნეებამდე ძირითად საფრთხე აღმოსავლეთიდან ემუქრებოდა, ხოლო ქართველები მედროშეები იყვნენ ქრისტიანული ფასეულობების დაცვაში, ისინი

იბრძოდნენ, სიცოცხლის ფასად, რომ ეს ღირებულებები შეენარჩუნებინათ, არამარტო ქართველებისთვის, არამედ მთელი ევროპისათვის. 1801 წელს კი საბედისწერო ზარმა ჩამოკრა საქართველოსთვის და 200 წლიანი ტანჯვის დასაწყისად იქცა ქართველი ერისთვის რუსეთის იმპერიის მიერ ჩვენი ქვეყნის ანექსია. არაერთი აჯანყება მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით, მაგრამ თითოეული მათგანი უშედეგოდ მრთავდებოდა შიდა მტრებისა თუ გარე მტრების მეშვეობით. სწორედ ამ პერიოდიდან იქნა მოწყვეტილი საქართველო თავის მეგობარ ხალხს ევროპელებს. გამონათება, იმედის ნაპერწკალი, ამ 200 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოხდა 1918 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და იმ დღიდანვე დაიწყო ფიქრი ევროპული ოჯახში დაბრუნებაზე. პოლიტიკურმა ვითარებამ იმ პერიოდში ევროპაში, აიძულა ევროპა უარი ეთქვა თავის დაკარგულ მეგობარზე, რომელსაც სურდა მათ ნაწილი გამხდარიყო. არაერთმა გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და პოლიტიკოსმა გადადო თავი თავისი ქვეყნისთვის და იმ არჩევანის განხორციელებისთვის, რომელიც ქართველმა ხალხმა გააკეთა, ეს იყო დაბრუნება თავის ისტორიულ მეგობართან, ევროპასთან. თუმცა ვერ მოხერხდა და ვერ განხორციელდა ქართველი ერის ნება და 1921 წელს კვლავ სახე შეცვლილმა ბოროტებამ, სსრკ-ს სახით, შთანთქა საქართველო. დაიწყო მძიმე და საშინელი ეპოქა ქართველი ერისათვის. ეპოქა, რომელმაც ქართველების მენტალიტეტზე ადათ-წესებზე, ტრადიციებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა და აქცია ის „ჭანჭიკებად“ დიდი მანქანისა, რომელსაც სსრკ ერქვა. თუმცა ამ პერიოდშიც იყვნენ ქართველი ახალგაზრდები, რომლებსაც სისხლი უდუღდათ მარღვებში, სისხლის ყივილი, რომელიც მათ წინაპრებისგან გამოყვათ და გადაეცათ არ ქრებოდა და კვლავ განაგრძობდა მათში არსებობას. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა სწორედ ასეთი ახალგაზრდების რიცხვს მიეკუთვნებოდნენ, რომელთა თავდადებულმა ბრძოლამ სსრკ-ს წინააღმდეგ და ამ გზაზე არაერთმა დაბრკოლებამ მიიყვანა ქართველი ხალხი და საქართველო 1990 წლამდე, როდესაც საქართველომ ნანატრი დამოუკიდებლობა მოიპოვა. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ქართველებმა კვლავ დაიწყეს ძიება თავისი მეგობრისა (ევროპის) და დღემდე ვცდილობთ, რომ ევროპამ მიგვიღოს როგორც მისი დიდი ხნის მეგობარი, რომელის 200 წლის განმავლობაში იყო დატყვევებული უსამართლოდ სასტიკი სისტემის მიერ. 2003 წელს ჩატარებულმა რეფერენდუმმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ქართველი ხალხის არჩევანი, რომ მათ სურს ევროპული ოჯახის ნაწილად იქცნენ. ამის შემდეგ კი საქართველომ აქტიურად დაიწყო ევროპულ ოჯახში დამკვიდრებისთვის საჭირო კანონებისა თუ ინსტიტუტების მიღება და შექმნა, რადგან

ჩვენი არ ყოფნის დროს ევროპამ დიდი გზა განვლო და დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ახლა კი ჩვენი, ქართველების, დროა დავეწიოთ ევროპას და მივიდეთ იმ ღირებულებებამდე და ფასეულობებამდე, რომელზეც ასე ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები, რომლებმაც ამ 200 წლის განმავლობაში იბრძოლეს თავდაუზოგავად და დღეს მოგვცეს ჩვენ არჩევანის გაკეთების საშუალება. ევროპული ღირებულებები, როგორებიცაა ადამიანური ღირსება, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, ხედვა, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს, უმცირესობათა უფლებებს წარმოადგენს მიზანს ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს. საქართველო კი ცდილობს ჩამოაყალიბოს ინსტიტუტები, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღირებულებების გამყარებას საქართველოს ტერიტორიაზე და ასევე ცდილობს იმ დამახინჯებული ინსტიტუტების გარდაქმნას, რომელიც არ ემსახურება ამ მიზანს და პირიქით, ხელს უშლის ქვეყანას გახდეს ღირსეული დასალვური ტიპის სახელმწიფო.

ევროპისკენ მიმავალ გზაზე

ევროპისკენ მიმავალი გზა როგორც მოსალოდნელი იყო საკმაოდ რთული და სიმძნელებით სავსე აღმოჩნდა. 1990-იან წლებში საკმაოდ რთული სიტუაცია იყო საქართველოში, მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, რამაც სამოქალაქო ომამდე მიიყვანა ქვეყანა. 1995 წელს მიღებული კონსტიტუცია საფუძველი გახდა სტაბილურობის და ქვეყნის შიგნით მშვიდობის დამყარების, ეს ალბათ პირველი ნაბიჯი იყო ცივილიზებული ქვეყნის ჩამოყალიბების საქმეში. არჩევნების ჩატარების შემდგომ კი მოხდა ხელისუფლების და მართველი პარტიის ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, ეს პირველი ნაბიჯები იყო დემოკრატიის გზისა ჩვენს ქვეყანაში და ბევრი რამ დაუხვეწავი და გაუმართავი იყო. უამრავი პრობლემა არსებობდა ქვეყანაში პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, ადამიანური უფლებების უხეში დარღვევები, უთანასწორობა, მექრთამეობა, კორუფცია და ბევრი სხვა სახის დარღვევა. ამ ყველაფერმა კი გამოიწვია 2003 წლის რევოლუცია, რომელმაც იფეთქა ქართულ საზოგადოებაში. ეს არ იყო რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ მოწყობილი რევოლუცია ეს იყო ქართველი ხალხის გამოძახილი, რომელიც დაიღალა იმ რეჟიმის და სისტემის უკუღმართობით, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. 2004 წლიდან კი უკვე დაიწყო პრინციპული და ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარება ახალი ხელისუფლების მხრიდან. მათ აღმოფხვრეს კორუფციისა და მექრთამეობის პრობლემა, რომელიც მწავედ

იდგა იმ დროინდელი სახელმწიფოს რეალობაში. დაიწყო სხვადასხვა სფეროში რეფორმების გატარება, რასაც მალევე მოჰყვა შედეგი, ასეთი სახის რეფორმებია, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა, რომელმაც სწრაფად გამოიგო შედეგი და ეს აისახა ქვეყანის შიდა მდგომარეობაზე. შემდგომი რეფორმა, რომელიც განახორციელა ხელისუფლებამ გახლდათ განათლების რეფორმა, რომელმაც ხელი შეუწყო სამართლიან საგამოცდო სისტემას და სტუდენტების სამართლიან ჩარიცხვას უნივერსიტეტებში. ასევე რეფორმები გატარდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში, კულტურის, სპორტის, ეკონომიკის, თავდაცვის, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, საგარეო ურთიერთობების სფეროებში, რამაც ხელი შეუწყო დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას და ევროპისკენ სვლას. სწორედ ამ პერიოდში იქნა დახვეწილი ფორმალური ინსტიტუტების დანიშნულებები და მიზნები, უამრავი არაფორმალური ინსტიტუტის აღმოფხვრა გახდა საჭირო, რომ ქვეყანაში არ გაღმავებულიყო კონფლიქტი და დაპირისპირებები. ასეთ არაფორმალური ინსტიტუტს წარმოადგენდა „ქურდული სამყარო“, რომლის წინააღმდეგ მკაცრი ზომები იქნა გატარებული ხელისუფლების მხრიდან. კრიმინალთან დაპირისპირებამ კი სწრაფად გამოიგო შედეგი ქვეყნის სტაბილურობისა, როგორც პოლიტიკურ ასევე ეკონომიკურ სფეროებში. გაიზარდა ქვეყნის ბიუჯეტი და წლიდან წლამდე ხდებოდა ეკონომიკური ზრდა. რა თქმა უნდა, ამაში გვეხმარებოდნენ პარტნიორი ქვეყნები და ჩვენი ევროპელი მეგობრები. ისინი გვეხმარებოდნენ როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკური საკითხების და პრობლემების მოგვარებაში. 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის მოვლენები და სხვა გახმაურებული საქმეები კი „შავ ლაქად“ რჩება წინა ხელისუფლების საქმიანობაზე. 2012 წელი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო დასავლური ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, რადგან საპარლამენტო არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაანახა ევროპელ და უცხოელ დამკვირვებლებს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული ხარისხის ზრდა. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყოველგვარი პოლიტიკური სირთულეების გარეშე მოხდა მთავრობის გადაცემა ახალი პოლიტიკური ჯგუფისათვის, რაც დემოკრატიის მაღალ ხარისხზე მეტყველებს. ჩვენმა ქვეყანამ ასევე გაიარა კოჰაბიტაციის, თანაცხოვრების, პერიოდი, რაშიც იგულისხმება ის რომ ორი პარტიის წარმომადგენლები იყვნენ აღმასრულებელი ხელისუფლების შტოში წარმოდგენილი. ეს კიდევ ერთი გარემოებაა სადაც კარგად ჩანს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის ხარისხის ზრდა.

საქართველომ სულ რაღაც ორი ათწლეულია რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა და ამ გზაზე მან არაერთი სირთულე გადალახა. ქართველი ერი ცდილობს განავითაროს თავისი ქვეყანა და აღარ დაუშვას წარსულში დაშვებული შეცდომები. ჩვენ ვცდილობთ შევცვალოთ ქვეყანა კარგისკენ რაშიც აუცილებლად გვჭირდება ჩვენი ევროპელი მეგობრების და ამერიკელი პარტნიორების დახმარება და გვერდში დგომა. ალბათ რამდენიმე თაობა დასჭირდება იმას, რომ ჩვენი ქვეყანა ვიხილოთ დასავლური დემოკრატიის სრულ წევრად, რადგან დღესაც მიმდინარეობს პროცესი, რომლის დასაწყისი არ იღებს სათავეს 1990-იან წლებში, ის იღებს სათავეს ევროპული ფესვებთან ანტიკურ საბერძნეთთან ერთად.

სახელმწიფო და კონკორდატი

სახელმწიფოსა და რელიგიას შორის კავშირი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა დღევანდელი დასავლური და დემოკრატიული ქვეყნებისათვის. საქართველოს, ისევე როგორც დასავლურ დემოკრატიულ ქვეყნებს არ აქვს სახელმწიფო რელიგია, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კონკორდატის საფუძველზე მოხდა კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ამის მიზეზი გახდა მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიული წვლილი ქვეყნის საქმეში. ამ შეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბდა ის მნიშვნელოვანი უფლება-მოვალეობები, რაც აკისრია ერთი მხრივ სახელმწიფოს, ხოლო მეორე მხრივს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას. შევეცდები, ვიმსჯელო და რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განვიხილო, პირველი მსურს განვიხილო შეთანხმების მე-4 მუხლი, რომლის მიხედვითაც:

1. სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან.
2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას.
3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოსახელობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამები.

პირველი პუნქტით დავიწყებ განხილვას და უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ არა მარტო მართლმადიდებელი სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან, არამედ ყველა სასულიერო პირი, ამაზე საუბარია კანონში „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“. მეორე პუნქტთან მიმართებაში კი ჩნდება გარკვეული კითხვები, ამ პუნქტს არეგულირებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება კაპელანის⁵⁰ ინსტიტუტის მეშვეობით კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, რაც გულისხმობს იმას, რომ მხოლოს მართლმადიდებელ მღვდლებს აქვთ უფლება გახდნენ კაპელანები. აქ კი ჩნდება კითხვა არის ეს თანასწორობის პრინციპის დარღვევა, რადგან სხვა უმცირესობას მაგალითად კათოლიკური მღვდელს, არ აქვს უფლება გახდეს კაპელანი. ეს ალბათ ხელს შეუშლით ევროპული ღირებულებების დამკვიდრებას, რადგან ყველამ კარგად ვიცით, რომ ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს და საფუძველს წარმოადგენს თანასწორობა. საზოგადოებაში ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი იყოფა ზოგი მიიჩნევს, რომ საერთოდ არ არის აუცილებლობა კაპელანის ინსტიტუტის არსებობა, ზოგნი კი პირიქით მიიჩნევს, რომ ეს ინსტიტუტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართველი ჯარისკაცებისთვის. თითოეულ მათგანს თავიანთი არგუმენტები აქვთ, მომხრეები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია სამხედრო მოსამსახურეებს ჰქონდეთ როგორც მატერიალური ასევე სულიერი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული. აუცილებელი ხდება ამ ინსტიტუტის არსებობა, რადგან შესაძლებელია ჯარისკაცს სწრაფად დასჭირდეს სულიერი მამის, მღვდლის, დახმარება მძიმე სიტუაციებში, როდესაც ჯარისკაცი სასიკვდილოდ არის დაჭრილი ან გამოუვალი მდგომარეობაა. ამ იდეის მოწინააღმდეგეები კი მიიჩნევენ, რომ ასეთი სახის ინსტიტუტის არსებობა არ წარმოადგენს მწვავე საჭიროებას, პირველ რიგში იმიტომ, რომ ქართველ ჯარისკაცებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ თავიანთ სულიერ მამებს და იქონიონ მათთან კონტაქტი. ასევე თვლიან, რომ კაპელანის ინსტიტუტი მხოლოდდამხოლოდ მართლმადიდებელ მღვდლებს ეხებათ ამიტომ მიაჩნიათ, რომ დემოკრატიის მნიშვნელოვანი პრინციპი თანასწორობას ექნება საფრთხე, ისინი ფიქრობენ, რომ ან უნდა გაუქმდეს ეს ინსტიტუტი ან ყველას უმრავლესობასთან ერთად უმცირესობასაც უნდა ჰქონდეთ კაპელანის სტატუსი იქონიონ. მესამე ნაწილს, რაც შეეხება სახელმწიფოს და ეკლესიას, რომ აქვს უფლებამოსილება განახორციელონ მოსახლეობის დაცვის ერთობლივი პროგრამები, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ

⁵⁰ არმიის მღვდელი

უმცირესობის წარმომადგენლებთან ერთად არ შეიძლება მსგავსი ღონისძიებების ჩატარება.

ახლა კი შევეცდები, ვიმსჯელო ეკლესიის დაფინანსებასთან დაკავშირებით როგორც ვიცით ბოლო დრომდე მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესია იღებდა სახელმწიფო დაფინანსებას, ხოლო სხვა რელიგიის წარმომადგენლები კი არ იღებდნენ დაფინანსებას, ეს იყო ასევე თანასწორობის პრინციპის უხეშ დარღვევა, რადგან ვიცით რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა წარმოადგენს მართლმადიდებელ ქრისტიანს, არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ ყველა საქართველოს მოქალაქე თანაბრად არის გადამხდელი გადასახადების, ამიტომ სახელმწიფოს ევალება არამარტო ერთი რომელიმე რელიგიის დაფინანსება, არამედ მის სახელმწიფოში არსებული რელიგიებისა. რა თქმა უნდა, პროპორციულად უნდა იყოს გამოყოფილი თანხები მრევლის რაოდენობის მიხედვით. ბოლო წლებში ასეც მოხდა და ფინანსდება, როგორც მართლმადიდებლური ეკლესია, ასევე სხვა რელიგიის წარმომადგენლებიც. საზოგადოებაში კი ჩნდება გარკვეული კითხვები და აქაც იყოფა აზრი, საერთოდ უნდა დაფინანსდნენ თუ არა სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის წარმომადგენლები. ამ საკითხთან დაკავშირებით NDI _ის მიერ ჩატარებული იქნა კვლევა რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის 74-75%-მა არც კი იცოდა, რომ სახელმწიფო აფინანსებდა რელიგიის წარმომადგენლებს. გამოკითხულთა 55% ამართლებს იმ ფაქტს, რომ მართლმადიდებლური ეკლესია სახელმწიფოსგან 25 მილიონ ლარს იღებს, ხოლო 21%-ი კი არ ამართლებს. ასევე გამოკითხულდა უმრავლესობა არ ამართლებს 4,5 მილიონი ლარით დაფინანსებას სხვა რელიგიური კონფესიებზე, როგორებიცაა კათოლიკური ეკლესია, სომხური ეკლესია, ისლამური თემი და ა.შ. ამ კვლევიდან კარგად ჩანს, რომ მოსახლეობის აზრი ორად იყოფა ზოგნი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო არ უნდა აფინანსებდნენ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს, ხოლო მეორენი კი პირიქით მართებულად მიიჩნევენ რელიგიის დაფინანსებას. ახლა ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის გერმანიის მაგალითი განვიხილო , გერმანიაში რელიგიები ფინანსდება მოსახლეობისგან მიღებული გადასახადებით, რაც ნებაყოფლობითია. სახელმწიფო გერმანიის შემთხვევაში თამაშობს ადმინისტრატორის როლს. ასევე შეგვიძლია განვიხილოთ საბერძნეთის მაგალითზე საბერძნეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას ჩამოყალიბებული აქვს ფონდი სადაც მრევლი რიცხავს შემოწირულობებს. ასევე აღსანიშნავია ის რომ სახელმწიფო ხელს უწყობს მართლმადიდებლურ ეკლესიას ნაკლები გადასახადების სახით და ასევე

გარკვეული გადასახადის უკან დაბრუნებით. აქედან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ ევროპულ ქვეყნებშიც ხდება გარკვეული სახის დახმარება ეკლესიების მიმართ და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგაც როგორც ვიცით ეკლესიები წარმოადგენენ საზოგადოების უმრავლესობისათვის სულიერი სიმშვიდის გარანტს და სულიერი ზრდის წყაროს.

რელიგიურ-კულტურული ფაქტორების ევროპული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე

რელიგიურ-კულტურული ფაქტორები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე გვინდა ეს ჩვენ თუ არა. პირველ რიგში უნდა გავითავისოთ ის გარემოება, რომ დღეს მსოფლიოში უამრავი ნაცია არსებობს და თითოეულ მათგანს აქვთ თავიანთი კულტურა, რელიგია, ტრადიციები, რომლებზე დაყრდნობითაც ისინი აშენებენ სახელმწიფოებს. ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობაც, სწორედ ამ ტიპის სახელმწიფოებს წარმოადგენენ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ინგლისი და საფრანგეთი. ინგლისი ყველას კარგად მოეხსენება რომ ტრადიციების დამცველი ქვეყანაა, ის ფაქტი, რომ იქ კონსტიტუციურ-მონარქიას ვხვდებით ამის ნათელი მაგალითია. ინგლისელებისთვის დედოფალი არ არის მხოლოდ პოლიტიკური ფიგურა ის გახლავთ ტრადიციის ნაწილი, რომელიც ინგლისელებმა შეინარჩუნეს. საფრანგეთიც ასევე გახლავთ ტრადიციების ქვეყანა და ამის არაერთ ფაქტი არსებობს. თუნდაც ის გარემოება, რომ პარიზი სიყვარულის ქალაქად არის აღიარებული და დღემდე ინარჩუნებს ამ სტატუსს წარმოადგენს ნათელ მაგალითს ფრანგული ტრადიციისა. სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთ კულტურაზე და რელიგიაზე მორგებული ინსტიტუტების მშენებლობას, მაგრამ თავს იჩენს სხვადასხვა სახის პრობლემები ამ პროცესის დროს. საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ევროპული კონვენცია ამის ნათელი მაგალითია. ეს დოკუმენტი შეიძლება ითქვას კაცობრიობის მონაპოვარია, რადგან მასში გაწერილია ის ბაზისური უფლებები რაც ადამიანს გააჩნია და რომლის გარეშეც ვერც ერთი დემოკრატიული ქვეყანა ვერ იწოდება დასავლური ტიპის ქვეყნად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ხელშეკრულების წევრი საქართველოცაა და რაც მთავარია ჩვენი ქვეყანა ცდილობს მოაწესრიგო შიდა ინსტიტუტები იმისათვის, რომ ევროპულ კონვენციაში არსებული ადამიანის უფლებები იყოს დაცული და გარანტირებული არა მარტო კონვენციის მიერ, არამედ ადგილობრივი კანონების მეშვეობითაც. ამ პროცესში კი არაერთ დაბრკოლება ხვდება ქართველ საზოგადოებას, ერთი მხრივ სურს რომ იყოს და

იქცეს დასავლური ტიპის დემოკრატიული ღირებულებების მქონე სახელმწიფოდ, ხოლო მეორე მხრივ გარკვეული საკითხებში ეს არ მოდის თანხვედრაში ქართულ კულტურულ-რელიგიურ დოგმებთან,

შევეცდები, ვიმსჯელო ბოლო დროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც სწორედ ამ საკითხებს ეხება. ბოლო თვეების განმავლობაში ქართულ საზოგადოებაში მიდის განხილვა ერთ-ერთ კანონზე, რომელიც უკვე მიღებული და დამტკიცებულია ,ეს გახლავთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომლის მიხედვითაც მოხდა კონსტიტუციური უფლებების უფრო ღრმა დეკლარაცია. ამ კანონის მიზანი გახლავთ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებების თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. ამ კანონთან დაკავშირებით საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა. ეკლესია მოითხოვს ამ კანონიდან ამოღებული იქნას სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის პუნქტები, რადგან ისინი მიიჩნევენ რომ ეს არ მოდის შესაბამისობაში ეკლესიურ კანონიკურ სამართალთან და არის სრულიად ამორალური და პროპაგანდისტული მსგავსი რამის კანონში ჩაწერა. ამ კანონში მოცემულია ის, რაც უკვე წერია კონსტიტუციაში და რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ღირებულებას და ფასეულობას წარმოადგენს. დღევანდელი დასავლური ტიპის დემოკრატიული ქვეყნები ორიენტირებულნი არიან ადამიანზე, მის უფლებების დაცვაზე. სწორედ ამიტომ აუცილებელია რაც შეიძლება მალე გააცნობიეროს ქართველმა ხალხმა, რომ ეს კანონი ემსახურება ადამიანის დაცვას და არამცდარამც უმსგავსოებისა და ცოდვის პროპაგანდას. ეკლესიაშიც არის განსხვავებული აზრი ამ ფაქტთან დაკავშირებით ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს კანონი არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, მაგრამ უმრავლესობა თვლის, რომ მსგავსი კანონები ხელს უწყობს გარყვნილების პროპაგანდას. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული

კონსტიტუციური შეთანხმება კი იმის საფუძველია, რომ ისინი დამოუკიდებელი არიან და არ არიან პასუხისმგებელი ერთმანეთის წინაშე. სახელმწიფო ზრუნავს თავის მოქალაქეზე, რომელ ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფს არ უნდა მიეკუთვნებოდეს ის, ხოლო ეკლესია ორიენტირებულია თავის მრევლზე, მართლმადიდებელ მორწმუნეებზე. სახელმწიფოს ვალდებულებაა ყველა ზომა მიიღოს იმისათვის, რომ ადამიანებმა სხვადასხვა ნიშნის მიუხედავად შეძლონ თავიანთი უფლებების გამოვლენა. ქართველი ხალხის უმრავლესობისთვის გასაგებია, რომ ქრისტიანობა წარმოადგენს საფუძველს, კერას ქართული კულტურისა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის რომ ჩვენ მრავალკულტურული და მრავალეთნიკური ქვეყანა ვართ და ვალდებულნი ვართ პატივი ვსცეთ თითოეულ ჩვენს თანამემამულეს. ამ კანონით კი ქართულმა სახელმწიფომ უნდა განამტკიცოს ყოველგვარი დისკრიმინაცია, როგორც არ უნდა იყოს ის. მთავარი ღირებულებას დასავლური დემოკრატიული სახელმწიფოსთვის უნდა წარმოადგენდეს ადამიანი. ერთი მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ მამათმავლობა მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ყველაზე დიდ ცოდვას წარმოადგენს, მაგრამ ბიბლიაში წერია, რომ ქრისტიანი უნდა ებრძოდეს არა ცოდვილს, არამედ ცოდვას. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს მიერ ამ კანონის მიღება. ჩემი აზრით, სწორი და გამართლებულია, რადგან ეს კანონი იცავს ადამიანს (ცოდვილს) სხვადასხვა წინააღმდეგობებისაგან, რომელსაც ის სწორედ ამ ნიშნით შეიძლება შეექმნას. მოცემული კანონი არანაირად არ იცავს ცოდვას და მართლმადიდებელ სულიერ მამებს შეუძლიათ ებრძოლონ ცოდვას ოღონდ არა „ტაბურეტკის“ რტყმევით თავში, არამედ სიტყვით და საუბრით. აქვე მსურს გავიხსენო ჩვენი პატრიარქის სიტყვები: „ზოროტებას ბოროტებით ვერ დავამარცხებთ“. მართლაც, რომ შეუძლებელია ცოდვას სხვა ცოდვა დავუპირისპიროთ, ცოდვაა ის რაც 2013 წლის 17 მაის დატრიალდა საქართველოში. მართლმადიდებლური ეკლესიის და სწავლების მიხედვით მთავარ ღირებულებას სწორედ რომ ადამიანი წარმოადგენს და ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ არ შეიძლება ადამიანის სასიკვდილოდ გამეტება. რაც არ უნდა დიდი ცოდვა ჰქონდეს ადამიანს ჩადენილი მითუმეტეს ისეთი, რითაც მხოლოდ საკუთარ თავს ავნებს ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება განვსაჯოთ ის. მსურს ბიბლიიდან ერთ-ერთი მონაკვეთის მოყვანა, რითიც მინდა გამოვკეთო ის გარემოება, რომ ადამიანს არ აქვს ვინმეს განსჯის უფლება. როდესაც მრუში ქალის ჩაქოლვას აპირებენ, ხოლო უფალი ეტყვის მათ, რომ ვისაც ცოდვა არ გაქვთ ჩადენილი იმან პირველი ისროლოსო ქვა, თუმცა არავინ ისროლა ქვა, რადგან არავინ არ იყო ისეთი ვისაც ცოდვა არ ჩაუდენია. ამიტომ სანამ დავიწყებთ ვინმეს განსჯას დავფიქრდეთ გვაქვს კი ჩვენ ამის უფლება სხვის

ცოდვაზე ხელი გავიშვიროთ, როდესაც საკუთარი სული მრავალი ცოდვით გვაქვს დამძიმებული. აქვე შეუძლებელია რო არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ თითქმის ყველას ვინც ამ კანონის წინააღმდეგია საუბრობს სოდომ-გომორის ცოდვაზე და მიიჩნევენ თითქოს მამათმავლობა არის მართო ამ ცოდვაში მოხსენიებული. მსურს მათ ვუთხრა, რომ სოდომ-გომორის ცოდვაში არ არის მართო მამათმავლობის ცოდვა მოხსენიებული, ამ ცოდვაში ბევრი სხვა ცოდვაც მოიხსენიება, როგორებიცაა მკვლელობა, ძალადობა, უპატივცემულობა მშობლების მიმართ და უამრავი სხვა, რადგან იმ სოდომსა და გომორში უამრავი ცოდვა ტრიალებდა სწორედ ეს ცოდვები გახდა მიზეზი იმ ტრაგიკული ისტორიისა, რაც იქ განვითარდა. ამით იმის თქმა მსურდა, რომ დღეს მრავლად არის მომძლავრებული მსგავსი ცოდვები, არა მართო მამათმავლობა, არამედ სხვა ცოდვები და მოდით ასე ვთქვათ სოდომ-გომორის ცოდვა დღეს მძლავრად არსებობს მსოფლიოში და არ ვთქვათ ისე თითქოს მართო მამათმავლობა არის მიზეზი ამ ტრაგედიისა.

ევროპა აკვირდება საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და ნახულობს, რომ ასეთი ტიპის ქმედებები, როგორებიც ჩვენ ვნახეთ 2013 წლის 17 მაისს არ არის დასავლური ღირებულებების მქონე სახელმწიფოს მახასიათებელი. სწორედ ამიტომ ჩვენ მოგვეთხოვება გავატაროთ ისეთი კანონები, შევქმნათ ისეთ ინსტიტუტები რითაც დავეხმარებით ადამიანებს საკუთარი უფლებების განხორციელებაში. იმის მიუხედავად თუ რამდენად დიდი იქნება საფრთხე სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ნებისმიერი მისი მოქალაქის უფლება და ხელი შეუწყოს ამ უფლების განხორციელებას.

საბერძნეთი და კვიპროსი, გზა ევროპისაკენ

თავდაპირველად საუბარს დავიწყებ საბერძნეთზე, საბერძნეთში ისევე როგორც ჩვენთან მოსახლეობის ურმაველესობა არის მართლმადიდებელი ქრისტიანი. ევროკავშირში შესვლამდე არსებობდა გარკვეული პრობლემები, რადგან ვერ გაერკვიეთ საბერძნეთი ეკუთვნოდა დასავლეთს და დასავლურ ღირებულებებს თუ აღმოსავლეთს. დასავლური იდეის მომხრეებს ანუ მოდერნისტებს მიაჩნათ, რომ საბერძნეთ იყო დასავლურის ღირებულების მქონე, რადგან ისინი იყვნენ ლიბერალური იდეების გამტარებლები, ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთის მომხრეებს, რომლებსაც ძირითადად მართლმადიდებლური ეკლესია წარმოადგენდა ამბობდნენ, რომ უნდა შეენარჩუნებინა საბერძნეთს სტატუს ქვო, მათ უნდა დაეცვათ ისეთი საკითხები, როგორიცაა რელიგია, ტრადიცია და სოციალური იერარქია. ეს პრობლემა იდგა მანამ სანამ საბერძნეთ

გახდებოდა ევროკავშირის წევრი ქვეყანა თუმცა დღესაც ძალიან აქტიური მსგავსი ტიპის საკითხები და პრობლემები. საბერძნეთში ჯერ კიდევ მწვავედ დგას პრობლემა სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთობაზე, რადგან არ არის მკაფიოდ გამოყოფილი ზღვარი მათ შორის. აქვე ჩნდება კითხვა იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება ამოივსოს სიცარიელე პოლიტიკურ, ეკონომიკური და კულტურული საკითხებში ისეთ ქვეყანაში, რომლის ხალხი წარმოადგენს დასავლური ღირებულებების მქონეს ხოლო მისი ტერიტორიაული მდგომარეობა და ტრადიციები კი აღმოსავლურს. ალბათ ეს ფაქტორი წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან ინდიკატორს, რომლის გამოც არის პრობლემები საბერძნეთსა და ევროკავშირს შორის. რელიგიური ფაქტორი საკმაოდ დიდ დამაბულობას ქმნის თანამედროვე საბერძნეთის სახელმწიფოსთვის, რადგან სახელმწიფომ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა გამოყოფილიყო ეკლესიისგან ანუ მკაფიო ხაზი გაესვა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. სწორედ ეს ფაქტორი რჩება დღესაც თანამედროვე საბერძნეთისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად. ბერძენი ხალხი ავტომატურად იწვევს ასოციაციას მართლმადიდებლურ ეკლესიაზე, რაც არ არის სწორი, რადგან ამ ქვეყანაში ცხოვრობენ სხვა რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებიც და იყო ბერძენი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იყო მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანი. ამიტომაც სახელმწიფომ უნდა შეძლოს თავისი ადგილის დაკავება და უნდა მოახერხოს მკაფიო ხაზის გასმა მასსა და ეკლესიას შორის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სანამ ევროკავშირის წევრი გახდებოდა საბერძნეთში იყო პრობლემები, რომლებიც სწორედ რომ ეკლესიისგან გამომდინარეობდა, რადგან ის მომხრე იყო დაეცვა ტრადიციები და რელიგიური დოგმები, რითაც რიგ საკითხებში ვერ ხერხდებოდა კონსენსუსის მიღწევა. ანტიდისკრიმინაციულ კანონთან მიმართებაში, რომელიც ევროკავშირის მიერ იქნა ინიცირებული რომ დაემტკიცებინა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, საბერძნეთში საკმაოდ მძიმე გამოხმაურება მოჰყვა. თუმცა ეს კანონი მაინც იქნა მიღებული, რადგან ეს არის იმ ფუნდამენტური ღირებულებების დეკლარირება, რაც დასავლური ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს. ასევე შეუძლებელია არ ვთქვათ ის, რომ საბერძნეთი წარმოადგენს მრავალკულტურულ და მრავალეთნიკურ სახელმწიფოს, ამიტომაც აუცილებელია უმცირესობების ინტერესების დაცვის გაძლიერება.

მეორე სახელმწიფო, რომელსაც მიმოვიხილავ საკმაოდ ახლოს არის ჩვენს კულტურასთან და რელიგიასთან, ეს გახლავთ კვიპროსი. მისი მოსახლეობის 90%-ზე მეტს წარმოადგენს მართლმადიდებელი ქრისტიანები, ხოლო დანარჩენს 10%-ს რელიგიური უმცირესობები.

ეს ქვეყანა საკმაოდ რთულ რეგიონში მდებარეობს. კვიპროსი კუნძულოვანი ქვეყანაა და კუნძული გაყოფილია ორ ნაწილად, ერთ ნაწილს თურქები აკონტროლებენ, ხოლო მეორეში დამოუკიდებელი სახელმწიფო კვიპროსი ჩამოყალიბდა. კვიპროსი სანამ ევროკავშირის წევრი გახდებოდა არსებობდა პრობლემები, რომლებიც სწორედ ეკლესიასთან იყო ასოცირებული. უნდა აღინიშნოს ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოყვა კვიპროსში, თუმცა ამ ქვეყანაში უნდა აღინიშნოს ის ფაქტორი, რომ სახელმწიფო მკაფიოდ დააფიქსირა თავისი აზრი და მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი იმ ფორმით რა ფორმითაც მოითხოვა ევროკავშირმა. მიუხედავად რელიგიური დაძაბულობისა, კვიპროსის სახელმწიფომ მიიღო და გადადგა ერთი ნაბიჯი დასავლური ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. მან მკაფიოდ დააფიქსირა სექსუალური უმცირესობების დაცვის უფლებები, რადგან როგორც ვიცით მართლმადიდებლური ეკლესია მკაფიოდ და ღიად უპირსპირდება მსგავში ტიპის საკითხებს. კვიპროსის სახელმწიფო მართლაც ღირსეული მაგალითია დემოკრატიული, თავისუფალი, თანასწორი სახელმწიფოს მშენებლობისა და იმ დასავლური ღირებულებებზე დაფუძნებული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა, რომელსაც ის ბოლო ათწლეულის განმავლობაშია ცდილობს.

ევროკავშირი ცდილობს განავითაროს ადამიანის უფლებების დაცვა მის წევრ და პარტნიორ ქვეყნებში. იგი ეხმარება სახელმწიფოებს შეცვალონ და შექმნან კანონები, რომლებიც მორგებული იქნება იმ მთავარ ღირებულებებს, რომელიც ადამიანს გააჩნია. დღევანდელი ევროპა ცდილობს დაიცვას ადამიანი ნებისმიერ ფასად, რადგან თუ ადრე იღეა იყო ფასეული ახლა ადამიანი ჩნდება და ადამიანს ენიჭება დიდი ყურადღება. კაცობრიობა ვითარდება და სწავლობს თავის შეცდომებზე, მაგრამ კარგად უნდა გვახსოვდეს ანტიკური საბერძნეთი, როდესაც ადამიანი იყო ცენტრი ყველაფრისა, ხოლო რენესანსის, აღორძინების, ეპოქამ დააბრუნა ის თავის კუთვნილ ადგილზე. ბოლო საუკუნეების განმანათლებლებმა კი შეძლეს ადამიანის მთავარ ღირებულებად ქცევა და იმ სისტემის ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპების დატოვება, რომელსაც დღეს ჩვენ ვაშენებთ. ჩვენმა წინაპრებმა მოგვცეს ჩვენ გეგმა, რომელიც უნდა შევასრულოთ იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს, როგორც ამერიკის კონსტიტუციაში წერია, ბედნიერებისკენ სწრაფვა. ეს არ არის უბრალო სიტყვები, რადგაც თითოეულ ადამიანს აქვს უფლება იყოს ბედნიერი და თავისუფალი. ეს მონიჭებული აქვს უფლისგან და ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება, რომ შევეცილოთ მას ამ უფლების განხორციელებაში.

ქართული კულტურის სადარაჯოზე

საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროპაში ინტეგრაცია გამოიწვევს ჩვენი ეროვნული იდენტობის ნაწილობრივ დაკარგვას. ისეთი იდენტობისა, როგორებიცაა კულტურა და ტრადიცია. ამის საშიშროება კი ნაკლებად დგას. შევეცდები ჩამოვყალიბო თუ რატომ არ უნდა არსებობდეს მსგავსი შიში თითქოსდა ევროპაში ინტეგრაციით ჩვენ ვკარგავთ იდენტობას. რა თქმა უნდა, ევროპაში შესვლა არ ნიშნავს ჩვენს ტრადიციებზე და კულტურაზე უარის თქმას, პირიქით ჩვენი ქვეყნის მრავალკულტურული და ტრადიციული მხარე უნდა შევიტანოთ ევროპაში, რითაც შევძლებთ ჩვენი იდენტობის წარმოჩინებას უკვე ევროპულ სივრცეში. ავიღოთ მაგალითად ევროპული ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ტრადიციებითა და კულტურით. პირველი რაც მაფიქრდება გახლავთ საფრანგეთი, რომელსაც არაჩვეულებრივი კულტურა და ტრადიციები გააჩნია. მათ ევროკავშირში შესვლით არაფერი დაუკარგავთ, ავიღოთ ინგლისი, რომელიც ალბათ ყველა დამეთანხმებით გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრადიციული ქვეყანა დასავლურ და არამართო დასავლურ ევროპაში. მათ არ დაუკარგავთ ეროვნული იდენტობა და პირიქით შეძლეს ამ იდენტობით ევროპული საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა. ამიტომაც უნდა გავითავისოთ და გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ეროვნული იდენტობის დაკარგვა კი არ მოხდება, არამედ პირიქით მისი წარმოჩინება ევროპული საზოგადოების წინაშე. ქართული ცეკვები და სიმღერები, ქართული სამზარეულო და სხვა მნიშვნელოვანი კულტურული სფეროების გატანა მოხდება ევროპულ ბაზარზე და ამით ქართველი საზოგადოება კი არ დაკარგავს იდენტობას, არამედ დაანახებს ევროპელებს, გააცნობთ მათ ქართულ სულს, საქართველოს ღირებულებებს და ფასეულობებს.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს კანონი სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

Michael Tsinisizelis, Professor, University of Athens, GREECE IN THE EUROPEAN UNION A Political / Institutional Balance Sheet (page 148)

Lina Molokotos-Liederman, “The Religious Factor in the Construction of Europe: Greece, Orthodoxy and the European Union”

<http://www.orthodoxy.ge/dgesastsalebi/avtokefalia.htm>

<http://www.patriarchate.ge/?action=text/samartali05>

https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=117088

<http://church.ge/index.php?showtopic=5004>

<http://www.tabula.ge/ge/story/82845-ndi-74-ma-ar-icis-rom-martlmadidebeli-eklesia-biujetidan-25-milions-ighebs>

<http://www.greekorthodoxloudoun.org/support.html>

<http://www.spiegel.de/international/europe/crisis-prompts-greek-government-to-push-austerity-on-orthodox-church-a-858905.html>

https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2339687&lang=ge

<http://www.un.org/News/Press/docs/2002/WOM1361.doc.htm>

<http://cyprus-mail.com/2013/10/17/eu-needs-to-be-bold-in-tackling-religious-problems/>

<http://www.hrc.org/blog/entry/cyprus-adds-sexual-orientation-and-gender-identity-to-anti-discriminatory-l>

საქართველოს რელიგიურ - კულტურული ინტეგრაცია ევროპაში

ნოდარ ქვარაია
მაგისტრანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მოცემული საკონფერენციო თემა შეეხება საქართველოს ისტორიას, მის რელიგიას, კულტურას, ტრადიციებს და ასევე იმას თუ რა კავშირი ჰქონდა საქართველოს და ევროპას ადრეულ საუკუნეებში. ამ ნაშრომში განხილულია ის თუ როგორ უერთიერთობები ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში ქართველ და ევროპელ წინაპრებს შორის. არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც დაეხმარა საქართველოს, ჩვენს წინაპრებს, რომ დაემყარებინა კავშირი ევროპასთან.

დღესდღეობით ქართველოს მოსახლეობის არჩევანი გახლავთ ევროპული ინტეგრაცია და იმ ღირებულებების და ფასეულობების ინტეგრაცია, რაც ევროპაში გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური და კულტურული ღირებულებები გარკვეული ტიპის ბარიერებს ქმნიან ამ პროცესის სრულყოფილად წარმართვის საკითხში. ამ ნაშრომში განხილულია ის თუ რა ტიპის პრობლემები შეიძლება წარმოიშვას ამ გზაზე და რა ღონისძიებები უნდა გაატაროს სახელმწიფომ ამ პრობლემების აღმოფხვრისათვის.

Georgia's Religious-Cultural Integration in Europe

Nodar Kvaraia
MA Student
Caucasus University

Abstract

This conference theme is about Georgian History, it's religious, culture, tradition and how Georgia was connected to Europe in early ages. In this term-paper I discuss what kind of relation was between Georgian's and European's ancestors. There are several things which helped our ancestors to make connection with Europe.

At present, and Georgian public's choice is European integration and the implementation of those values, which comes from Europe. It should be noted, however, that religious and cultural values create some kind of barrier to this process. I will discuss what kind of problem can be arisen and what kind of measures should get government.

საბანკო ანგარიშების მონიტორინგი როგორც საგამოძიებო მოქმედება



ქეთევან ავალიშვილი

მაგისტრანტი

2011 წელს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა ცვლილება, 124 პრიმა მუხლით განისაზღვრა საბანკო ანგარიშების მონიტორინგი როგორც საგამოძიებო მოქმედება. აღნიშნულ ნაშრომში განხილული იქნება ამ საკანონმდებლო ნოვაციის სამართლებრივი ასპექტები, პრობლემურობა საქართველოს კონსტიტუციასთან, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონთან მიმართებაში, აგრეთვე მისი ეკონომიკური ასპექტები, რისკები და რეკომენდაციები რომელიც რიგი საკითხების შეჯამების საფუძველზე შეიძლება გაიცეს.

მსოფლიო მასშტაბით გამარტივებული კომუნიკაცია, საზღვრების მოშლა იწვევს ადამიანის უფლებათა დაცვის შესუსტებას. საბანკო სფერო რაც უფრო ვითარდება, მარტივდება საბანკო ოპერაციები, რაც ხელს უწყობს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას. ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა არსებობა, როგორც ვიცით, არ შეიძლება შემოიფარგლოს დროის რომელიმე მონაკვეთით და სხვა ღირებულებებით, თუმცა დღეს აქტუალურია ადამიანის უფლებათა სფეროში ჩარევა (ამ შემთხვევაში საბანკო ანგარიშების მონიტორინგზე გავამახვილებთ ყურადღებას) სხვა სიკეთეთა დაცვის მიზნით, რაც მოითხოვს სამართლებრივ სიკეთეთა აწონ-დაწონვასა და შეფასებას.

თავად ტერმინი "მონიტორინგი" ინგლისური ენიდანაა შემოსული და ნიშნავს თვალყურის დევნებას, დაკვირვებას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ნოვაციის მიხედვით თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს საბანკო ანგარიშის/ანგარიშების გამოყენებით, ან/და ჩამორთმევისადმი დაქვემდებარებული ქონების მოძიების/იდენტიფიცირების მიზნით, პროკურორი უფლებამოსილია, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით საბანკო ანგარიშების მონიტორინგის შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე, რომლითაც ბანკი ვალდებულია ითანამშრომლოს

გამოძიებასთან და მას მიმდინარე რეჟიმში მიაწოდოს ინფორმაცია ერთ ან რამდენიმე საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ ორგანოს უნდა ეცნობოს ოპერაციის შესრულებისთანავე.

3. საბანკო ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის ან/და გატანის შემთხვევაში ინფორმაცია საქმის მწარმოებელ ორგანოს უნდა ეცნობოს ოპერაციის შესრულებამდე.

4. საბანკო ანგარიშების მონიტორინგის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მოპოვებისთვის აუცილებელ ვადას.

საბანკო ანგარიშების მონიტორინგი უცხო არ არის ქართული კანონმდებლობისთვის, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის, ფულის გათეთრებისა და სხვა მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად მრავალი ქვეყანა მიმართავს საბანკო საქმიანობაზე მონიტორინგს და ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ცნობილი ტერორისტული აქტების შემდეგ. ამერიკელმა კანონმდებელმა სწორედ ამ პერიოდიდან შემოიღო მკაცრი სამართლებრივი რეგულაციები ამერიკულ ბანკებში წარმოებულ საბანკო ოპერაციების მონაწილე პირთა იდენტიფიკაციისთვის. სავალდებულო გახდა ამერიკულ ბანკებში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან თანხის გადმორიცხვის, ან პირიქით, ამერიკული ბანკებიდან საზღვარგარეთ გადარიცხული თანხების მფლობელთა ვინაობის და თანხის წარმოშობის კანონიერების დადგენა. მსგავსი საკანონმდებლო პრაქტიკა შემოღებულ იქნა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ნათქვამი იყო რომ კანონპროექტის მიზანია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლებში არსებული ხარვეზების გამოსწორება, მათი დახვეწა, სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. საკანონმდებლო ინიციატივას საფუძვლად საერთაშორისო ორგანიზაცია "moneyval"-ის რეკომენდაცია დაედო. აღნიშნული ორგანიზაცია მსოფლიოში ფულის გათეთრების წინააღმდეგ იბრძვის.

საბანკო ანგარიშებზე მონიტორინგის დაწესებით იზღუდება პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

საქართველოს კონსტიტუციაში პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის ერთ-ერთი ძირითადი გარანტია მე-20 მუხლია. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად: 1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროს არ ზღუდავს მხოლოდ იმ ჩამონათვალით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტშია მოცემული და მას ანიჭებს უფრო ფართო მნიშვნელობას. ამრიგად, კონსტიტუციაში ნახსენები „პირადი ცხოვრება“ მოიცავს ყველა სხვა კომპონენტს, რაც პირდაპირ არ არის მოხსენიებული მე-20 მუხლის პირველ პუნქტში. ზოგადი ხასიათის მქონე ტერმინ „პირად ცხოვრებას“ სხვა დატვირთვაც გააჩნია. საზოგადოების განვითარების კვალობაზე ჩნდება ადამიანური ცხოვრების ახალი იზოლირებული ინსტიტუტები. ამიტომ ყველა ასეთი ახალი ინსტიტუცია მოექცევა ტერმინ „პირადი ცხოვრების“ ცნებაში.

მე-20 მუხლზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა და მისი შეზღუდვა. რაც შეეხება თავად მე-20 მუხლში ჩამოთვლილ უფლებების შეზღუდვას, როგორც ამავე მუხლის პირველ პუნქტშია მითითებული, მათი შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ასეთი გადაწყვეტილების გარეშე კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სემენტის სამართლებრივი ბუნებიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონსტიტუცია ამ უფლების დაცვის განსაკუთრებით მაღალ სტანდარტს აწესებს, მე-20 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის შემთხვევაში დაცული უნდა იყოს უფლების შეზღუდვის ფორმალური კონსტიტუციური გარანტიები, სახეზე უნდა იყოს მოსამართლის ბრძანება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

პირის საბანკო ანგარიშები პირადი ცხოვრების ზემოთაღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე ცალსახად მიეკუთვნება პირადი ცხოვრების ცნების ქვეშ დასაცავ სიკეთეთა

სეგმენტს, მისი როგორც ვიწრო, ასევე ფართო გაგებითაც, კონსტიტუციის როგორც მე-20 ასევე 41-ე მუხლის განმარტებითაც შეგვიძლია იგი განვმარტოთ, საბანკო ანგარიშის არსებობისა რათქმაუნდა არსებობს ოფიციალური ჩანაწერი, აღნიშნული ჩანაწერი იძლევა პირის იდენტიფიკაციის საშუალებას, არსებობს მისი დაცვის გონივრული მოლოდინი. ამ უფლების შეზღუდვისთვის კი საკმარისია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი.

რა თქმა უნდა, საბანკო ანგარიშების შესახებ სამართალდამცავი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, ადრეც ითვალისწინებდა 1999 წლის 23 თებერვლის კანონი "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ (მუხლი 17) მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში და ისიც სასამართლო გადაწყვეტილებით. რა იყო შესაბამისი საფუძველი: მტკიცებულებათა ერთობლიობა (ორი ან მეტი) , რომლებიც ადასტურებდა საბანკო ანგარიშის კავშირს კონკრეტულ ფიზიკურ პირთან, რომელიც იმხილებოდა დანაშაულის ჩადენაში. ახლა დავაკვირდეთ რა წერია ახალ კანონში საბანკო ანგარიშების მონიტორინგისთვის საკმარისია "დასაბუთებული ვარაუდი", რომ პირი დანაშაულში იმხილება. რა იგულისხმა კანონმდებელმა "დასაბუთებული ვარაუდის" ცნების ქვეშ და რით განსხვავდება ის ადრე არსებული "შესაბამისი საფუძველისგან".

დასაბუთებული ვარაუდი, რომელიც პირდაპირ იქნა გადმოტანილი უცხოური საკანონმდებლო აქტებიდან, გაგებულია როგორც ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს". დავაკვირდეთ, მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც სასამართლო კონტროლის პირობებში კიდევ ერთხელ უნდა გადამოწმდეს, იცვლება საეჭო საკანონმდებლო სუროგატით "ფაქტებისა ან ინფორმაციის ერთობლიობით" რა განსხვავებაა მათ შორის? პირველი მტკიცებულებითაა მიღებული და შესაბამისი გარანტიები დაცულია, რათა უსაფუძვლოდ არ შეილახოს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ხოლო "ფაქტებისა ან ინფორმაციის ერთობლიობის" ცნების ქვეშ უკვე მტკიცებულებები აღარ მოიაზრება, იგი უფრო ღრმაა და საშიში. მაგალითად, აგენტური ინფორმაცია, ანონიმური ცნობა ან ა.შ. დღევანდელი კანონმდებლობა საშუალებას აძლევს სამართალდამცავ ორგანოს საბანკო ანგარიშების საიდუმლოება შეზღუდოს, ხოლო შემდეგ დააყადლოს და ჩამოართვას მფლობელს, ფაქტობრივად შეუზღუდავი დისკრეციის პირობებში და ეს შემაშფოთებელია.

თუ გადავხედავთ საერთაშორისო კანონმდებლობას, ვნახავთ რომ საბანკო ანგარიშის გახსნის უფლება და მისი კონფიდენციალობა ყველა მოქალაქისთვის გარანტირებული

აქვს ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოს. ამ უფლების დაცვა გარანტირებულია “ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით” და სხვა საერთაშორისო აქტებით.

„საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ მე-17 მუხლში ვკითხულობთ: 1. არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა ან მისი ღირებულებებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა. 2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა და ხელყოფისგან. მოცემული მუხლის პირველი ნაწილი, სახელმწიფოს ავალდებულებს დაიცვას პიროვნების პირადი ცხოვრება, ხოლო მეორე ნაწილის თანახმად, თუ დაირღვა პირის ასეთ უფლება, მას აძლევს საშუალებას, დაიცვას თავი. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-8 მუხლში ნათქვამია: 1. ყველას აქვს უფლება პატივი სცეს პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის, მორალის თუ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის. ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლის თანახმად: „არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა და მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივის და რეპუტაციის, ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისგან“.

საჯარო და კერძო ინტერესს შორის ბალანსის დაცვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ჭრილში სახელმწიფოსათვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. სახელმწიფოს მხრიდან ახალი ნორმის ამუშავების არასწორი მექანიზმი, აგრეთვე ნორმის ბუნდოვანი ფორმულირება, იწვევს საკანონმდებლო ხარვეზს და დისბალანსს კერძო და საჯარო ინტერესს შორის. მითუმეტეს, როცა ქართულ

კანონმდებლობაში ტრანსნაციონალური დანაშაულების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უკვე არსებობდა მთელი რიგი რეგულაციები, გარდა ამისა საქართველოს კანონმდებლობით საკმაოდ კარგად არის რეგულირებული საფინანსო კონტროლის მექანიზმები, ამიტომ საბანკო ანგარიშების მონიტორინგის საგამოძიებო მოქმედებათა კარში შეტანა ჩემი აზრით არ არის მიზანშეწონილი, მითუმეტეს თუ არ აქვს საგამოძიებო მოქმედების ნიშნები.

საგამოძიებო მოქმედებები წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული შემეცნებითი ხერხების კომპლექსს (დაკვირვება, შედარება, გამოკითხვა, მოდელირება) რომელთა მეშვეობით ხდება დანაშაულის შესწავლა. ეს შესწავლა ტარდება კანონით მკაცრად განსაზღვრული პროცედურის სავალდებულო დაცვით და მხოლოდ ამ მოთხოვნის პირობებშია შესაძლებელი დანაშაულის შესახებ მიღებული ფაქტობრივი მონაცემი გამოყენებული იქნას როგორც მტკიცებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კანონის დარღვევით მიღებულ მონაცემს მიიჩნევს იურიდიული ძალის არმქონედ და იგი მტკიცების პროცესში არ გამოიყენება.

საგამოძიებო მოქმედებას აქვს კანონით გათვალისწინებული ფორმა და ფიქსაციის სავალდებულობა (შედეგის დაფიქსირება საგამოძიებო მოქმედების ოქმში).

უნდა ითქვას ისიც, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გაუქმდა წინასწარი გამოძიების ინსტიტუტი და მას მხოლოდ „გამოძიება“ დაერქვა ამით კი გამოძიებლის საქმიანობა უფრო მეტად ოპერატიული მუშაკის სტატუსისაკენ გადაიხარა (ამჟამად გამოძიებლები დეტექტივებად, ანდა დეტექტივის თანაშემწეებადაც იწოდებიან) და ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, გამოძიებელი უფრო ეფექტურად გამოიყენებს სხვა ოპერატიული მუშაკის შესაძლებლობებს, თუკი უშუალოდ ჩაატარებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს და მიღებულ ინფორმაციას კანონშესაბამისად მოიპოვებს და დააფიქსირებს. საგამოძიებო მოქმედებებს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ღია ხასიათი აქვს, შესაბამისად ამ კრიტერიუმს საბანკო ანგარიშების მონიტორინგი ვერ აკმაყოფილებს, იგი ტარდება ფარულად, რაც გულისხმობს იმას, რომ მოწინააღმდეგე მხარე ამის შესახებ ინფორმირებული არ არის. საერთოს არაფერი ეცნობება, უფრო მეტიც, მათ არ გააჩნიათ უფლება გაასაჩივრონ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერება, რადგან საგამოძიებო მოქმედება

ჩატარდა ფარულად და შესაბამისად დაცვის მხარემ ამის შესახებ გაიგო მხოლოდ გამოძიების დამთავრების შემდეგ. გამოდის, რომ მონიტორინგს ახორციელებს სახელმწიფო, რომელიც ამის შესახებ საქმის კურსში არ აყენებს მეორე მხარეს, ამ დროს ირღვევა თუ არა სისხლის სამართლის პროცესის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. შეჯიბრებითობა მხარეებს შორის გარანტირებულია, როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე (იხ. სსსკ 25-ე მუხლი). აღნიშნული პრინციპი თანაბარ მდგომარეობაში და პირობებში აყენებს მხარეებს მათ მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, მოსამართლის წინაშე მათი წარმოდგენის, გამოკვლევისა და ანალიზის მხრივ.

ამკარაა რომ საბანკო ანგარიშების მონიტორინგის საგამოძიებო მოქმედებად ჩამოყალიბება არღვევს და ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანეს პრინციპს. საგამოძიებო მოქმედებისგან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ხორციელდება რა ღია და ფარული მეთოდებით (უფრო ხშირად ფარულად, კონფიდენციალურად) იგი არ მიმდინარეობს მხარეებს შორის, და უფრო მეტიც, მეორე მხარემ საერთოდ არ იცის მისი არსებობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ისეთი სახეები, როგორებიცაა სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენა, დანაშაულებრივ ჯგუფში ფარული ჩანერგვა, ფარული თვალთვალი, აგენტურული ინფორმაციის მიღება და ა.შ საერთოდ დაკარგავდა აზრს.

წარმოდგენილი საკანონმდებლო კონსტრუქცია- საბანკო ანგარიშების მონიტორინგი, ნამდვილად არ შეიძლება ჩაითვალოს საგამოძიებო მოქმედებად, თუმცა იგი არც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაა.

საინტერესოა ვადებთან დაკავშირებული საკითხი, სსსკ-ის 124 პრიმა მუხლში მოცემულია: საბანკო ანგარიშების მონიტორინგის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მოპოვებისთვის აუცილებელ ვადას. თუ პირის საბანკო ანგარიშზე მონიტორინგს დააწყებენ, თუ ჩათვლიან რომ ეს ანგარიში

დანაშაულებრივი ქმედებებისთვის გამოიყენება, უფლება აქვთ დაეილოდონ ამ დანაშაულებრივ ქმედებას, მტკიცებულება მოიპოვონ და დაამაგრონ შესაბამისი წესით. შეიძლება ეს გაგრძელდეს 5 წელი, 10 წელიც, ამ პერიოდში კი საბანკო ანგარიში მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იქნება, შესაბამისად განუსაზღვრელი ვადით მოხდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა და აქ უკვე სადაოა რამდენად პროპორციული იქნება მისაღწევი მიზანი აღნიშნული უფლების მუდმივი დისკრედიტაციისთვის.

რეკომენდირებულია ნორმაში ყოფილიყო დათქმა კონკრეტული ვადის განსაზღვრის შესახებ, მაგალითისთვის ერთი თვიდან ექვს თვემდე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს წინაშე ჩნდება დაუცველობის განცდა, ნებისმიერი პირი შეიძლება აღმოჩნდეს მუდმივი კონტროლის ქვეშ, რაც საყოველთაოდ აღიარებული ერთერთი ძირითადი უფლების დარღვევაა. (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა)

რაც შეეხება საბანკო ანგარიშების მონიტორინგის საზღვარგარეთის ვერსიებს, საზღვარგარეთის ქვეყნებში საბანკო ანგარიშების მონიტორინგის და საბანკო ანგარიშების გაყინვის შესახებ ნორმებს შეიცავს ანტიტერორისტული, ფულის გათეთრების შესახებ აქტები ან საბანკო აქტები. საბანკო ანგარიშის კონტროლი ან მისი გაყინვა ხდება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ტერორისტული აქტის დაფინანსების ან ფულის გათეთრების შესახებ.

აშშ-ის „საბანკო საიდუმლოების შესახებ“ აქტით, საფინანსო ინსტიტუტებმა უნდა ითანამშრომლონ კომპეტენტურ სამთავრობო სააგენტოებთან თუ დაწყებულია გამოძიება ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით. ამასთან, აშშ-ში საფინანსო ინსტიტუტები ინახავენ ყველა საბანკო დოკუმენტს საბანკო ოპერაციის შესახებ, რომელიც აღემატება 10 000 აშშ დოლარს დღეში და საექვო ქმედების შესახებ ამ ინფორმაციას აცნობებენ კომპეტენტურ ორგანოებს. ესტონეთის აქტით „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ კი, საფინანსო ინსტიტუტი ნიშნავს საკონტაქტო პირს, რომელიც თანამშრომლობს საფინანსო დაზვერვის განყოფილებასთან (ცენტრალური კრიმინალური პოლიციის სტრუქტურული ერთეული). საექვო გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში, ეს პირი აწვდის ინფორმაციას საფინანსო დაზვერვის განყოფილებას, რომელიც საექვოდ მიიჩნევს განსახორცილებელ ფინანსურ ოპერაციას და ყინავს ანგარიშს 2 სამუშაო დღის ვადით. ესტონეთის კანონმდებლობით, ამ ვადაში კონკრეტულ ანგარიშზე არანაირი ოპერაცია არ

სრულდება. ანგარიშს კონტროლი ვადაზე ადრე შეიძლება მოეხსნას და საფინანსო ოპერაცია განხორციელდეს საფინანსო დაზვერვის განყოფილების წერილობითი ნებართვის შემდეგ. თუ საბანკო ანგარიშის გაყინვა ძალიან მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს გამოიწვევს, შესაძლებელია მასზე საფინანსო ოპერაციების განხორციელება, რაც შემდეგ დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ეცნობოს საფინანსო დაზვერვის განყოფილებას.

როგორც ვხედავთ, აშშ-ში საბანკო ანგარიშის გასაკონტროლებლად საჭიროა გამოძიება იყოს დაწყებული კონკრეტულ დანაშაულზე, თანხის ოდენობაც განსაზღვრულია, ესტონეთში განსაზღვრულია ვადა, რა ვადითაც ხდება ანგარიშის მონიტორინგზე აყვანა. საქართველოს მაგალითზე კი არც ვადა არის განსაზღვრული, არც თანხა და საბანკო საიდუმლოების დარღვევა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არის შესაძლებელი.

ცალკე თემაა კიდევ ერთი საკითხი რაც საბანკო ანგარიშების მონიტორინგის შემოღებას უკავშირდება, თუ როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს ეკონომიკაზე, თვითონ ბანკების ფუნქციონირებაზე, ხომ არ მოხდება კაპიტალის საზღვარგარეთის ბანკებში გადინება?

ეკონომიკა საერთოდ და მათ შორის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ვერ ეგუება ჩვენი აზრით, ისეთ უკიდურესობებს, როგორცაა მისი მისი მაქსიმალური მორჩილება სახელმწიფო ადმინისტრირების გზით, ან ქაოსამდე და განუკითხაობამდე მიყვანილი თავისუფალი ბაზარი. მასზე ასევე დამლუპველად მოქმედებს საკუთრების ფორმების უკიდურესი სახით არსებობა: ან მხოლოდ კერძო- ან მხოლოდ საზოგადოებრივი საკუთრების სახით, რამეთუ ადამიანი განსაკუთრებული არსებაა და მას თავისი შესაძლებლობების ეფექტიანად განვითარებისა და რეალიზაციისთვის ესაჭიროება როგორც თავის არსებაში ღრმად ჩახედვა, ასევე საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა ფულად-საკრედიტო, და საერთოდ საფინანსო პოლიტიკაში, მის სამართლებრივ რეგულირებაში, მისი ტრანსფორმაციის პროცესი ჯერ ისევ გრძელდება და ეს სრულიად ლოგიკურია, რამეთუ იგი ეხება მთელ საზოგადოებას და არა ერთი კონკრეტული ადამიანის ან მოვლენის ჩამოყალიბება-სრულყოფას.

საბანკო-საფინანსო სისტემის გამართულობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ სისტემასთან. საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების გაუმჯობესების საკითხების გადაჭრისათვის აუცილებელია კომპლექსურ

ლონისძიებათა დამუშავება და პარალელურად, მათი პრაქტიკულად ამოქმედების მექანიზმების განსაზღვრა. აღნიშნულ ღონისძიებების გატარებისას მთავარ მიზანს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ახალი საბანკო სისტემის ფორმირებისა და განვითარების პროცესში ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ეკონომიკური თავისებურებების განსაზღვრა. საბანკო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ნაკლოვანებების ჩამოყალიბება და ამ უკანასკნელის საფუძველზე საბანკო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების გაუმჯობესების გზების ძიება. როგორც პრაქტიკა მოწმობს, კომერციული ბანკების მდგრადობაზე, ნეგატიურ გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, საბანკო საკანონმდებლო ბაზის განუვითარებლობა და, მეორე მხრივ, მიღებული კანონების უმოქმედობა. ეს ეხება, როგორც საგადასახადო კანონმდებლობას, ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებს.

თანამედროვე ეტაპზე საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სისტემის ძირითადი მიზანია: პირველი, მოსახლეობის და ბანკის კლიენტურის ნდობის აღდგენა გარანტიების სისტემის შექმნით; მეორე, საბანკო სისტემის მდგრადობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა კონტროლის გაძლიერებით.

კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი პირობებისა და ფაქტორების განხილვა საზღვარგარეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

1. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო სისტემის მდგრადობა და საიმედოობა განხილული უნდა იქნეს დინამიკაში, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო საქმიანი აქტივობის დაცემის დროს, არამედ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის პროცესში;
2. საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა გულისხმობს, როგორც ამა თუ იმ ბანკის მესაკუთრეთა ინტერესების დაცვას, ასევე კლიენტებისა და მენაბრეების, მთლიანად საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, ქვეყნის საბანკო სისტემის საქმიანობის სტაბილიზაციას და განმტკიცებას.

კლიენტების ინტერესები დაცული თუ არ იქნება, შესაბამისად შემცირდება მათი რაოდენობა, მაშინ როცა პირმა იცის და გაცნობიერებული აქვს, რომ მისი საბანკო ანგარიში შეიძლება ნებისმიერ დროს აღმოჩნდეს სამართალდამცავი ორგანოს

მეთვალყურეობის ქვეშ, მას ნდობა დაეკარგება, რაც გამოიწვევს მისთვის უფრო სანდო, ისეთი საბანკო დაწესებულების მოძებნის აუცილებლობას, რომელთანაც საქართველოს პროკურატურას ხელი არ მიუწვდება. შესაძლოა მოხდეს ფულადი კაპიტალის უცხოურ ბანკებში განთავსება, რაც უარყოფითად აისახება ბანკების ფულად საკრედიტო სისტემაზე, შესაბამისად საქართველოს ეკონომიკაზე, ან მიმართონ ფულის შენახვის ადრეულ მეთოდებს და საერთოდ აღარ ჰქონდეთ ამ კუთხით ბანკთან ურთიერთობა.

თემის შემაჯამებელ ნაწილში შეგვიძლია რეკომენდაციის სახით გამოვთქვათ მოსაზრება, რომ სსსკ-ის 124 პრიმა მუხლი საერთოდ ამოღებული იქნას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან, ან მინიმუმ განხორციელდეს მისი რედაქტირება და მიეთითოს მონიტორინგისთვის განსახორციელებელი უფრო მაღალი სტანდარტი ვიდრე დასაბუთებული ვარაუდია, რათა დასაცავ და შეზღუდულ სამართლებრივ სიკეთეთა შორის პროპორციულობის პრინციპი არ დაირღვეს, და ამავდროულად განისაზღვროს მონიტორინგისათვის ვადა, რათა ბუნდოვანი არ იყოს რამდენი ხანი შეიძლება აღმოჩნდეს პირის საბანკო ანგარიში სახელმწიფოს კონტროლ ქვეშ და არ გაჩნდეს დაუცველობის განცდა.

თუ აღნიშნული მუხლი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საგამოძიებო მოქმედებათა თავში დარჩება, საკანონმდებლო ხარვეზი არ აღმოიფხვრება, საკანონმდებლო ხარვეზი კი აშკარად სახეზეა, თუ არ ჩავთლით იმას, რომ სსსკ-ის 124 პრიმა მუხლი წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის მე-20 და 41-ე მუხლთან, არღვევს საბაკო საიდუმლოებას, რომელიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემადგენელი ელემენტია, მისი როგორც ვიწრო ასევე ფართო განმარტებით და ამ უფლების დარღვევის საპირწონედ მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის ბუნდოვანი განსაზღვრება გვაქვს, საგამოძიებო მოქმედების მთავარ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს, საგამოძიებო მოქმედებები ტარდება ღიად და მონაწილებს როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარე, დაცვის მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება, ამ შემთხვევაში კი დაცვის მხარემ საერთოდ არ იცის ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ, მეტიც, მას საშუალება არ აქვს თავი დაიცვას, იგი მოიაზრება როგორც პოტენციური დამნაშავე და სახელმწიფო ელოდება მისგან უკანონო ქმედებას, ეს არასწორი მიდგომაა, არ შეიძლება წინასწარ დამნაშავედ აღიქვას მოქალაქე სახელმწიფომ და იგი აქციოს დაკვირვების ობიექტად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ირღვევა სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპი-მხარეთა და თანასწორობა და შეჯიბრებითობა. მიზეზი, რომელიც დასახელდა ამ საკანონმდებლო ნოვაციის განსახორციელებლად იყო ტრანსნაციონალური დანაშაულების გამოვლენა და აღკვეთა, ეს მაშინ როცა რეალურად ქართული კანონმდებლობა უკვე ფლობდა საჭირო ბერკეტებს შესაბამის ორგანულ კანონებში ამგვარი დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად. შესაბამისად ჩნდება უამრავი კითხვა რისთვის გახდა საჭირო დამატებითი კონტროლის დაწესება, მითუმეტეს ბუნდოვანი და ხარვეზებით მოცული ნორმით. როგორც ბოლო ნაწილში არის განხილული, შესაძლოა ეს საკანონმდებლო ცვლილება ქვეყნის ეკომონიკურ სისტემაზეც ნეგატიურად აისახოს, ამიტომ აუცილებელია ყურადღება მიექცეს ამ საკითხს, საჭიროებს რეაგირებას, საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950წ

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948წ

საქართველოს კანონი “ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების-საკრედიტო კავშირების შესახებ”, 2002წ

საქართველოს კანონი “ეროვნული ბანკის შესახებ”, 2009წ

საქართველოს კანონი “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” ,1996წ

საქართველოს კონსტიტუცია, 1995წ

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2015 წლის რედაქციით

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2015 წლის რედაქციით

საქართველოს კანონი “უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ”, 2003წ

სახელმძღვანელოები:

კვამბურიძე, თ. (2008) *საბანკო სისტემის სამართლებრივი უზრუნველყოფა და მისი გავლენა საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე; [მონოგრაფია]* თბილისი მეფარიშვილი, გ. *საბანკო ანგარიშების მონიტორინგი როგორც საგამოძიებო მოქმედება წიგნში-სამართლებრივი პრობლემები (2012)* პროფ.რ. შენგელიას 70 წლის იუბილეს მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული.

პეტრუხინი, ი.ლ (1997) *პირადი ცხოვრება.*

შენგელია, რ. (2001). *საფინანსო სამართალი.*

საბანკო ანგარიშების მონიტორინგი როგორც საგამოძიებო მოქმედება

ქეთევან ავალიშვილი
მაგისტრანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მიზანი - ნაშრომის მიზანია განხორციელებული საკანონმდებლო ნოვაციის განხილვა სხვადასხვა ასპექტში. სპეციალისტები გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ აღნიშნული ნორმის შემოღებას აშკარად მოყვებოდა ძალზე ბევრი გართულებები, რადგან იგი გამოყენებული იქნებოდა არამართო სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების მიზნით, არამედ იგი შეიძენდა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებზე ზემოქმედების ძალზე უხეშ, მძიმე და ძლიერი ბერკეტის ფუნქციას.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია საბანკო ანგარიშების მონიტორინგის განხილვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების დარღვევასთან მიმართებით, საგამოძიებო-ოპერატიულ ჭრილში, აგრეთვე თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ქვეყნის ეკონომიკურ-საფინანსო სისტემაზე.

დასკვნები - დასკვნის სახით რეკომენდირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საგამოძიებო მოქმედებათა კარიდან ამოღებული იქნას 124 პრიმა მუხლი.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/ გავლენა - კვლევის ძირითად შემაფერხებელ მხარეს წარმოადგენს პრაქტიკული მაგალითების არქონა, ლიტერატურის სიმწირე ამ საკითხთან დაკავშირებით, ეს განპირობებულია ნორმის სიახლით, ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა 2011 წელს.

სიახლე/ღირებულება - ეს არის პირველი ვრცელი ნაშრომი რომელიც განიხილავს საბანკო ანგარიშების მონიტორინგის როგორც საგამოძიებო მოქმედების პრობლემურობას კომპლექსურად, ყველა ასპექტის გათვალისწინებით და დასკვნის სახით გვთავაზობს რეკომენდაციას.

Bank Account Monitoring as an Investigative Action

Ketevan Avalishvili
MA Student
Caucasus University

Abstract

Purpose – paper aims to discuss various aspects of the novelty. Experts expressed the opinion that the introduction of the norm will be followed by a significant number of complications, because it would be used not only for the purpose of criminal investigations, also it would affect negatively and roughly political parties.

Design/methodology/approach – the work deals with the monitoring of bank accounts to discuss the constitutional privacy rights of the convention, the investigative-operative setting, as well as what impact this may have on the country's economic and financial system.

Findings – In conclusion it is recommended to withdraw the article 124¹ from the Criminal procedure code.

Research limitations/implications – the main obstacle is the lack of practical examples, the lack of literature on this issue, the 124¹ article is relatively new, the change in criminal procedure code was implemented in 2011.

Originality/value – this is the first extensive study about the problems which can occur during the bank account monitoring, considering whole aspects of this issue, as a result thesis offers the recommendation to maintain issues mentioned above.

ხარისხიანი პროფესიული განათლება - გზა ევროინტეგრაციისკენ



სოფიკო კოდუა

კავკასიის უნივერსიტეტი

რა არის საჭირო რომ საქართველო, ევროგაერთიანების სრულყოფილი წევრი გახდეს? ეს კითხვა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია დღეს და გარკვეული თვალსაზრისით სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია ჩვენი ქვეყნისთვის, იმისთვის რომ საქართველო ევროგაერთიანების სრულყოფილი წევრი გახდეს, პირველ რიგში საჭიროა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. 2014 წლის 1 სექტემბრიდან ხელშეკრულების ამოქმედებით ევროინტეგრაცია გახდა ჩვენი ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ნაწილი. ასოცირების შეთანხმება საქართველოს ევროპული ტრანსფორმაციისათვის ქმნის რეალურ სამართლებრივ საფუძველს და საქართველოს კეთილდღეობისათვის განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციაა. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება საქართველოს მთავრობის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. განათლებისა და მეცნიერების სფეროში ხარისხის ამაღლება ეს ის ვალდებულებაა, რომელიც ძირითად ხაზს წარმოადგენს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების განათლების სეგმენტში. ამ შემთხვევაში ჩვენ აქცენტს იმ ვალდებულებებზე გავაკეთებთ რომელიც შეეხება განათლების რეფორმას, კერძოდ პროფესიულ განათლებას და მის მორგებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან.

პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე დღეს მთელი მსოფლიო საუბრობს. გლობალური კრიზისის პირობებში ამ კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი მექანიზმი შრომის ბაზრის კვალიფიციური სამუშაო ძალით უზრუნველყოფაა. აკადემიურისაგან განსხვავებით, პროფესიული განათლება პრაქტიკული უნარების გამომუშავების და ამ უნარის გამოსამუშავებლად საჭირო ცოდნის გადაცემაზეა ორიენტირებული, ანუ სწორედ პროფესიული განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესისათვის საჭირო სამუშაო ძალის ძირითადი ბირთვის მომზადება, რომელიც ფაქტობრივად ჩართული ტექნოლოგიურ პროცესში. იმავდროულად, იცვლება რა საქონლისა და მომსახურების

ბაზრის მოთხოვნები და ვითარდება ტექნოლოგიები, ბევრი ადამიანი სამუშაოს გარეშე რჩება. მათი გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ფუნქციაც პროფესიულმა განათლების სისტემამ უნდა შეასრულოს. პროფესიული განათლების გამართული სისტემა ნორმალურად ფუნქციონირებადი ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებულ ასოცირების ხელშეკრულებაში (2014) აღწერილია სხვადასხვა აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციას, მაგალითად:

(1) საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება აკადემიური კუთხით, მონაწილეობა ევროკავშირის თანამშრომლობის პროგრამებში, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მობილობის ზრდა;

(2) უცხო ენების შესწავლის ხელშეწყობა;

(3) კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აღიარების სფეროში პროგრესის ხელშეწყობა და ამ სფეროში გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

(4) პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა, ევროკავშირში არსებული კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით.

მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც თან სდევდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს ჩვენს ქვეყანაში, ფეთქებადმა შიდა კონფლიქტებმა, გამოიწვია მრავალი მწვავე სოციალური პრობლემა. იმ გარემოებამ, რომ დიდი რაოდენობით დაიხურა სამრეწველო საწარმოები და ამასთანავე, შემცირდა ინვესტიციები განათლებაში, განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა პროფესიული განათლების სისტემაზე. პარალელურად, სულ უფრო იზრდება ბაზრის მოთხოვნა ცალკეული სფეროს კვალიფიციურ სპეციალისტებზე. ეს თვალსაჩინოა განსაკუთრებით ისეთ კვალიფიკაციებზე, როგორცაა, მაგ. მშენებელი, სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი, და სხვა. მათი ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და კონკურენტუნარიანობას. სწორედ ამიტომ, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში დაწყებული რეფორმები მნიშვნელოვანია არა საკუთრივ განათლებისა და მომზადების, არამედ ადამიანური რესურსების, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ძირითადი კაპიტალის განვითარების თვალსაზრისით. ნებისმიერი ეკონომიკის შემდგომი განვითარება ხომ ძირითადად დამოკიდებულია შრომითი რესურსების ხარისხზე.

განათლების სფეროში ევროპული თანამშრომლობის ახალ საფეხურს საფუძველი ჩაუყარა ე. წ. ბოლონის დეკლარაციამ, რომელიც მიიღო 1999 წელს ევროპულმა კომისიამ. შემდეგ, 2000 წლის მარტში ლისაბონში, ევროპული საბჭოს სხდომაზე განათლება ოფიციალურად აღიარეს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად.

ლისაბონში მიღებულ დეკლარაციაში განათლება განხილულია, როგორც მსოფლიო მასშტაბით ევროპის კონკურენტუნარიანობის ამღლების, ევროკავშირის ქვეყნების გაერთიანებისა და მათი მოქალაქეების სრულფასოვანი განვითარების საშუალება.

ევროპის საბჭომ თავის სტრატეგიულ მიზნად დაისახა ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკის გადაქცევა ცოდნაზე დაფუძნებულ, დინამიურად განვითარებად ეკონომიკად. ამ სტრატეგიის განუყოფელ და უმნიშვნელოვანეს ნაწილად მიიჩნიეს მაღალხარისხიანი პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის ჩამოყალიბება. პროფესიული განათლების სფეროში ევროკავშირის დამფუძნებელ დოკუმენტად იქცა ევროკომისიისა და ევროპული ქვეყნების განათლების მინისტრების დეკლარაცია თანამშრომლობის თაობაზე, რომელიც მიიღეს კოპენჰაგენში, 2002 წლის ნოემბერში.

საქართველოს პროფესიულ განათლებაში დაწყებული რეფორმები მიმართულია ამ სფეროში ევროკავშირის მოთხოვნებთან მაქსიმალურად მიახლოებისკენ, ქვეყნის საყოველთაო და ეკონომიკური განვითარების მიზნით ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობის გაძლიერებისკენ. საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმის უმთავრესი ამოცანაა პროფესიული განათლების ადაპტაცია ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სოციალურ პარტნიორთა აქტიური მონაწილეობით, რომლებსაც სახელმწიფო უწყებებთან ერთად წარმოადგენენ, უპირველესად, კერძო კომპანიები შრომითი რესურსების დამკვეთის როლში, შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამდენად, სოციალური პარტნიორობის როლი პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში მუდმივად მაღალდება.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის მონახაზი (2013-2020) მომზადდა ევრო კავშირის დახმარებით და მას თან დართული აქვს დეტალური

სამოქმედო გეგმა (2013-2017). დოკუმენტის ოფიციალური დამტკიცება მოხდა 2013 წლის დეკემბერში. პროფესიული განათლების 2018-2020 წწ. სამოქმედო გეგმის დეტალური დაგეგმვა მოხდება შუალედური შეფასების საფუძველზე, რომელიც ჩატარდება 2017 წ. სტრატეგიის საერთო ამოცანებია ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის საჭიროებების შერწყმას, უზრუნველყოს პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა სათანადო, კარგად ანაზღაურებად და პიროვნულად დამაკმაყოფილებელ პოზიციებზე.

კოპენჰაგენის პროცესში მიღებული რიგის დასკვნები (2015) პროფესიული განათლების სფეროში ინტერნაციონალიზაციას უჭერს მხარს, პროფესიული განათლების სექტორის ინტერნაციონალიზაცია საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან იგი ხელსუწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას, საქართველოში გაცემული კვალიფიკაციის ხარისხისა და მის მიმართ ნდობის ამაღლებას, რაც გადამწყვეტი ფაქტორია ადგილობრივი პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებისა თუ კონკურენტუნარიანობისათვის.

ევროპაში პროფესიული განათლება ხორციელდება საწარმოო და სახელოსნო საწარმოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, უმეტესად კი, სწავლება მიმდინარეობს პირდაპირ მომავალ სამუშაო ადგილზე. პროფესიულ სკოლაში მოსწავლეები ატარებენ კვირაში მხოლოდ ერთ ან ორ დღეს, სადაც იღებენ თეორიულ ცოდნას სპეციალობაში. ამ ქვეყნებში, ტრადიციულად, ძალზე მაღალია პროფესიული განათლების პრესტიჟი. კვალიფიკაციურ სპეციალისტთა შემოსავლისა და ხელფასების დონე კი - არაფრით ჩამორჩება უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა შემოსავალს.

დაახლოებით ანალოგიური მოდელი მკვიდრდება ამჟამად საქართველოშიც. რომელიც სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის სახელით ხორციელდება.

ევროპის განათლების ფონდის განმარტების თანახმად, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება ასახავს „სწავლის პროცესს, რომელიც ხორციელდება რეალური სამუშაოს შესრულების დროს. სამუშაო შესაძლებელია იყოს, ან არ იყოს ანაზღაურებადი, თუმცა ეს უნდა იყოს რეალური სამუშაო, რომლის ფარგლებში ხდება რეალური პროდუქციის წარმოება ან სერვისის მიწოდება. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეფექტური და ეფექტიანი მოდელები პროფესიული განათლების სისტემების ხარისხსა და რელევანტურობას ხელს უწყობენ სხვადასხვა ფაქტორის გამო, შესაბამისად, ამგვარი

სისტემების ფუნქციონირება მომგებიანია, როგორც დამსაქმებლების, ასევე დასაქმებულების, პროფესიული განათლების მიმწოდებლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფციის შემუშავების მეთოდოლოგია მოიცავდა არსებული პოლიტიკისა და საკანონმდებლო ლიტერატურის, ასევე ძირითადი ჩართული მხარეების, მათ შორის მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და სტუდენტთა, გამოკითხვის მეორადი მონაცემების ანალიზს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ ინტერვიუებს ყველა დაინტერესებულ მხარესთან. კვლევა, მონაცემების შეგროვება და ინფორმაციის ანალიზი განხორციელდა საერთაშორისო და ეროვნულ ექსპერტთა ჯგუფის მიერ. რაც მთავარია, კონცეფციის ავტორების მიერ უზრუნველყოფილი იყო დოკუმენტის ინტენსიური განხილვები ყველა ძირითად სტეიპოლდერთან. კონცეფციის პროექტის აქტიური განხილვები რეგულარულად ხდებოდა 2015 წლის 29 დეკემბრამდე, როცა დოკუმენტი წარდგენილ და მოწონებულ იქნა ეროვნული პროფესიული საბჭოს მიერ. დოკუმენტი განხილული იყო ეროვნული პროფესიული საბჭოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სამუშაო ჯგუფის, დონორი ორგანიზაციების, სამინისტროების და მათი პროფესიული განათლების განხორციელებაში ჩართული უწყებების წარმომადგენლების მიერ, სოციალურ პარტნიორებსა და დამსაქმებელთა ჯგუფებთან ერთად.

პროფესიული განათლების შესახებ საერთაშორისო კვლევები ადასტურებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პოზიტიურ გავლენას დასაქმებაზე. ერთ-ერთი ევროპული კვლევის შესაბამისად, განათლების ფარგლებში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება კურსდამთავრებულთა დასაქმების შანსებს 44% ზრდის, და კვალიფიკაციების მიწოდებისა და მოთხოვნის დისბალანსს 26% ამცირებს. ევროპის ქვეყნების გამოცდილება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობებზე სახელმწიფოს, მასწავლებლების, დამსაქმებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში

ცხრილი #1. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის

დაინტერესებული მხარე	სარგებელი
სახელმწიფო	<ul style="list-style-type: none"> პროფესიული განათლების რელევანტურობისა და ეფექტურობის გაუმჯობესება სამუშაო ძალის პროდუქტიულობის გაზრდა დასაქმების ხელშეწყობა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა პროფესიული განათლებაზე ხარჯების ეფექტიანობის გაუმჯობესება
სტუდენტი	<ul style="list-style-type: none"> სამუშაოსთან დაკავშირებული პროფესიული ცოდნისა და უნარების შეძენა მიღებული თეორიული ცოდნის რეალურ სამუშაო სიტუაციაში გამოყენების შესაძლებლობა სპეციალიზებული, ტრანსფერული და სოციალური უნარების გაუმჯობესება სამუშაოს მოთხოვნების კარგად გააზრება დამსაქმებელთან კავშირები, მათი დასაქმების უნარებისა და შანსების გაუმჯობესება
დამსაქმებელი	<ul style="list-style-type: none"> კვალიფიციური მუშახელი დასაქმების შემდგომი ტრენინგების საჭიროებებისა და ხარჯების შემცირება სამუშაო ძალის ხარისხისა და რაოდენობაზე მეტი კონტროლი პროფესიული კოლეგებისგან მათზე მორგებული ტრენინგ სერვისების მიღება სამუშაო ძალის მოძიების პროცესების გაადვილება და შესაბამისი ხარჯების შემცირება სტუდენტების წარმოების პროცესში ჩართვისგან მიღებული შემოსავალი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება	<ul style="list-style-type: none"> ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური სიახლეების შესახებ ცოდნის რეგულარული მიღება და განახლება თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე წვდომა მიწოდებული პროფესიული განათლების ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესება სტუდენტების დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის ხელშეწყობა მათი პერსონალის შემდგომი კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობები პროფესიული განათლების გაუმჯობესებული იმიჯი და მიმზიდველობა

სწორედ პროფესიული განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის მისი მნიშვნელოვნებისა და აუცილებლობის გათვალისწინებით, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება წარმოადგენს ბრიუგეს კომუნიკესა და რიგის გადაწყვეტილებების ქვაკუთხედს და შესაბამისად, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის 2013-2020 სტრატეგიაში.

ბრიუგეს კომუნიკე სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, განსაკუთრებით შეგირდობას, განიხილავს როგორც ხარისხისა და რელევანტურობის, ასევე თანასწორი უფლებებისა და სოციალური ინკლუზიის მექანიზმს და, შესაბამისად, ევროპის წევრ ქვეყნებსა და მათ მთავრობებს, სოციალურ პარტნიორებს, პროფესიული განათლების პროვაიდერებს მოუწოდებს, მიიღონ ზომები, რათა ა) 2012 წლისთვის ევროპაში შეგირდების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით მაქსიმალურად გაზარდონ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, მათ შორის შეგირდობები, ბ) შექმნან (მომგებიან და არამომგებიან) საწარმოებსა და პროფესიული განათლების პროვაიდერებს შორის პარტნიორობის შესაძლებლობები, მაგალითად, მასწავლებლების საწარმოებში სტაჟირების საშუალებით, გ) საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიაწოდონ

ინფორმაცია/უკუკავშირი მათი კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ,” როგორც 2012-2014 წლების მოკლევადიანი მისაღწევი შედეგები.

შესაბამისად, რიგის გადაწყვეტილებების ფარგლებშიც „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ყველა ფორმის, განსაკუთრებით კი შეგირდობის, ხელშეწყობა“ წარმოადგენს 2015-2020 წლისთვის მისაღწევ შედეგს.

ევროპის განათლების ფონდის კვლევის (2015) თანახმად, ახალგაზრდების წილი, რომლებიც „არც საგანათლებლო და არც შრომით საქმიანობაში არ არიან ჩართულები,“ წარმოადგენს 15-24 წლების ასაკობრივი ჯგუფის 30%-ს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ახალგაზრდობის დაახლოებით ერთი მესამედი არანაირ სასარგებლო საქმიანობას არ ეწევა. ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის მაღალი დონე (30.5% - 20-24 წწ. ასაკობრივი ჯგუფისთვის, 23.5% - 25-29 წწ. ასაკობ- რივი ჯგუფისთვის) საქართველოს მთავრობის მიერ ყურადღების მიქცევას საჭიროებს, რათა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური განათლების მსგავსი მოდელების საშუალებით მოხდეს ახალგაზრდების განათლების სფეროდან დასაქმების სფეროში გადასვლის ხელშეწყობა. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც საქართველოს ფართო სოციო-ეკონომიკურ სიტუაციას განეკუთვნება და მოითხოვს პროფესიული განათლების პოლიტიკის ფარგლებში დაუყოვნებელ რეაგირებას, არის ფაქტი, რომ მაღალი უმუშევრობის პირობებშიც კი დამსაქმებლებს უჭირთ მათთვის საჭირო კადრის მოძიება. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმატის გათვალისწინებით, სადაც კომბინირებულია სწავლება და მუშაობა, ხდება ახალგაზრდების მიერ პირველი სამუშაო გამოცდილების დაგროვება, მიწოდებისა და მოთხოვნის თანხვედრის უმარტივესი გზებით.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისადმი მიდგომები განსხვავდება ფართო სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებისა და დამკვიდრებული ტრადიციებისა და გამოცდილებების გათვალისწინებით, თუმცა „ბრიუგეს კომუნიკესა“ და „რიგის გადაწყვეტილებების“ შესაბამისად იზრდება სასკოლო პროფესიული განათლების ფარგლებში სიმულირებული გარემოს ნაცვლად შეგირდობის მსგავსი მოდელების წილი, რომელიც ეფუძნება რეალურ სამუშაო გამოცდილებასა და სოციალური პარტნიორების აქტიურ ჩართულობას.

ცალკეული ქვეყნების მაგალითები, რომლებიც კონცეფციის შემუშავების ფარგლებში იქნა მიმოხილული შეირჩა ორი ძირითადი ფაქტორის გათვალისწინებით: ა)

მათ აქვთ წარმატებული პროფესიული განათლების სისტემები პროფესიული განათლების ორგანიზებისა და შედეგების ხარისხის სხვადასხვა ინდიკატორის გათვალისწინებით და ბ) ისინი ქართული სისტემისთვის მეტ-ნაკლებად შესაბამისი და გამოსაყენებელია, ხასიათდება მეტ-ნაკლებად მსგავსი საწყისი სიტუაციით (მათ შორის, პროფესიული განათლების მსგავსი ტრადიციებითა და განვითარების ტრაექტორიით).

ევროპული ქვეყნების (მაგ.: შვეიცარიის, გერმანიის, უელსისა და ირლანდიის) მაგალითებს აქვს რამოდენიმე გამოკვეთილი ფაქტორი (2013), რომელიც წარმოადგენს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების საფუძველს. ეს ფაქტორები მოიცავს: გამჭვირვალე ინსტიტუციურ და საკანონმდებლო ჩარჩოებს, რომლებიც ადგენენ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ყველა მონაწილე მხარისთვის თამაშის პირობებს. აღნიშნული ჩარჩო, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს სპეციალურ სტატუსს შემსწავლელისთვის, ფორმალიზებულ ურთიერთობებს, ერთი მხრივ, დამსაქმებელსა და სტუდენტს, ხოლო მეორე მხრივ, კომპანიასა და კოლეჯს შორის; სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში დამსაქმებლების აქტიურ ჩართულობას; ორმხრივ ურთიერთობასა და ცოდნის გაცვლას კომპანიასა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, რომელიც ასახულია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დიზაინში, კურიკულუმის ფარგლებში სამუშაოსა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღწევ სწავლის შედეგებში; სამუშაოზე შექმნილი ცოდნისა და უნარების აღიარების შესაძლებლობას და ა.შ..

განვიხილოთ გერმანიის მაგალითი:

გერმანული პროფესიული განათლების დუალური სისტემა გვთავაზობს პროფესიული განათლების სრულიად განსხვავებულ გზას, ვიდრე ეს ჩვენთვის აქამდე იყო ცნობილი. ეს მოდელი იძლევა პროფესიული განათლებიდან შრომის ბაზარზე გადასვლის საკმაოდ წარმატებულ შესაძლებლობას, რაც რამდენიმე სტრუქტურულ საფეხურს მოიცავს.

გერმანიაში ახალგაზრდა ზრდასრულების ნახევარზე მეტი განათლების მიღების გზად პროფესიულ განათლებას ირჩევს. პროფესიული განათლება საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობს და მიმზიდველობით ის წინ უსწრებს საუნივერსიტეტო განათლებას. მიმზიდველობის მთავარი საიდუმლო კი ერთია - ახალგაზრდების სწრაფი დასაქმება. ფაქტობრივად პირველივე დღიდან, როდესაც პროფესიული განათლების მსურველი პირველ კონტრაქტს აფორმებს საწარმოსთან, ის უკვე დასაქმებულია ამ საწარმოში. მისი

ანაზღაურება, რომელსაც კანონი არეგულირებს, პირველ წელს მართალია, მცირეა, მაგრამ სტუდენტს საშუალებას აძლევს, რომ შრომით, ხელფასითა და შემოსავლით მიღებული პირველი სიამოვნება გამოსცადოს. პირველი დაინტერესების მარცვალი და შესაბამისად პროფესიული განათლებით დაინტერესების პირველი საიდუმლოც ესაა. პროფესიული განათლების სტუდენტი უკვე დასაქმებულია და შემოსავალი აქვს, უმაღლესი განათლების სტუდენტმა მინიმუმ სამი წელი უნდა ისწავლოს, რათა პირველი შემოსავალი ჰქონდეს. ამგვარი მყისიერი ეფექტი ახალგაზრდებისთვის მომხიბვლელი და საინტერესოა. სტატისტიკის მიხედვით დუალური პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 95 %-ხოლო პროფესიული სტუდენტის შემოსავალი პირველ წელს საწარმოში საშუალოდ 795 ევროა.

პროფესიულ დუალურ განათლებაში მთავარი აქტორები არიან: სახელმწიფო, პროფესიული საგანამათლებლო დაწესებულება, კომპანია/საწარმო და სტუდენტი. ოთხივე მოქმედ მხარეს საკუთარი მოტივაცია აქვს იმისათვის, რომ ამ პროცესში იყოს ჩართული და მიიღოს საკუთარი სარგებელი. განვიხილოთ თოთეული მათგანის მოტივაციის მიზეზები:

პროფესიული განათლების სტუდენტთა მოტივაციის მთავარი მესიჯები სხვადასხვაგვარია: მე მინდა, მქონდეს შემოსავალი; მე მინდა მქონდეს პრაქტიკული კვალიფიკაცია, რომელიც საჭიროა შრომის ბაზარზე; მე მინდა ვიმუშაო ისეთ სფეროში, რომელიც კეთებაზეა ორიენტირებული; მე მინდა გარანტირებული სამუშაო ადგილი შრომის ბაზარზე.

იმისათვის, რომ პროფესიული განათლება მიიღოს, სტუდენტობის მსურველს თავად უწევს ამ მიზნის მისაღწევად გარჯა და ადგილის ძებნა. კერძოდ, პირველ რიგში დუალური პროფესიული განათლების მიღების მსურველი ეძებს კომპანიას, რომელიც სთავაზობს პრაქტიკულ ტრენინგს კონკრეტულ პროფესიაში. ამის შემდეგ, სტუდენტობის მსურველი ეძებს და ირჩევს სკოლას, რომელიც შესაბამის თეორიულ განათლებას აძლევს სტუდენტებს. სტუდენტობის მსურველი პირველ რიგში მიმართავს კომპანიას, რათა კონკურსის საფუძველზე მიიღოს ადგილი ტრენინგისათვის და შემდეგ მიმართავს სკოლას, რომ მიიღოს ადგილი სკოლაში თეორიული ნაწილის გასავლელად. ნათლად ჩანს, რომ განათლების მიღების მსურველ ახალგაზრდას თავად უწევს არაერთი წინააღდეგობის გადალახვა, რათა სასურველ პროფესიას დაეუფლოს. ამ ძნელ გზაზე სტუდენტის მთავარი მოტივაცია პერსპექტიული დასაქმებაა.

კომპანიის/საწარმოს მთავარი მოტივაცია არის ის, რომ თავად ზრდის პერსონალს, რომელიც გამოიმუშავებს კომპანიის წარმატებისათვის საჭირო პროდუქტს. ამგვარი მიდგომით კომპანიას აქვს გარანტია, რომ პერსონალი ზუსტად არის მორგებული კომპანიის საჭიროებებს, პროდუქტიულია და წვლილი შეაქვს კომპანიის წარმატებაში. დანახარჯი თითოეულ სტუდენტზე სწავლების პირველ წელს უფრო მაღალია, ვიდრე სტუდენტის მიერ გამოიმუშავებული პროდუქტი, მაგრამ მეორე და მესამე წელს, როდესაც სტუდენტი დაუფლებულია პროფესიისათვის საჭირო უნარებსა და აქვს შესაბამისი ცოდნა, მის მიერ გამოიმუშავებული პროდუქტის ღირებულება იზრდება და საბოლოო ჯამში მოგება მოაქვს საწარმოსათვის. სახელმწიფო არ აფინანსებს სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებას კომპანიაში. ამ ხარჯებს მთლიანად საწარმო იღებს თავის თავზე.

საწარმოები ასევე ყურადღებით ისმენენ ახალგაზრდა კადრების ინოვაციურ შეთავაზებებს და საჭიროებისამებრ ითვალისწინებენ პრაქტიკაში. ინოვაციური და ახალი იდეები არა მარტო მისაღები, სასურველიცაა, რათა კომპანია უფრო წარმატებული გახდეს, ვიდრე იყო უწინ. ახალგაზრდა კადრები ერთგვარი სიახლეების შემოტანის შანსია კომპანიებისთვის. იმ საწარმოებს, რომლებიც ჩართული არიან დუალურ პროფესიულ განათლებაში, უფლება აქვთ, იყვნენ პროფესიული განათლების პოლიტიკის ნაწილი. მაგალითად მათთან თანამშრომლობით ხდება ახალი სტანდარტების შემუშავება, ისინი მონაწილეობას იღებენ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გამოცდებში და აფასებენ სტუდენტებს. მათთან თანამშრომლობს სახელმწიფო პროფესიული განათლების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში. ამის გარდა საწარმოებისა და კომპანიებისათვის საზოგადოებრივი პრესტიჟის მაჩვენებელია, რომ ისინი პროფესიული განათლების პრაქტიკულ ნაწილს უზრუნველყოფენ. პროფესიული განათლების უზრუნველყოფით იზრდება მათი ცნობადობა, პრესტიჟი, შემოსავალი.

მესამე მთავარ აქტორს, სახელმწიფოს აქვს მარეგულირებელის როლი დუალურ პროფესიულ განათლებაში და ასევე თავისი მოტივაცია, თუ რატომ უწყობს ხელს ამ პროცესს. ეკონომიკური განვითარებისთვის სახელმწიფოს ესაჭიროება მაღალკვალიფიციური კადრები, ახალგაზრდების დასაქმებით და შესაბამისი გადასახადების მიღებით სახელმწიფო ძლიერდება და იზრდება საზოგადოებრივი კეთილდღეობა. სახელმწიფო პასუხისმგებელია დაინტერესებულ მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევით. ის ასევე სრულიად აფინანსებს სტუდენტების თეორიული განათლების მიღებას პროფესიულ საგანმათებლო დაწესებულებებში. სახელმწიფო

პასუხისმგებელია განათლების გამტრობაზე, რათა არ არსებობდეს საგანმანათლებლო ჩიხები და პროფესიული განათლებიდან უმაღლეს განათლებაში გადასვლის შესაძლებლობა ღია იყოს მსურველებისათვის.

სიტუაციური ანალიზის მიერ გამოვლენილი ტენდენციებისა და სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მიერ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელების დანერგვისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი ახალი მოდელის შემოღებისას უდიდეს რისკს სწორედ რომელიმე ქვეყნის მოდელის ასლის პირდაპირ გადმოტანა წარმოადგენს. განსაკუთრებული საფრთხის შემცველია იმგვარი სრულყოფილი მოდელების გადატანა, როგორებიცაა მაგალითად, გერმანია-შვეიცარია-ავსტრიაში არსებული ე.წ. დუალური, ასევე დანიასა და დიდ ბრიტანეთში მოქმედი შეგირდობის ტიპის და სხვა ისეთი მოდელები, რომლებიც მყარ ეკონომიკურ ტრადიციას ეფუძნებიან და განხორციელებისთვის უმთავრეს წინაპირობად, ეკონომიკურ სტაბილურობას მოითხოვენ. ისეთი ეკონომიკური გარემოს პირობებში კი, როგორიც საქართველოშია, ამგვარი სტაბილურობის მიღწევა კომპანიებისთვის გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად, ამ ეტაპზე მათ დიდ ნაწილს უჭირს უახლოესი სამი ან თუნდაც ერთი წლის პერსპექტივით პერსონალის პოლიტიკის დაგეგმვა და სტუდენტთათვის სწავლის დასრულების შემდეგ გარანტირებული სამუშაო ადგილების შეთავაზება. ეს გარემოება შეუძლებელს ხდის დუალური სწავლების მიდგომის უმთავრესი პრინციპის დანერგვას, რომელიც კომპანიაში სწავლებისას სტუდენტისთვის სპეციალური, მოსწავლე-დასაქმებულის სტატუსის მინიჭებასა და მისთვის სწავლის დასრულების შემდეგ გარანტირებული სამუშაოს შეთავაზებას გულისხმობს. იმისათვის, რომ საქართველოში, გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელი გახდეს მსოფლიოში საუკეთესო პრაქტიკის მაგალითის მიხედვით, დუალური მოდელის ყველა პრინციპის სრულყოფილად ამოქმედება, მიზანშეწონილია ახლავე დაიწყოს საგანმანათლებლო სისტემისა და შრომით-სამართლებრივი სივრცის მომზადება, რაც გარკვეულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს გულისხმობს. თუმცა სრულყოფილი, დუალურის მსგავსი სწავლების მოდელი საქართველოში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განვითარების შემდგომ, მომავალ ეტაპს წარმოადგენს და ამჟამად მისი დანერგვა და განხორციელება იმ მოდელის საფუძველზე უნდა დაიწყოს, რომელსაც სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ახალ, დუალურის მსგავს მოდელი ეწოდება. ეს მიდგომა სრულად ემყარება განათლებისა და შრომის სამყაროებს/სივრცეებს შორის

პარტნიორობის პრინციპს, რაც მხოლოდ მხარეებს შორის როლებისა და პასუხისმგებლობების თანაბარი და სამართლიანი განაწილების გზით მიიღწევა.

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020) უპირველეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებასა და სიღარიბის დაძლევაში მხარდაჭერა. სტრატეგია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ და მოქნილ პროფესიული განათლების სისტემას, რომელიც ორიენტირებულია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების გაძლიერებაზე. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების ეკონომიკის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და კვალიფიკაციების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

პროფესიული განათლების ინტერნაციონალზაცია საქართველოში
ავტორი: ოლივერ დიზი 16.12.2015

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - შენი არჩევანი შენი წინსვლაა

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0--0direct-10---4-----0-11--10-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.25&d=HASH01c91774031dccff8d142338.2.fc>

პროფესიული განათლების სექტორის მდგომარეობის აღწერა

http://www.eu-ve.ge/VET_GEO.html

პროფესიული განათლების სტატისტიკური ბიულეტენი :

<http://mes.gov.ge/uploads/statistikuri%20biuleteni2013-2015.pdf>

„სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვის კონცეფცია“ NVETC. UNDP. 2016

შემოკლებანი

VET - Vocational Education and Training

VET - პროფესიული განათლება

WBL - Work-based learning

სდს - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

ხარისხიანი პროფესიული განათლება - გზა ევროინტეგრაციისკენ

სოფიკო კოდუა
მაგისტრანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია, მკითხველს გააცნოს და დაანახოს პროფესიული განათლების პროგრამების საჭიროება და მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისა და ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე. თუ რამდენად აქტუალურია პროფესიული განათლების პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრთან და რატომ უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის 2013-2020 სტრატეგიაში.

ნაშრომი ეყრდნობა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩატარებულ სიტუაციურ ანალიზს, რომელშიც საქართველოში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების არსებული სიტუაციის, ამ სფეროში ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკისა და შესაბამისი რეფორმების შესწავლა მოხდა. კონცეფციის შემუშავების მეთოდოლოგია მოიცავდა არსებული პოლიტიკისა და საკანონმდებლო ლიტერატურის, ასევე ძირითადი ჩართული მხარეების, მათ შორის მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და სტუდენტთა, გამოკითხვის მეორადი მონაცემების ანალიზს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ ინტერვიუებს ყველა დაინტერესებულ მხარესთან. კვლევა, მონაცემების შეგროვება და ინფორმაციის ანალიზი განხორციელდა საერთაშორისო და ეროვნულ ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეფექტური და ეფექტიანი მოდელები პროფესიული განათლების სისტემების ხარისხსა და რელევანტურობას ხელს უწყობენ სხვადასხვა ფაქტორის გამო, შესაბამისად, ამგვარი სისტემების ფუნქციონირება მომგებიანია, როგორც დამსაქმებლების, ასევე დასაქმებულების, პროფესიული განათლების მიმწოდებლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. მოდელის უმთავრეს უპირტესობას მისი ხარჯეფექტურობა წარმოადგენს. როგორც ირკვევა, კომპეტენციებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების მაღალი ხარისხით განხორციელება შედარებით ძვირადღირებული პროცესია, ვიდრე ძველი, საგნობრივი პროგრამების მიწოდება, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს სერიოზული გამოწვევის წინაშე

აყენებს. სდს განათლების ახალი მოდელი გზას უხსნის დამსაქმებლის ჩართულობას პროფესიული განათლების მიწოდების პროცესში და პასუხისმგებლობათა გადანაწილების გზით ცალსახად და არსებითად ამცირებს სახელმწიფოს ხარჯს ერთი სტუდენტის პროფესიული კვალიფიკაციის მიღებისთვის, ამავდროულად კი ზრდის სერვისის მიწოდების სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვის კონცეფცია ეფექტიანობის მაჩვენებელს, რაც გრძელ ვადაში უზრუნველყოფს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობას, შედეგად კი ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის შემცირებას და ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკის განვითარებას მოიტანს. გარდა ამისა, მოდელის ფარგლებში საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა იქონიებს სინერჯის ეფექტს, მასში ჩართულ ყველა მხარეს მისცემს სტიმულს, გახდეს სიახლესა და განვითარებაზე ორიენტირებული და ამით წვლილს შეიტანს ცოდნაზე დაფუძნებული, ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში.

Qualitative Vocational Education – The way to the European Integration

Sofiko Kodua

MA Student

Caucasus University

Abstract

The Goal, for this document is to demonstrate importance of work based learning program in Georgia's development and eurointegration. The document shows why WBL program is one of the most important aspect in an educational system reforms (2013-2020).

The paper is informed by the situation analysis of the state of art of Work-Based Learning in Georgia as well as best practices from European countries with effective WBL systems and policy reform experience of countries in their transition from school-based to more work-based VET. The methodology applied in the development of concept paper included desk research of current policy and legislative documents, individual and group interviews with key actors and players in WBL as well as secondary data from a survey of major stakeholders among them teachers, employers and students. The research, evidence gathering and analysis of information for the concept paper were carried out by a team of international and national experts.

There are a number of ways in which effective and efficient models of Work-Based Learning play a role in ensuring the quality and relevance of vocational education systems and that the functioning of such systems reward each – the employer, employee, VET providers, society and government generously. The biggest advantage of the model is both its quality in terms of relevancy of the study and cost effectiveness. As it turned out, high-quality implementation of competence-based modular programs is a relatively more expensive product than the supply of old, subject-based programmes, which presents a challenge for the state budget. The new WBL model promotes the involvement of an employer in the process of vocational education supply and by distributing responsibilities definitely and significantly decreases state expenses to obtain a vocational qualification for one student, at the same time increases the efficiency of service supply, which, in the long run, will ensure the skills matching and ultimately the reduction of the youth unemployment rate and the development of the country's sustainable economy. Moreover, the partnership between public and private sectors will have a synergistic effect; all the parties involved will have the incentives to focus on innovation and thus will contribute to the development of knowledge-based, innovative economy.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს სტანდარტები
სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებისას



თამარ გვასალია
მაგისტრანტი

ბოლო პერიოდში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით დამკვიდრდა ახალი საპროცესო სამართლებრივი მექანიზმი-ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახით. ფარული საგამოძიებო მოქმედებების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგლამტირება ეფუძვნება ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ამაღლებას. ნაშრომში განხილულია სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების რეგულირების ქართული ვერსია და მისი შესაბამისობის საკითხები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ევროსასამართლოს სტანდარტებთან. საკითხის აქტუალობას მის სიახლესთან, დოგმატური დამუშავების სიმწირესთან და მაღალ პოლიტიკურ ინტერესებთან ერთად განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით რამდენიმე პრეცედენტული გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლებიც იდეურად სახელმწიფო ორგანოებს ავალდებულებს კანონმდებლობის სრულყოფისას პირადი ცხოვრების დაცვის ხელშეუხებლობის გარანტიები უზრუნველყოფას.

დანაშაულთან ბრძოლა არის შემთხვევა, რომელიც ორი საზოგადოებრივი აუცილებლობის კოლიზიას ქმნის. ერთი მხრივ, უფლებათა დაცვის სავალდებულობა როგორც საზოგადოებრივი აუცილებლობის კომპონენტი ხოლო მეორე მხრივ, დანაშაულთან ეფექტური ბრძოლა, როგორც საზოგადოებრივი დაკვეთა და სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულება, უპირისპირდება ერთმანეთს. რასაკვირველია, იოლი არ არის შესაბამისი ორგანოებისთვის დაიცვან ოპტიმალური ბალანსი ამ ინტერესთა შორის და დანაშაულთან ბრძოლა მიმდინარეობდეს ადამიანის უფლებათა მაღალი სტანდარტების დაცვით. სისხლის საპროცესო სამართალი დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენის, აღკვეთისა და მართლსაჯულების განხორციელების მიზნით სხვადასხვა მექანიზმს იყენებს. მათ შორის ერთ-ერთი, საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში,

განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს ფარული ღონისძიებების განხორციელების ნებას რთავს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პირადი ცხოვრების კონსტიტუციურ უფლებას ადამიანის თავისუფლების კონცეფციის განუყოფელ ნაწილად განიხილავს და ინდივიდის დამოუკიდებელი განვითარების საფუძვლად მიიჩნევს⁵¹ საკონსტიტუციო სასამართლოს ხედვით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მიზანია დაიცვას პირებს შორის ნებისმიერი საშუალებით, საუბრისა და მიმოწერის შესაძლებლობა. სახელმწიფო თავის მხრივ ადგენს უფლების დაცვის ლეგიტიმური შეზღუდვის შესაძლებლობას. თუმცა, უფლების შემზღუდველი ნორმები უნდა აკმაყოფილებდეს ხელმისაწვდომობის, განჭვრეტადობისა და მისი გააზრებისათვის საჭირო სიცხადის პრინციპებს.⁵² როგორც კონსტიტუცია, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებს შეზღუდვის შესაძლებლობას, თუკი მას აქვს ამისთვის მყარი ლეგიტიმური საფუძვლები, კონკრეტულად დადგენილ უფლებაში ჩარევის დასაშვები ფარგლები. ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება.

ცვლილებამდე ქართული კანონმდებლობა საგამოძიებო და წინა საგამოძიებო ეტაპზე არ შეიცავდა საკმარის გარანტიებს პირადი ცხოვრების დაცვისა და ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. ამასთან, საკანონმდებლო რეჟიმი ვერ აკმაყოფილებდა კონსტიტუციური რანგის მოთხოვნას - წინაწარი განჭვრეტადობის აუცილებლობას. უფრო მეტიც, არ შეიცავდა რაიმე მექანიზმებს თვითნებური მოსმენისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. ფარული საგამოძიებო მოქმედებების სამართლებრივი ფილტრების გარეშე გამოყენება იწვევს ადამიანის უფლებათა კომპლექსურ ხელყოფას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს რომ სახელმწიფო რასაკვირველია ხშირად დგება დანაშაულის გამოძიების აუცილებლობისა და პირადი ცხოვრების დაცვის ხელშეუხებლობის დილემის წინაშე. ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოსთვის ფარული

⁵¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება N 1/ 2/ 458 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი“ საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ.

⁵² უსენაშვილი, ჯ. (2012). პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას. სამართლის ჟურნალი, 96

სახის საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უპირატესობის მინიჭება გამართლებულია საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, თუმცა არსებობს ფუძემდებლური პრინციპები რაც ფარული საგამოძიებო მოქმედების შემთხვევაში უნდა იქნეს დაცული, ესენია: დანაშაულის სამართლებრივი ბუნება, რომელთა წინააღმდეგადაც შესაძლებელი იქნება იყოს გამოყენებული სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება; პირთა კატეგორია რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას; დროის ფაქტორის-მიყურადების ხანგრძლივობა; უსაფრთხოების ფარგლები, ანუ ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის დაცულობა მესამე პირთა ჩარევისგან; მონაცემების განადგურების პირობები.⁵³

თავდაპირველად საკითხზე მსჯელობისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთგვარი შედარებითი ანალიზის გაკეთება დღეს მოქმედი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის „ფარული საგამოძიებო მოქმედებების“ მარეგულირებელი ნორმებისა. 1999 წლის კანონი ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ 2014 წლის 1 აგვისტოს საკანონმდებლო ცვლილებებამდე რაიმე კონკრეტულ დათქმას არ ითვალისწინებდა თუ რომელი დანაშაულებრივი ქმედების მიმართ რა სახის ოპერატიული ღონისძიებები უნდა გამოყენებულიყო. კანონი იძლეოდა ამომწურავ ჩამონათვალს ოპერატიული ღონისძიებების ამოცანების შესახებ და გათვალისწინებული იყო ღონისძიებების სახეები რომლებიც ამ ამოცანათა შესრულების მიზნით შეგვეძლო გამოგვეყენებინა. ამასთან, სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა გამოყენება შესაძლო იყო იმ შემთხვევაში თუ, არსებობდა მსხვერპლის წერილობითი განცხადება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებასთან დაკავშირებით რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით⁵⁴. 2014 წლის ცვლილებების შემდეგ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში პრინციპულად განისაზღვრა რომ ამ ქმედების განხორციელება შეიძლება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად,

⁵³ Huving V. France, Application N.11105/58,[1990] ECHR (Ser.A.),34; Amann V. Switzerland, application N 27798/95,[2000] ECHR (ser.A),76; Valenzuela Contreras V Spain, Application N27671/95 [1998] ECHR (Ser.A),46; Prado Bugallo VSpain, Application N 58496/00, [2003] ECHR (Ser.A.)30

⁵⁴ნორმაში ცვლილება განხორციელდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1 /3 /407 გადაწყვეტილებით საქმეზე „ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე ე.ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ამასთანავე იგი ეფუძვნება აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას და მკაცრად არის დამყარებული პროპორციულობის სტანდარტზე.⁵⁵ როგორც წესი, ამ ტიპის საგამომიებო მოქმედების გამოყენება გამართლებულია იმ შემთხვევაში როდესაც სხვა საშუალებებით კანონით დადგენილი მიზნების მიღწევის რეალური შესაძლებლობა არ არსებობს. შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ ultima ratio ზომებს დანაშაულის წინააღმდეგ. გარდა ამისა, მექანიზმის გამოყენება უკვე შესაძლებელია მხოლოდ ვიწროდ განზღვრული ქმედებების წინააღმდეგ და ამასთან არც ერთი მათგანის სასჯელის მინიმალური ზომა არ არის 3 წელზე დაბალი. მაშასადამე, ევროპული სასამართლოს ამ სტანდარტთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა მასთან ბევრად უფრო ახლოს დგას ვიდრე ცვლილებამდელი რედაქცია იყო. რაც შეეხება მეორე განსახილველ საკითხს - **პირთა კატეგორია რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას**, ცვლილებამდე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონით ჩამოყალიბებული იყო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანები თუმცა არ იყო დაზუსტებული ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ადრესატი რეალურად. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი ადგენდა ზოგად სტანდარტს ისეთი სახის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებაზე, რომლიც ზღუდავდა კანონით გარანტირებულ სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოებას. იმ საფუძვლებით რაც ზემოთ აღვნიშნეთ.⁵⁶ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი ითვალისწინებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, კოდექსის ზემოხსენებული მუხლების წაკითხვა საშუალებას გვაძლევდა ვარაუდისთვის რომ ის პირები რომლებიც აკმაყოფილებდნენ დასაბუთებული ვარაუდის შემოწმების მოთხოვნას, შეიძლება მოხვდრილიყვნენ იმ პირთა კატეგორიაში რომლებიც შეიძლება დაექვემდებარებოდნენ ფარულ მიყურადებას. თუმცა კანონი თავისუფლად ტოვებდა იმ პირთა საკითხს რომელთა მიმართაც არ არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი დანაშაულის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით თუმცა შესაძლო იყო რომ ფორმით დაკავშირებული ყოფილიყვნენ საქმესთან. შესაბამისად, კანონი ამ მხრივ საქმიანობაზე უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს მაღალ დისკრეციას ანიჭებდა და ერთგვარი თვითნებობის რისკს ზრდიდა. დღეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასთან ერთად დაკონკრეტებულია რომ ის შეიძლება

⁵⁵ იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

⁵⁶ იხ. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ 2014 წლის 1 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია.

განხორციელდეს იმ პირის მიმართ რომელზეც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი რომ მან ჩაიდინა რომელიმე დანაშაული რაზეც რეალურად შეიძლება განხორციელდეს ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარება.⁵⁷ თუმცა კონკრეტულად მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებთან ერთად, საპროცესო კოდექსი ასევე უშვებს მის განხორციელებას განზრახ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა რომ წინასწარი განჭვრეტადობის მოთხოვნა არ გულისხმობს რომ ქვეყნებს მოეთხოვებათ ამომწურვად დაასახელონ უშუალოდ ის დანაშაულები რომელთა გამოძიებმაც შესაძლოა ფარული მიყურადება მოითხოვოს, თუმცა აუცილებელია მითითება დანაშაულის ხასიათის შესახებ. ⁵⁸ ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საკითხია **მოქმედების განხორციელების ხანგრძლივობა**. როდესაც პრობლემა წარმოადგენდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის რეგულირების საგანს, დაისვა საკითხი ნორმის არაკონსტიტუციურობის შესახებ. ზოგადად აღსანიშნავია რომ, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა თავისი ბუნებით წარმოადგენს შემზღვევად აქტს. ამიტომაც ჩვენ აღვნიშნეთ რომ ის სახელმწიფო ორგანიზების მხრიდან უნდა განხილვებოდეს როგორც უკიდურესი მექანიზმი დაკისრებული ვალდებულებების მისაღწევად. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების სტანდარტების ამაღლების მიზნით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გასცა რეკომენდაცია, რომელიც სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად ეხებოდა ღონისძიების განხორციელების ვადის სტანდარტსაც, სადაც აღნიშნა რომ სასამართლომ კანონის მიზნების მისაღწევად, პირველ ეტაპზე უნდა დაადგინოს ერთ თვიანი ვადა. სასამართლო მიიჩნევდა რომ ეს ვადა აკამყიფილებდა გონივრულობის სტანდარტს მტკიცებულებათა მოპოვებისათვის, თუმცა აქვე ადგენდა საგამონაკლისო შემთხვევებში მოქმედების რეკომენდაციასაც თუ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდებოდა ვადის გაგრძელების აუცილებლობა. კანონმდებლობა ნებისმიერი სახის ოპერატიული ღონისძიების განხორციელებისთვის აწესებს მკაფიოდ დადგენილ, ზუსტ ვადებს. დღეს მოქმედი რედაქციით კანონისა გათვალისწინებულია ვადის გაგრძელების შესაძლებლობაც 7 დღიდან 12 თვემდე. თუმცა, ეს წესები მკაცრად რეგულირებულია. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ვადის გაგრძელება შესაძლებელი იქნება ორ შემთხვევაში კერძოდ კი, როდესაც სახეზე გვაქვს პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის დავალება ოპერატიულ-

⁵⁷ იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁵⁸ იხ. Kennedy V the United Kingdom; Application 26839/05; 18/08/2010.

სამძებრო ღონისძიების განხორციელების შესახებ იმ შემთხვევაში როდესაც მიღებულია განცხადება ან შეტყობინება რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება რომლის გამოც აუცილებელია გამოძიების ჩატარება მაგრამ არ არსებობს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნიშნები, რაც საკმარისი იქნებოდა გამოძიების დასაწყებად ან არსებობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თხოვნა-შეკითხვა.⁵⁹ აღნიშნული ვადა შესაძლებელია პირველ ეტაპზე გაგრძელდეს 3 თვემდე თუმცა საჭიროებს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს უფროსის მოტივირებულ დადგენილებასა და პროკურორის თანხმობას.⁶⁰ ვადის შემდგომი გაგრძელება დასაშვებია 6 თვემდე, თუმცა აქ კანონმდებელი უფრო ამაღლებს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა სტანდარტს და უფლებამოსილებას ანიჭებს შესაბამისი სახელმწიფო უწყების ხელმძღვანლის მოადგილის შუამდგომლობასა და საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის თანხმობას ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.⁶¹ რაც შეეხება მაქსიმალურ ვადას, კანონი ამბობს რომ 12 თვიანი ვადის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაბამისი სახელმწიფო უწყების ხელმძღვანლის მიმართვისა და საქართველოს მთავარი პროკურორის თანხმობის შემთხვევაში.⁶² მაშასადამე, თუ მიზანი 12 თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგაც არ იქნა მიღწეული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას განხორციელების სამართლებრივი საფუძველი გამოეცლება, ვინაიდან კანონი პირდაპირ მიუთითებს რომ ამ ვადის გაგრძელება არის დაუშვებელი. რაც შეეხება **ვადებს სატელეფონო საუბრების ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით**, იურიდიულ მეცნიერებაში ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავდნენ რომ განსაკუთრებით პრობლემატური იყო საკითხი წინასწარ დადგენილი ვადის გაგრძელების თაობაზე რისი საჭიროებაც როგორც წესი, თავს იჩენდა ხოლმე იმ შემთხვევაში როდესაც პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მოითხოვდა დამატებით მონაცემების შეგროვებას.⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის ნორმის ნაწილი კერძოდ, კი სასამართლო გადაწყვეტილებამდე კანონი ადგენდა რომ „თუ ოპერატიული ინფორმაცია პირის

⁵⁹ იხ. „საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶⁰ იქვე, მუხლი 8, პუნქტი 3

⁶¹ იქვე, მუხლი 8, პუნქტი 4

⁶² იქვე, მუხლი 8, პუნქტი 5

⁶³ უსენაშვილი, ვ. (2012). პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას. სამართლის ჟურნალი, 96

დანაშაულებრივი ქმედების შესახებ მოითხოვს დამატებითი მონაცემების შეგროვებას, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა შეიძლება გაგრძელდეს 6 თვემდე⁶⁴ გადაწყვეტილებაში სასამართლო მივიდა დასკვნამდე რომ კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში ნორმიდან იკითხებოდა რომ პროკურორს ჰქონდა უფლებამოსილება გაეგრძელებინა იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ვადა, რომლის ჩატარებაზეც კანონი ითხოვდა მოსამართლის ბრძანებას. ვინაიდან კონსტიტუციის მე-20 მუხლი იმპერატიულად ადგენს რომ უფლებაში ჩარევა უნდა განხორციელდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონის ეს ჩანაწერი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. ამ გადაწყვეტილებით ვადებთან დაკავშირებული რეგულაციები შესაბამისობაში მოვიდა ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტებთან. დღეს არსებული ვითარებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის მე-12 ნაწილით დადგენილია განხორციელების ვადები. ამასთან ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ერთ-ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯზე რომელიც პირველადი ვადის განსაზღვრაში გამოიხატება. მართალია 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ ვადების პრობლემა ერთგვარად გადაჭრა თუმცა კანონი ღიად ტოვებდა ღონისძიების განხორციელების საწყისს ვადას, ამჟამად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აკეთებენ მითითებას პირველად ვადებთან დაკავშირებით. ფარული საგამოძიებო მოქმედების შემთხვევაში იგი შესაძლებელია განხორციელდეს არა უმეტეს ერთი თვისა, პროკურორის მოტივირებული შეამდგომლობით კი სასამართლოს განჩინების საფუძველზე შესაძლებელი ხდება 2 თვემდე მოქმედების გახანგრძლივება, ხოლო ვინაიდან მსგავსი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ვადების ზრდასთან ერთად იზრდება დაცულ უფლებაში ჩარევის ინტენსივობა მესამე ეტაპი უკვე ადგენს შედარებით მაღალ სტანდარტს და გულისხმობს მთვარი პროკურორის მოტივირებული შეამდგომლობის საფუძველზე მის გახანგრძლივებას 3 თვის ვადით.⁶⁵

ყურადღება უნდა გამახვილდეს მოპოვებული ინფორმაციის დაცულობასა და კანონმდებლობით მესამე პირების ჩარევის შეზღუდვის სტანდარტზე. გასაიდუმლოებამ როგორც წესი შეიძლება შეზღუდოს ისეთი ფუნდამენტური უფლება როგორცაა წვდომა ინფორმაციაზე, რასაც არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

⁶⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის 2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁶⁵ იხ. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 143³-ე მუხლი

კოდექსი. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია რომ ამავე კოდექსით პირდაპირაა დაწესებული შეზღუდვა ისეთი სახის ინფორმაციაზე რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ვინაიდან ჩვენ კვლევის ფარგლებში ვახდენთ დღეს და ცვლილებამდე მოქმედ კანონმდებლობასთან ერთგვარ შედარებას, უნდა აღვნიშნოთ რომ 2014 წლის 1 აგვისტოს ცვლილებამდეც და დღეის მდგომარეობითაც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა წარმოადგენს მკაცრად გასაიდუმლოებულ ცვლილებამდე კანონი ასევე ითვალისწინებდა პირდაპირ შეზღუდვას ინფორმაციის დაშვებაზე იმ შემთხვევაშიც კი თუ იგი სამეცნიერო-კვლევითი მიზნებით იქნებოდა დასაბუთებული.⁶⁶ სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის რეგულირებას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პარალელურად ვრცელდება ასევე ფარულ საგამომიებო მოქმედებებზე, აღნიშნული ნორმა პირდაპირ ადგენს ამ შეზღუდვას.⁶⁷ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებაზე, შეინახოს მსგავსი ტიპის ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელ დოსიეში, ასევე დადასტურებულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით⁶⁸.

რაც შეეხება **მონაცემთა განადგურების ეტაპს** საქართველოს სისხლის სამართლი საპროცესო კოდექსი მონაცემთა განადგურების რამდენიმე ეტაპს იცნობს. ზოგადად, უნდა აღინიშნოს რომ მონაცემთა განადგურების რეგლამენტირება თავის თავში მოიაზრებს პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მექანიზმს. იგი ერთ-ერთი ხერხია იმისთვის რომ მონაცემი არ იქნეს გამოყენებული არალეგიტიმური მიზნებისთვის და ამასთან არ მოხდეს მისი გასაჯაროვება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს ევროპული სასამართლო, მან რამდენიმე საქმეში აღნიშნა რომ ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან მონაცემთა შენახვა, როგორი ხერხითაც არ უნდა იყოს იგი მოპოვებული პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ინდივიდის პირადი ცხოვრების ინტერესებზე.⁶⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გამოყოფილია არალარებული მონაცემების განადგურება; გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში ჩატარებული და სასამართლოს მიერ კანონიერად ცნობილი

⁶⁶ ამ შემთხვევაში გამონაკლის წარმოადგენდა მონაცემი ან/და დოკუმენტი რომლის მოპოვებიდან გასული იყო 25 წელზე მეტი, ეს შეზღუდვა არ ვრცელდებოდა პირზე, რომლსაც ინფორმაციასთან წვდომა გააჩნდა სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და ამასთან მონაცემი ესაჭიროებოდა სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის.

⁶⁷ იხ. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.

⁶⁸ იხ. Leander v. Sweden, Application 9248/81. 26.03.[1987]ECHR.

⁶⁹ იხ. S. and Marper v. the U.K. Application: 30562/04, 04.12.[2008]ECHR.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგი, რომელიც მხარის მიერ მტკიცებულებად არ იქნება წარდგენილი; ასევე ცნობების განადგურება რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი ან სხვისი პირადი ცხოვრების შესახებ.⁷⁰ განადგურებას ექვემდებარება ასევე, სასამართლოს მიერ უკანონოდ ცნობილი ფარული საგამოძიებო მოქმედების მონაცემი საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი რომელსაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით შეიცავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, არის პირის შესაძლებლობა რომლისთვისაც მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.⁷¹ თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ის საპროცესო შედეგი რაც შესაძლებელია დადგეს ამ გასაჩივრების შედეგად. როგორც საპროცესო კოდექსი ადგენს, სამართალწარმოების მიმდინარეობისას მისი გასაჩივრების შემთხვევაში შესაძლებელია დადგინდეს პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ხოლო სამართალწარმოების დასრულების შემთხვევაში კი, შესაბამისი სასამართლოს მიერ, საჩივრის დაკმაყოფილება იმთავითვე ქმნის საქმის გადასინჯვის საფუძველს ახლად გამოვლენილ გარემოებათა საფუძველზე. უდავოა, რომ ეს რეგულირება მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტიაა, როგორც უფლების დაცვის ასევე ინტერესეთა დაბალანსების კუთხით.

საბოლოო ჯამში უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით დღეს მოქმედი რეგულაცია ბევრად ახლოს დგას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან. პრეცედენტული სამართლით დადგენილი ის ძირითადი ტესტი რომელიც მოიცავს ფარული მოქმედებების განსახორციელებლად ისეთი კრიტერიუმების გაწერას როგორცაა დანაშაულის სამართლებრივი ბუნება, კატეგორია, მოქმედების განხორციელების ხანგრძლივობა, ინფორმაციის დაცვის კრიტერიუმები და ა.შ.ამ საკანონმდებლო ცვლილებით შეიძლება ითქვას მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილდა. შეიქმნა ისეთი მექანიზმები, რომელიც ერთი მხრივ გამორიცხავს ფარულ, უკანონო მოსმენებს, მეორე მხრივ, ის ჩანაწერები, რომლებიც არ უკავშირდება გამოძიებას და, ამასთანავე, პირადი ხასიათისაა, ნადგურდება. რაც თავის მხრივ, გულისხმობს კონსტიტუციური გარანტიებს მეტ სიმყარეს სისხლის საპროცესო სამართლის

⁷⁰ იხ. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 143⁸-ე მუხლის პირველი ნაწილი

⁷¹ იხ. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 143³-ე მუხლის მე-14-მე-15 ნაწილები.

პრაქტიკული რეალიზებისას. თუმცა რამდენიმე საკითხი, რომელიც ევროსასამართლოს ხედვით უფლებათა დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არ არის დარეგულირებული მოცემული რეგლამენტაციით. უპირველესად მიგვაჩნია, რომ კოდექსით უნდა შეიქმნას სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისას მესამე პირთა უფლებების დაცვის გარანტიები, მიეცეს მესამე პირს უფლების შეზღუდვის შესახებ დავის უპირობო გარანტირებულობა. ამასთან ერთად, ღია საკითხია ასევე სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერისას გამოვლენილი სხვა დანაშაულებრივი ქმედებების საკითხი. კოდექსით, ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არის სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი, ხოლო ამ ინფორმაციის ახალ საქმეზე დასაშვებ მტკიცებულებად ცნობის საკითხი გადაწყდება ამ კოდექსით დადგენილი ზოგადი წესით, ფარული საგამოძიებო მოქმედებისათვის ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული გარემოებების გაუთვალისწინებლად. ამ შემთხვევაში კანონმდებელი ეყრდნობა გამოძიების დაწყების საფუძველების შესახებ კოდექსის მოთხოვნებს. კოდექსი შეიცავს ზოგად ჩანაწერს და ამბობს რომ გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, ის რომ არ აკონკრეტებს დანაშაულის მიღების წყაროს, მიმწოდებელ სუბიექტს. ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია იმ შემთხვევაში როდესაც სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება გადაუდებელი აუციელებლობის შემთხვევაში პროკურორის დადგენილების საფუძველზე ხორციელდება. თუ სასამართლომ განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედება უკანონოდ ცნო და განსაზღვრა მისით მოპოვებული შედეგების განადგურება არსებული ჩანაწერის მიხედვით დაწყებული საგამოძიებო მოქმედება თუნდა არალეგიტიმური საფუძველით უნდა გაგრძელდეს. ამ შემთხვევაში, მიგვაჩნია რომ საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის ერთადერთი მექანიზმი არის საკანონმდებლო ცვლილება, ვინაიდან ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მტკიცებულება რომელიც პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის შედეგად არის მიღებული და ამ მტკიცებულების, მეშვეობით გრძელდება საპროცესო მოქმედებების წარმოება, თავისთავად იწვევს არა მხოლოდ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფას, არამედე წამოსწევს საკითხს სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვასთან დაკავშირე

ბიბლიოგრაფია

საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995წ. 24 აგვისტო, (2015 წლის 30 იანვრის რედაქცია)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009.09 ოქტომბერი (2015 წლის 30 იანვრის რედაქცია)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ.1998.20 თებერვალი (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია)

საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, თბ.1993.30 აპრილი (2015 წლის 30 იანვრის რედაქცია)

საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, თბ.1996.29.ოქტომბერი (2015 წლის 30 იანვრის რედაქცია)

საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ. თბ,2005.2 ივნისი. (2014 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით)

Emmerson, B, Ashworth, A., & Macdonald, A. (2012). *Human Rights and Criminal Justice*. London: Sweet&Maxwell

უსენაშვილი ჯ. (2012). *პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას*. თბილისი, სამართლის ჟურნალი, 96

კორკელია, კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., (2005). *საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან*. თბილისი , ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

**ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს სტანდარტები
სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებისას**

თამარ გვასალია
მაგისტრანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მიზანი - ნაშრომის მიზანია, განიხილოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად დადგენილი ფარული საგამომიებო მოქმედების ერთ-ერთი სახის - სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესაბამისობა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთნ, გამოავლინოს ძირეული ცვლილებები, გამოკვეთოს არსებული პრობლემები ამ კუთხით და განსაზღვროს მათი გადაჭრის გზები.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებულია ისტორიული, შედარებით სამართლებრივი და კვლევითი დოგმატური მეთოდები.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები) / გავლენა - ნაშრომის უმთავრესი სისუსტე არის მისი შედარებით დოგმატური ხასიათი და ნაშრომის სუბიექტურობა. ამასთან, ნაშრომი არ სწავლობს საკითხს პრაქტიკულად

სიახლე/ღირებულება - ნაშრომის უპირატესობა მგოდომარეობს იმაში, რომ საკითხი თავისი სიახლიდან გამომდინარე ამ ეტაპზე არ არის საკმარისად დამუშავებული. მით უმეტეს არ არის დამუშავებული ფარული საგამომიებო მოქმედებები ვიწროდ, ცალკეული კომპონენტების გათვალისწინებით. ამასთან, ECHR - ის პრაქტიკის ანალიზი საკითხს მატებს ღირებულებას იმის გათვალისწინებით, რომ მისი შემუშავების ძირითადი მოტივი სწორედ ოპერატიულ - სამმეგრო საქმიანობის ევროსტანდარტებთან შესაბამისობის აუცილებლობა იყო. გასათვალისწინებელია ის მომენტი, რომ ნაშრომში გამოკვეთილია ღიად დატოვებული, პრობლემური საკითხები და შემოთავაზებულია მისი გადაჭრის გზები.

The Standards of European Human Rights Court Thought the Covert Investigation and

Telephone Surveillance

Tamar Gvasalia

MA Student

Caucasus University

Abstract

Purpose – this study aims to discuss about the results of newest changes in Criminal Procedural law of Georgia. According to the changes, Telephone surveillance became one of the sorts of covert investigation, which causes the problem of conformability within the case law of European court of human rights. The foremost challenges of the thesis is to focus on the basic problematic issues and to find the reasonable problem solving strategy.

Design/ methodology/ approach – through the processing of thesis we use historical, Comprehensive legal and dogmatic methods of survey.

Findings – it was found that the new regulations about the covert investigation is basically in accordance with the standards considered by the case law of European court of human rights, but there is some fundamentally important problems which should solve by the changes in the procedural criminal code of Georgia.

Research Limitations/ implications - it was found that the survey is totally dogmatic and does not focus on the practical problems of covert investigation and main problems of investigation bodies. Another disadvantage is the subjective character of the survey, because it basically established on the authors position about the topic.

Originality/value –According to the fact that, covert investigation is an innovation for Georgian legal system, we face the lack of dogmatic and comprehensive survey of these issues. Thus this survey is the important one for the further development of theory of covert investigation. Moreover, further analysis of the ECHR practice creates this thesis more valuable, because the main idea of legal changes in the criminal procedural law of Georgia was the improvement of the protection of rights of privacy through the establishment of ECHR standards.

ing program in Georgia's development and eurointegration. The document shows why WBL program is one of the most important aspect in an educational system reforms (2013-2020)

The paper is informed by the situation analysis of the state of art of Work-Based Learning in Georgia as well as best practices from European countries with effective WBL systems and policy reform experience of countries in their transition from school-based to more work-based VET. The methodology applied in the development of concept paper included desk research of current policy and legislative documents, individual and group interviews with key actors and players in WBL as well as secondary data from a survey of major stakeholders among them teachers, employers and students. The research, evidence gathering and analysis of information for the concept paper were carried out by a team of international and national experts.

There are a number of ways in which effective and efficient models of Work-Based Learning play a role in ensuring the quality and relevance of vocational education systems and that the functioning of such systems reward each – the employer, employee, VET providers, society and government generously. The biggest advantage of the model is both its quality in terms of relevancy of the study and cost effectiveness. As it turned out, high-quality implementation of competence-based modular programs is a relatively more expensive product than the supply of old, subject-based programmes, which presents a challenge for the state budget. The new WBL model promotes the involvement of an employer in the process of vocational education supply and by distributing responsibilities definitely and significantly decreases state expenses to obtain a vocational qualification for one student, at the same time increases the efficiency of service supply, which, in the long run, will ensure the skills matching and ultimately the reduction of the youth unemployment rate and the development of the country's sustainable economy. Moreover, the partnership between public and private sectors will have a synergistic effect; all the parties involved will have the incentives to focus on innovation and thus will contribute to the development of knowledge-based, innovative economy.

აბრევიატურათა ჩამონათვალი

VET - Vocational Education and Training

VET - პროფესიული განათლება

WBL - Work-based learning

სდს - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს სტანდარტები
სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებისას



თამარ გვასალია

მაგისტრანტი

ბოლო პერიოდში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით დამკვიდრდა ახალი საპროცესო სამართლებრივი მექანიზმი-ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახით. ფარული საგამოძიებო მოქმედებების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგლამტირება ეფუძვნება ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ამალვებას. ნაშრომში განხილულია სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების რეგულირების ქართული ვერსია და მისი შესაბამისობის საკითხები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ევროსასამართლოს სტანდარტებთან. საკითხის აქტუალობას მის სიახლესთან, დოგმატური დამუშავების სიმწირესთან და მაღალ პოლიტიკურ ინტერესებთან ერთად განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით რამდენიმე პრეცედენტული გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლებიც იდეურად სახელმწიფო ორგანოებს ავალდებულებს კანონმდებლობის სრულყოფისას პირადი ცხოვრების დაცვის ხელშეუხებლობის გარანტიები უზრუნველყოფას.

დანაშაულთან ბრძოლა არის შემთხვევა, რომელიც ორი საზოგადოებრივი აუცილებლობის კოლიზიას ქმნის. ერთი მხრივ, უფლებათა დაცვის სავალდებულობა როგორც საზოგადოებრივი აუცილებლობის კომპონენტი ხოლო მეორე მხრივ, დანაშაულთან ეფექტური ბრძოლა, როგორც საზოგადოებრივი დაკვეთა და სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულება, უპირისპირდება ერთმანეთს. რასაკვირველია, იოლი არ არის შესაბამისი ორგანოებისთვის დაიცვან ოპტიმალური ბალანსი ამ ინტერესთა შორის და დანაშაულთან ბრძოლა მიმდინარეობდეს ადამიანის უფლებათა მაღალი სტანდარტების დაცვით. სისხლის საპროცესო სამართალი დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენის, აღკვეთისა და მართლსაჯულების განხორციელების მიზნით სხვადასხვა მექანიზმს იყენებს. მათ შორის ერთ-ერთი, საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში,

განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს ფარული ღონისძიებების განხორციელების ნებას რთავს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პირადი ცხოვრების კონსტიტუციურ უფლებას ადამიანის თავისუფლების კონცეფციის განუყოფელ ნაწილად განიხილავს და ინდივიდის დამოუკიდებელი განვითარების საფუძვლად მიიჩნევს⁷² საკონსტიტუციო სასამართლოს ხედვით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მიზანია დაიცვას პირებს შორის ნებისმიერი საშუალებით, საუბრისა და მიმოწერის შესაძლებლობა. სახელმწიფო თავის მხრივ ადგენს უფლების დაცვის ლეგიტიმური შეზღუდვის შესაძლებლობას. თუმცა, უფლების შემზღუდველი ნორმები უნდა აკმაყოფილებდეს ხელმისაწვდომობის, განჭვრეტადობისა და მისი გააზრებისათვის საჭირო სიცხადის პრინციპებს.⁷³ როგორც კონსტიტუცია, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებს შეზღუდვის შესაძლებლობას, თუკი მას აქვს ამისთვის მყარი ლეგიტიმური საფუძვლები, კონკრეტულად დადგენილ უფლებაში ჩარევის დასაშვები ფარგლები. ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება.

ცვლილებამდე ქართული კანონმდებლობა საგამოძიებო და წინა საგამოძიებო ეტაპზე არ შეიცავდა საკმარის გარანტიებს პირადი ცხოვრების დაცვისა და ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. ამასთან, საკანონმდებლო რეჟიმი ვერ აკმაყოფილებდა კონსტიტუციური რანგის მოთხოვნას - წინაწარი განჭვრეტადობის აუცილებლობას. უფრო მეტიც, არ შეიცავდა რაიმე მექანიზმებს თვითნებური მოსმენისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. ფარული საგამოძიებო მოქმედებების სამართლებრივი ფილტრების გარეშე გამოყენება იწვევს ადამიანის უფლებათა კომპლექსურ ხელყოფას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს რომ სახელმწიფო რასაკვირველია ხშირად დგება დანაშაულის გამოძიების აუცილებლობისა და პირადი ცხოვრების დაცვის ხელშეუხებლობის დილემის წინაშე. ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოსთვის ფარული

⁷² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება N 1/ 2/ 458 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი“ საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ.

⁷³ უსენაშვილი, ჯ. (2012). პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას. სამართლის ჟურნალი, 96

სახის საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უპირატესობის მინიჭება გამართლებულია საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, თუმცა არსებობს ფუძემდებლური პრინციპები რაც ფარული საგამოძიებო მოქმედების შემთხვევაში უნდა იქნეს დაცული, ესენია: დანაშაულის სამართლებრივი ბუნება, რომელთა წინააღმდეგადაც შესაძლებელი იქნება იყოს გამოყენებული სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება; პირთა კატეგორია რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას; დროის ფაქტორის-მიყურადების ხანგრძლივობა; უსაფრთხოების ფარგლები, ანუ ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის დაცულობა მესამე პირთა ჩარევისგან; მონაცემების განადგურების პირობები.⁷⁴

თავდაპირველად საკითხზე მსჯელობისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთგვარი შედარებითი ანალიზის გაკეთება დღეს მოქმედი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის „ფარული საგამოძიებო მოქმედებების“ მარეგულირებელი ნორმებისა. 1999 წლის კანონი ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ 2014 წლის 1 აგვისტოს საკანონმდებლო ცვლილებებამდე რაიმე კონკრეტულ დათქმას არ ითვალისწინებდა თუ რომელი დანაშაულებრივი ქმედების მიმართ რა სახის ოპერატიული ღონისძიებები უნდა გამოყენებულიყო. კანონი იძლეოდა ამომწურავ ჩამონათვალს ოპერატიული ღონისძიებების ამოცანების შესახებ და გათვალისწინებული იყო ღონისძიებების სახეები რომლებიც ამ ამოცანათა შესრულების მიზნით შეგვეძლო გამოგვეყენებინა. ამასთან, სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა გამოყენება შესაძლო იყო იმ შემთხვევაში თუ, არსებობდა მსხვერპლის წერილობითი განცხადება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებასთან დაკავშირებით რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით⁷⁵. 2014 წლის ცვლილებების შემდეგ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში პრინციპულად განისაზღვრა რომ ამ ქმედების განხორციელება შეიძლება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად,

⁷⁴ Huving V. France, Application N.11105/58,[1990] ECHR (Ser.A.),34; Amann V. Switzerland, application N 27798/95,[2000] ECHR (ser.A),76; Valenzuela Contreras V Spain, Application N27671/95 [1998] ECHR (Ser.A),46; Prado Bugallo VSpain, Application N 58496/00, [2003] ECHR (Ser.A.)30

⁷⁵ნორმაში ცვლილება განხორციელდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1 /3 /407 გადაწყვეტილებით საქმეზე „ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე ე.ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ამასთანავე იგი ეფუძვნება აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას და მკაცრად არის დამყარებული პროპორციულობის სტანდარტზე.⁷⁶ როგორც წესი, ამ ტიპის საგამომიებო მოქმედების გამოყენება გამართლებულია იმ შემთხვევაში როდესაც სხვა საშუალებებით კანონით დადგენილი მიზნების მიღწევის რეალური შესაძლებლობა არ არსებობს. შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ ultima ratio ზომებს დანაშაულის წინააღმდეგ. გარდა ამისა, მექანიზმის გამოყენება უკვე შესაძლებელია მხოლოდ ვიწროდ განზღვრული ქმედებების წინააღმდეგ და ამასთან არც ერთი მათგანის სასჯელის მინიმალური ზომა არ არის 3 წელზე დაბალი. მაშასადამე, ევროპული სასამართლოს ამ სტანდარტთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა მასთან ბევრად უფრო ახლოს დგას ვიდრე ცვლილებამდელი რედაქცია იყო. რაც შეეხება მეორე განსახილველ საკითხს - **პირთა კატეგორია რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას**, ცვლილებამდე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონით ჩამოყალიბებული იყო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანები თუმცა არ იყო დაზუსტებული ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ადრესატი რეალურად. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი ადგენდა ზოგად სტანდარტს ისეთი სახის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებაზე, რომლიც ზღუდავდა კანონით გარანტირებულ სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოებას. იმ საფუძვლებით რაც ზემოთ აღვნიშნეთ.⁷⁷ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი ითვალისწინებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, კოდექსის ზემოხსენებული მუხლების წაკითხვა საშუალებას გვაძლევდა ვარაუდისთვის რომ ის პირები რომლებიც აკმაყოფილებდნენ დასაბუთებული ვარაუდის შემოწმების მოთხოვნას, შეიძლება მოხვდრილიყვნენ იმ პირთა კატეგორიაში რომლებიც შეიძლება დაექვემდებარებოდნენ ფარულ მიყურადებას. თუმცა კანონი თავისუფლად ტოვებდა იმ პირთა საკითხს რომელთა მიმართაც არ არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი დანაშაულის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით თუმცა შესაძლო იყო რომ ფორმით დაკავშირებული ყოფილიყვნენ საქმესთან. შესაბამისად, კანონი ამ მხრივ საქმიანობაზე უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს მაღალ დისკრეციას ანიჭებდა და ერთგვარი თვითნებობის რისკს ზრდიდა. დღეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასთან ერთად დაკონკრეტებულია რომ ის შეიძლება

⁷⁶ იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

⁷⁷ იხ. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ 2014 წლის 1 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია.

განხორციელდეს იმ პირის მიმართ რომელზეც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი რომ მან ჩაიდინა რომელიმე დანაშაული რაზეც რეალურად შეიძლება განხორციელდეს ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარება.⁷⁸ თუმცა კონკრეტულად მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებთან ერთად, საპროცესო კოდექსი ასევე უშვებს მის განხორციელებას განზრახ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა რომ წინასწარი განჭვრეტადობის მოთხოვნა არ გულისხმობს რომ ქვეყნებს მოეთხოვებათ ამომწურვად დაასახელონ უშუალოდ ის დანაშაულები რომელთა გამოძიებმაც შესაძლოა ფარული მიყურადება მოითხოვოს, თუმცა აუცილებელია მითითება დანაშაულის ხასიათის შესახებ.⁷⁹ ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საკითხია **მოქმედების განხორციელების ხანგრძლივობა**. როდესაც პრობლემა წარმოადგენდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის რეგულირების საგანს, დაისვა საკითხი ნორმის არაკონსტიტუციურობის შესახებ. ზოგადად აღსანიშნავია რომ, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა თავისი ბუნებით წარმოადგენს შემზღვევად აქტს. ამიტომაც ჩვენ აღვნიშნეთ რომ ის სახელმწიფო ორგანიების მხრიდან უნდა განხილვებოდეს როგორც უკიდურესი მექანიზმი დაკისრებული ვალდებულებების მისაღწევად. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების სტანდარტების ამაღლების მიზნით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გასცა რეკომენდაცია, რომელიც სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად ეხებოდა ღონისძიების განხორციელების ვადის სტანდარტსაც, სადაც აღნიშნა რომ სასამართლომ კანონის მიზნების მისაღწევად, პირველ ეტაპზე უნდა დაადგინოს ერთ თვიანი ვადა. სასამართლო მიიჩნევდა რომ ეს ვადა აკამყიფილებდა გონივრულობის სტანდარტს მტკიცებულებათა მოპოვებისათვის, თუმცა აქვე აღგენდა საგამონაკლისო შემთხვევებში მოქმედების რეკომენდაციასაც თუ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდებოდა ვადის გაგრძელების აუცილებლობა. კანონმდებლობა ნებისმიერი სახის ოპერატიული ღონისძიების განხორციელებისთვის აწესებს მკაფიოდ დადგენილ, ზუსტ ვადებს. დღეს მოქმედი რედაქციით კანონისა გათვალისწინებულია ვადის გაგრძელების შესაძლებლობაც 7 დღიდან 12 თვემდე. თუმცა, ეს წესები მკაცრად რეგულირებულია. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ვადის გაგრძელება შესაძლებელი იქნება ორ შემთხვევაში კერძოდ კი, როდესაც სახეზე გვაქვს პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის დავალება ოპერატიულ-

⁷⁸ იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁷⁹ იხ. Kennedy V the United Kingdom; Application 26839/05; 18/08/2010.

სამძებრო ღონისძიების განხორციელების შესახებ იმ შემთხვევაში როდესაც მიღებულია განცხადება ან შეტყობინება რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება რომლის გამოც აუცილებელია გამოძიების ჩატარება მაგრამ არ არსებობს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნიშნები, რაც საკმარისი იქნებოდა გამოძიების დასაწყებად ან არსებობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თხოვნა-შეკითხვა.⁸⁰ აღნიშნული ვადა შესაძლებელია პირველ ეტაპზე გაგრძელდეს 3 თვემდე თუმცა საჭიროებს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს უფროსის მოტივირებულ დადგენილებასა და პროკურორის თანხმობას.⁸¹ ვადის შემდგომი გაგრძელება დასაშვებია 6 თვემდე, თუმცა აქ კანონმდებელი უფრო ამაღლებს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა სტანდარტს და უფლებამოსილებას ანიჭებს შესაბამისი სახელმწიფო უწყების ხელმძღვანლის მოადგილის შუამდგომლობასა და საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის თანხმობას ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.⁸² რაც შეეხება მაქსიმალურ ვადას, კანონი ამბობს რომ 12 თვიანი ვადის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაბამისი სახელმწიფო უწყების ხელმძღვანლის მიმართვისა და საქართველოს მთავარი პროკურორის თანხმობის შემთხვევაში.⁸³ მაშასადამე, თუ მიზანი 12 თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგაც არ იქნა მიღწეული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას განხორციელების სამართლებრივი საფუძველი გამოეცლება, ვინაიდან კანონი პირდაპირ მიუთითებს რომ ამ ვადის გაგრძელება არის დაუშვებელი. რაც შეეხება **ვადებს სატელეფონო საუბრების ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით**, იურიდიულ მეცნიერებაში ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავდნენ რომ განსაკუთრებით პრობლემატური იყო საკითხი წინასწარ დადგენილი ვადის გაგრძელების თაობაზე რისი საჭიროებაც როგორც წესი, თავს იჩენდა ხოლმე იმ შემთხვევაში როდესაც პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მოითხოვდა დამატებით მონაცემების შეგროვებას.⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის ნორმის ნაწილი კერძოდ, კი სასამართლო გადაწყვეტილებამდე კანონი ადგენდა რომ „თუ ოპერატიული ინფორმაცია პირის

⁸⁰ იხ. „საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸¹ იქვე, მუხლი 8, პუნქტი 3

⁸² იქვე, მუხლი 8, პუნქტი 4

⁸³ იქვე, მუხლი 8, პუნქტი 5

⁸⁴ უსენაშვილი, ვ. (2012). პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას. სამართლის ჟურნალი, 96

დანაშაულებრივი ქმედების შესახებ მოითხოვს დამატებითი მონაცემების შეგროვებას, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა შეიძლება გაგრძელდეს 6 თვემდე⁸⁵ გადაწყვეტილებაში სასამართლო მივიდა დასკვნამდე რომ კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში ნორმიდან იკითხებოდა რომ პროკურორს ჰქონდა უფლებამოსილება გაეგრძელებინა იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ვადა, რომლის ჩატარებაზეც კანონი ითხოვდა მოსამართლის ბრძანებას. ვინაიდან კონსტიტუციის მე-20 მუხლი იმპერატიულად ადგენს რომ უფლებაში ჩარევა უნდა განხორციელდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონის ეს ჩანაწერი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. ამ გადაწყვეტილებით ვადებთან დაკავშირებული რეგულაციები შესაბამისობაში მოვიდა ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტებთან. დღეს არსებული ვითარებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის მე-12 ნაწილით დადგენილია განხორციელების ვადები. ამასთან ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ერთ-ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯზე რომელიც პირველადი ვადის განსაზღვრაში გამოიხატება. მართალია 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ ვადების პრობლემა ერთგვარად გადაჭრა თუმცა კანონი ღიად ტოვებდა ღონისძიების განხორციელების საწყისს ვადას, ამჟამად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აკეთებენ მითითებას პირველად ვადებთან დაკავშირებით. ფარული საგამოძიებო მოქმედების შემთხვევაში იგი შესაძლებელია განხორციელდეს არა უმეტეს ერთი თვისა, პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობით კი სასამართლოს განჩინების საფუძველზე შესაძლებელი ხდება 2 თვემდე მოქმედების გახანგრძლივება, ხოლო ვინაიდან მსგავსი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ვადების ზრდასთან ერთად იზრდება დაცულ უფლებაში ჩარევის ინტენსივობა მესამე ეტაპი უკვე ადგენს შედარებით მაღალ სტანდარტს და გულისხმობს მთვარი პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მის გახანგრძლივებას 3 თვის ვადით.⁸⁶

ყურადღება უნდა გამახვილდეს მოპოვებული ინფორმაციის დაცულობასა და კანონმდებლობით მესამე პირების ჩარევის შეზღუდვის სტანდარტზე. გასაიდუმლოებამ როგორც წესი შეიძლება შეზღუდოს ისეთი ფუნდამენტური უფლება როგორცაა წვდომა ინფორმაციაზე, რასაც არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

⁸⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის 2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁸⁶ იხ. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 143³-ე მუხლი

კოდექსი. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია რომ ამავე კოდექსით პირდაპირაა დაწესებული შეზღუდვა ისეთი სახის ინფორმაციაზე რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ვინაიდან ჩვენ კვლევის ფარგლებში ვახდენთ დღეს და ცვლილებამდე მოქმედ კანონმდებლობასთან ერთგვარ შედარებას, უნდა აღვნიშნოთ რომ 2014 წლის 1 აგვისტოს ცვლილებამდეც და დღეის მდგომარეობითაც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა წარმოადგენს მკაცრად გასაიდუმლოებულ ცვლილებამდე კანონი ასევე ითვალისწინებდა პირდაპირ შეზღუდვას ინფორმაციის დაშვებაზე იმ შემთხვევაშიც კი თუ იგი სამეცნიერო-კვლევითი მიზნებით იქნებოდა დასაბუთებული.⁸⁷ სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის რეგულირებას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პარალელურად ვრცელდება ასევე ფარულ საგამომიებო მოქმედებებზე, აღნიშნული ნორმა პირდაპირ ადგენს ამ შეზღუდვას.⁸⁸ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებაზე, შეინახოს მსგავსი ტიპის ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელ დოსიეში, ასევე დადასტურებულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით⁸⁹.

რაც შეეხება **მონაცემთა განადგურების ეტაპს** საქართველოს სისხლის სამართლი საპროცესო კოდექსი მონაცემთა განადგურების რამდენიმე ეტაპს იცნობს. ზოგადად, უნდა აღინიშნოს რომ მონაცემთა განადგურების რეგლამენტირება თავის თავში მოიაზრებს პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მექანიზმს. იგი ერთ-ერთი ხერხია იმისთვის რომ მონაცემი არ იქნეს გამოყენებული არალეგიტიმური მიზნებისთვის და ამასთან არ მოხდეს მისი გასაჯაროვება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს ევროპული სასამართლო, მან რამდენიმე საქმეში აღნიშნა რომ ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან მონაცემთა შენახვა, როგორი ხერხითაც არ უნდა იყოს იგი მოპოვებული პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ინდივიდის პირადი ცხოვრების ინტერესებზე.⁹⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გამოყოფილია არალიარებული მონაცემების განადგურება; გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში ჩატარებული და სასამართლოს მიერ კანონიერად ცნობილი

⁸⁷ ამ შემთხვევაში გამონაკლის წარმოადგენდა მონაცემი ან/და დოკუმენტი რომლის მოპოვებიდან გასული იყო 25 წელზე მეტი, ეს შეზღუდვა არ ვრცელდებოდა პირზე, რომლსაც ინფორმაციასთან წვდომა გააჩნდა სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და ამასთან მონაცემი ესაჭიროებოდა სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის.

⁸⁸ იხ. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.

⁸⁹ იხ. Leander v. Sweden, Application 9248/81. 26.03.[1987]ECHR.

⁹⁰ იხ. S. and Marper v. the U.K. Application: 30562/04, 04.12.[2008]ECHR.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგი, რომელიც მხარის მიერ მტკიცებულებად არ იქნება წარდგენილი; ასევე ცნობების განადგურება რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი ან სხვისი პირადი ცხოვრების შესახებ.⁹¹ განადგურებას ექვემდებარება ასევე, სასამართლოს მიერ უკანონოდ ცნობილი ფარული საგამოძიებო მოქმედების მონაცემი საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი რომელსაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით შეიცავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, არის პირის შესაძლებლობა რომლისთვისაც მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. ⁹² თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ის საპროცესო შედეგი რაც შესაძლებელია დადგეს ამ გასაჩივრების შედეგად. როგორც საპროცესო კოდექსი ადგენს, სამართალწარმოების მიმდინარეობისას მისი გასაჩივრების შემთხვევაში შესაძლებელია დადგინდეს პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ხოლო სამართალწარმოების დასრულების შემთხვევაში კი, შესაბამისი სასამართლოს მიერ, საჩივრის დაკმაყოფილება იმთავითვე ქმნის საქმის გადასინჯვის საფუძველს ახლად გამოვლენილ გარემოებათა საფუძველზე. უდავოა, რომ ეს რეგულირება მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტიაა, როგორც უფლების დაცვის ასევე ინტერესეთა დაბალანსების კუთხით.

საბოლოო ჯამში უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით დღეს მოქმედი რეგულაცია ბევრად ახლოს დგას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან. პრეცედენტული სამართლით დადგენილი ის ძირითადი ტესტი რომელიც მოიცავს ფარული მოქმედებების განსახორციელებლად ისეთი კრიტერიუმების გაწერას როგორცაა დანაშაულის სამართლებრივი ბუნება, კატეგორია, მოქმედების განხორციელების ხანგრძლივობა, ინფორმაციის დაცვის კრიტერიუმები და ა.შ.ამ საკანონმდებლო ცვლილებით შეიძლება ითქვას მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილდა. შეიქმნა ისეთი მექანიზმები, რომელიც ერთი მხრივ გამორიცხავს ფარულ, უკანონო მოსმენებს, მეორე მხრივ, ის ჩანაწერები, რომლებიც არ უკავშირდება გამოძიებას და, ამასთანავე, პირადი ხასიათისაა, ნადგურდება. რაც თავის მხრივ, გულისხმობს კონსტიტუციური გარანტიებს მეტ სიმყარეს სისხლის საპროცესო სამართლის

⁹¹ იხ. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 143⁸-ე მუხლის პირველი ნაწილი

⁹² იხ. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 143³-ე მუხლის მე-14-მე-15 ნაწილები.

პრაქტიკული რეალიზებისას. თუმცა რამდენიმე საკითხი, რომელიც ევროსასამართლოს ხედვით უფლებათა დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არ არის დარეგულირებული მოცემული რეგლამენტაციით. უპირველესად მიგვაჩნია, რომ კოდექსით უნდა შეიქმნას სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისას მესამე პირთა უფლებების დაცვის გარანტიები, მიეცეს მესამე პირს უფლების შეზღუდვის შესახებ დავის უპირობო გარანტირებულობა. ამასთან ერთად, ღია საკითხია ასევე სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერისას გამოვლენილი სხვა დანაშაულებრივი ქმედებების საკითხი. კოდექსით, ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არის სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი, ხოლო ამ ინფორმაციის ახალ საქმეზე დასაშვებ მტკიცებულებად ცნობის საკითხი გადაწყდება ამ კოდექსით დადგენილი ზოგადი წესით, ფარული საგამოძიებო მოქმედებისათვის ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული გარემოებების გაუთვალისწინებლად. ამ შემთხვევაში კანონმდებელი ეყრდნობა გამოძიების დაწყების საფუძველების შესახებ კოდექსის მოთხოვნებს. კოდექსი შეიცავს ზოგად ჩანაწერს და ამბობს რომ გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, ის რომ არ აკონკრეტებს დანაშაულის მიღების წყაროს, მიმწოდებელ სუბიექტს. ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია იმ შემთხვევაში როდესაც სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება გადაუდებელი აუციელებლობის შემთხვევაში პროკურორის დადგენილების საფუძველზე ხორციელდება. თუ სასამართლომ განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედება უკანონოდ ცნო და განსაზღვრა მისით მოპოვებული შედეგების განადგურება არსებული ჩანაწერის მიხედვით დაწყებული საგამოძიებო მოქმედება თუნდა არალეგიტიმური საფუძველით უნდა გაგრძელდეს. ამ შემთხვევაში, მიგვაჩნია რომ საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის ერთადერთი მექანიზმი არის საკანონმდებლო ცვლილება, ვინაიდან ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მტკიცებულება რომელიც პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის შედეგად არის მიღებული და ამ მტკიცებულების, მეშვეობით გრძელდება საპროცესო მოქმედებების წარმოება, თავისთავად იწვევს არა მხოლოდ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფას, არამედე წამოსწევს საკითხს სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვასთან დაკავშირე

ბიბლიოგრაფია

საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995წ. 24 აგვისტო, (2015 წლის 30 იანვრის რედაქცია)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009.09 ოქტომბერი (2015 წლის 30 იანვრის რედაქცია)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ.1998.20 თებერვალი (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია)

საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, თბ.1993.30 აპრილი (2015 წლის 30 იანვრის რედაქცია)

საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, თბ.1996.29.ოქტომბერი (2015 წლის 30 იანვრის რედაქცია)

საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ. თბ,2005.2 ივნისი. (2014 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით)

Emmerson, B, Ashworth, A., & Macdonald, A. (2012). *Human Rights and Criminal Justice*. London: Sweet&Maxwell

უსენაშვილი ჯ. (2012). *პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას*. თბილისი, სამართლის ჟურნალი, 96

კორკელია, კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., (2005). *საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან*. თბილისი , ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს სტანდარტები
სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებისას

თამარ გვასალია
მაგისტრანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მიზანი - ნაშრომის მიზანია, განიხილოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად დადგენილი ფარული საგამომიებო მოქმედების ერთ-ერთი სახის - სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესაბამისობა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთნ, გამოავლინოს ძირეული ცვლილებები, გამოკვეთოს არსებული პრობლემები ამ კუთხით და განსაზღვროს მათი გადაჭრის გზები.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებულია ისტორიული, შედარებით სამართლებრივი და კვლევითი დოგმატური მეთოდები.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები) / გავლენა - ნაშრომის უმთავრესი სისუსტე არის მისი შედარებით დოგმატური ხასიათი და ნაშრომის სუბიექტურობა. ამასთან, ნაშრომი არ სწავლობს საკითხს პრაქტიკულად

სიახლე/ღირებულება - ნაშრომის უპირატესობა მგოდომარეობს იმაში, რომ საკითხი თავისი სიახლიდან გამომდინარე ამ ეტაპზე არ არის საკმარისად დამუშავებული. მით უმეტეს არ არის დამუშავებული ფარული საგამომიებო მოქმედებები ვიწროდ, ცალკეული კომპონენტების გათვალისწინებით. ამასთან, ECHR - ის პრაქტიკის ანალიზი საკითხს მატებს ღირებულებას იმის გათვალისწინებით, რომ მისი შემუშავების ძირითადი მოტივი სწორედ ოპერატიულ - სამმეგრო საქმიანობის ევროსტანდარტებთან შესაბამისობის აუცილებლობა იყო. გასათვალისწინებელია ის მომენტი, რომ ნაშრომში გამოკვეთილია ღიად დატოვებული, პრობლემური საკითხები და შემოთავაზებულია მისი გადაჭრის გზები.

**The Standards of European Human Rights Court Thought the Covert Investigation and
Telephone Surveillance**

Tamar Gvasalia

MA Student

Caucasus University

Abstract

Purpose – this study aims to discuss about the results of newest changes in Criminal Procedural law of Georgia. According to the changes, Telephone surveillance became one of the sorts of covert investigation, which causes the problem of conformability within the case law of European court of human rights. The foremost challenges of the thesis is to focus on the basic problematic issues and to find the reasonable problem solving strategy.

Design/ methodology/ approach – through the processing of thesis we use historical, Comprehensive legal and dogmatic methods of survey.

Findings – it was found that the new regulations about the covert investigation is basically in accordance with the standards considered by the case law of European court of human rights, but there are some fundamentally important problems which should be solved by the changes in the procedural criminal code of Georgia.

Research Limitations/ implications - it was found that the survey is totally dogmatic and does not focus on the practical problems of covert investigation and main problems of investigation bodies. Another disadvantage is the subjective character of the survey, because it is basically established on the author's position about the topic.

Originality/value –According to the fact that, covert investigation is an innovation for Georgian legal system, we face the lack of dogmatic and comprehensive survey of these issues. Thus this survey is the important one for the further development of theory of covert investigation. Moreover, further analysis of the ECHR practice creates this thesis more valuable, because the main idea of legal changes in the criminal procedural law of Georgia was the improvement of the protection of rights of privacy through the establishment of ECHR standards.

არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია (აღდგენითი მართლმსაჯულების
ეფექტურობა არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ
პასუხისმგებლობასთან შედარებით)



ეთერ ბურჯანაძე

მაგისტრანტი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება წარმოადგენს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხს არა მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნის რეალობაში, არამედ მთელს მსოფლიოში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დახვეწა, ეფექტური საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა და მათი პრაქტიკაში სწორად გამოყენება ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს ყოველი სახელმწიფოსათვის, ვინაიდან სწორედ მომავალი თაობის ბედი ქმნის ქვეყნის სიძლიერეს. არსებობს არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც აწესებს ზოგად სტანდარტებს და პრინციპებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთან მიდგომის თვალსაზრისით. სწორედ ამ პრინციპებთან შესაბამისი უნდა იყოს ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვასა და მის რეაბილიტაცია- რესოციალიზაციაზე. დღესდღეობით კამათს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება არასრულწლოვანი დამნაშავეს მიმართ ბევრად უფრო ეფექტური და შედეგის მომტანია, ვიდრე მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა. სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხება წინამდებარე ნაშრომი, რომლის მიზანია ჩატარებული კვლევების საფუძველზე, განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის მაგალითზე, წარმოვაჩინოთ რამდენად ეფექტურია აღდგენითი მართლმსაჯულება, განსაკუთრებით „კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა მიმართ“.

თემატიკის შერჩევასაც გავითვალისწინეთ არა მხოლოდ საკითხის ზოგასაკაცობრიო მნიშვნელობა, არამედ მისი აქტუალურობა დღევანდელი ჩვენი ქვეყნის რეალობაში. განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტი მართალია 2010 წელს იქნა დაწესებული საქართველოში, იგი ჯერ კიდევ წარმოადგენს ნოვაციას ჩვენი საზოგადოებისათვის, საჭიროებს ძირეულ შესწავლას და დახვეწას. სწორედ ამ ინსტიტუტის კიდევ უფრო დახვეწის თვალსაზრისით ჩატარდა მოცემული კვლევა.

მთელი რიგი საერთაშორისო აქტები მოუწოდებენ სახელმწიფოებს არასრულწლოვანთა დანაშაულებრიობასთან მრძოლისას აქცენტი გააკეთონ არა მათ დასჯაზე, არამედ აღდგენით მართლმსაჯულებაზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მათ გამოსწორებას. აღიარებულია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი საჭიროებს დაცვას, ზრუნვას და რესოციალიზაციას.

ბავშვის უფლებების კონვენციის 37-ე მუხლის ბ -პუნქტის თანახმად: „ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზონა, რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში.“

ფსიქოლოგიური და კრიმინოლოგიური გამოკვლევები ცხადყოფს, რომ სწორედ ასეთი მიდგომის დროს ხორციელდება სასჯელის მიზნები და რაც მთავარია, არასრულწლოვნის ჯანსაღი რეაბილიტაცია.

2010 წლის ივლისში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა ცვლილება პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. სწორედ ამ ცვლილების შემდგომ შესაძლებელი გახდა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მომხადარიყო დამნაშავე არასრულწლოვნის განრიდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის შემოღებით საფუძველი ჩაეყარა ახალ, ლიბერალურ მიდგომას არასრულწლოვანთა მიმართ, რომლის ძირითადი მიზანი კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის რეაბილიტაცია და რესოციალიზაციაა.

„განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის #216-ე ბრძანების და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს #94-ე ბრძანების თანახმად, განრიდება წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმას. იგი არის დევნის ალტერნატიული მექანიზმი, ხოლო მედიაცია არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის გამართული დიალოგია, რომელსაც წარმართავს მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვნის შერიგება დაზარალებულთან.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ლიბერალიზაციის თვალსაზრისით გატარებული მთელი რიგი ღონისძიებების შემდგომ კანონმდებელი მივიდა დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების ერთად თავმოყრა. 2013 წელს „მომზადდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის მიზანია ჰუმანური და ლიბერალური გახადოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ -ნათქვამია იუსტიციის მინისტრის 2013 წლის ანგარიშში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით 2015 წლის 12 ივნისს მიიღო. კოდექსის დასკვნითი დებულებების მიხედვით, განრიდებისა და მედიაციის მარეგულირებელი ნორმები 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის IV კარის VI თავი დათმობილი აქვს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მარეგულირებელ ნორმებს, უშუალოდ განრიდებას ეხება 38-48 მუხლები. ოთხ ძირითად საკითხ გამოვყოთ აღნიშნული თემის ირგვლივ:

1. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო
2. განრიდების გამოყენების წინაპირობები
3. განრიდების ღონისძიებები
4. განრიდების ღონისძიებების ზედამხვედველობითი ორგანოები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, განრიდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასასამართლო სხდომამდე ან საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ. 2015 წლის იანვრის მდგომარეობით პროექტის მიხედვით, სასამართლოს მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეეძლო საქმე განრიდებისათვის დაებრუნებინა პროკურირსათვის, ახლა კანონი მას აძლევს უფლებას ეს გადაწყვეტილება მიიღოს საკუთარი ინიციატივითაც. დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ეს ფაქტი, ვინაიდან მოსამართლე თუკი მიიჩნევს რომ მიზანშეწონილია განრიდების გამოყენება კონკრეტული შემთხვევის დროს, უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით დაუბრუნოს საქმე პროკურორს.

მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვეთის თვალსაზრისით მიზანშეწონილად მივიჩნით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის და მისი პროექტის შედარება. პირველი განსხვავება კოდექსსა და პირვანდელ პროექტს შორის არის თავად განრიდების არსში. პროექტის მიხედვით, განრიდების გამოყენება შესაძლებელი იყო როგორც დანაშაულის ჩადენისას, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე, შესაბამისად გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ცნებაც უფრო ფართო იყო. ბავშვის მიერ ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში განრიდების გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია მაგისტრატ მოსამართლეს, რომელიც განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს. ბავშვის მიერ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, განრიდების თაობაზე გადაწყვეტილებას წინასასამართლო სხდომის გამართვამდე იღებს პროკურორი. თუკი განრიდების თაობაზე გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული წინასასამართლო სხდომის გამართვამდე, სასამართლო მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება განრიდების ერთი არ რამოდენიმე ზომის გამოყენებით არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია განრიდების გამოყენების წინაპირობები. განრიდების გამოყენება შესაძლებელია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას:

ა) არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა;

ბ) არასრულწლოვანი ნასამართლევია არ არის;

გ) არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა;

დ) არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს;

ე) პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს;

ვ) არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ.

პროექტში დანაშაულის აღიარების პუნქტი ამგავრად იყო ჩამოყალიბებული: „ბავშვი ძალდატანების გარეშე და ნებაყოფლობით აცნობიერებს პასუხისმგებლობას ჩადენილი სამართალდარღვევისთვის.“ კოდექსში ამოიღეს ეს მუხლი, ვინაიდან შეიძლება ითქვას ბუნდოვანი იყო და კონკრეტულ შემთხვევებში ძნელად განსასაზღვრი იქნებოდა როდის აცნობიერებს ბავშვი ჩადენილ ქმედებას, იგი შეიძლება აღიარებდეს ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ ვერ აცნობიერებდეს.

კოდექსი ღიად ტოვებს საკითხს, თუკი ბავშვს არ ჰყავს მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები, ან მათი ადგილსამყოფელი უცნობია, რა შეიძლება იყოს გამოსავალი. პროექტის პირვანდელი ვერსიის მიხედვით, თუკი ბავშვს არ ჰყავს მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები, მათი ადგილსამყოფელი უცნობია ან ბავშვი განცალკევებულია მათგან, ან არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ბავშვსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის, სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს [guardian ad litem], რომელიც უფლებამოსილია, გასცეს თანხმობა განრიდების გამოყენებაზე.

მიგვაჩნია, რომ განრიდების გამოყენებისას რამდენიმე დეტალია სადავო. არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისას არასრულწლოვნის გამოსწორება ხდებოდეს განრიდების და არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გზით. ვინაიდან განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არაერთი გარემოება მიიღება მხედველობაში და ინდივიდუალურად ხდება როგორც ვითარების, ასევე ბავშვის პიროვნების შესწავლა. კანონმდებელი უნდა უტოვებდეს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს უფლებამოსილებას, რომ გარკვეულ გამონაკლისს შემთხვევებში განრიდების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის დროსაც.

მეორე საკითხი, რაზეც კანონმდებელს ვერ დავეთანხმებით არის განრიდების გამოყენების შეუძლებლობა, თუკი ერთხელ უკვე იყო პირი განრიდებული. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შემოღებისას, მისი მთავარი გზავნილი იყო არასრულწლოვნისათვის ერთი შანსის მიცემა, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე უკვე როდესაც გაამართლა პროექტმა და სახეზე გვაქვს არაერთი წარმატებით დასრულებული შემთხვევა, უნდა იყოს შესაძლებლობა განრიდების მეორედ გამოყენების ან გარკვეულ შემთხვევაში ნასამართლევნი არასრულწლოვნის განრიდებისა, თუკი ეს იქნება ბევრად ეფექტური ღონისძიება კონკრეტულ შემთხვევაში.

დადებით ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ კოდექსში გაწერილია დეტალურად როგორც განრიდების გამოყენების წინაპირობები, ასევე ღონისძიებათა ჩამონათვალი, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს არასრულწლოვნის მიმართ. მოქმდი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არასრულწლოვნის გარანტიებს განრიდების დროს, კოდექსის 41-ე მუხლში განრიდების დროს არასრულწლოვნის გარანტიების ასახვა დადებით მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ. განრიდების პროცესში არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის აღიარება და მის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია არ შეიძლება სასამართლოში მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და ადვოკატს უნდა მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია განრიდების არსის, პირობების და განრიდების ღონისძიებების შეუსრულებლობის შესახებ.

დადებითი შეფასებას იმსახურებს ის გარემოება, რომ კოდექსში ამოღებულია ტერმინი საზოგადოებრივი ადვოკატი, რომელიც პროექტში იყო მოხსენიებული. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი/პროცესში მონაწილე პირი- მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, პოლიციელი, საზოგადოებრივი ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების და პატიმრობის შესაბამისი დაწესებულების პერსონალი, რომელიც მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.“

აქ ბუნდოვანია რა იგულისხმება საზოგადოებრივ ადვოკატში, პროექტის 21-ე მუხლში გაწერილი იყო ამგავრი განმარტება: იურიდიული დახმარების სამსახურში ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ ადვოკატთა მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც არასრულწლოვანს პირველი მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს იურიდიული დახმარებით უმოკლეს ვადაში.

საზოგადოებრივ ადვოკატში სახაზინო ადვოკატი იგულისხმებოდა, რომელთა ჯგუფიც გადამზადდებოდა სახელმწიფოს მიერ. ამ დროს სერიოზული პრობლემის წინაშე შეიძლება დავმდარიყავით. 21 -ე მუხლის დანაწესი წინააღმდეგობაში მოდიოდა ამავე პროექტის 28-ე მუხლთან, რომელიც არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს ანიჭებდა უფლებას დამოუკიდებლად შეერჩია და მოეწვია ადვოკატი. პროექტის მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის მიღება

მხოლოდ სპეციალურად გადამზდებულ საზოგადოებრივ ადვოკატს შეეძლო, რაც ცალსახად ზღუდავდა არასრულწლოვნის უფლებას თავად, საუთარი სურვილისამებრ აერჩია დამცველი. ყოველივე გათვალისწინებული იქნა კანონმდებლის მიერ, და კოდექსი ნაცვლად საზოგადოებრივი ადვოკატისა ზოგადად ადვოკატია მოხსენიებული. თუმცა ცალსახად ავლნიშნავთ, რომ როგორც ადვოკატი, ასევე მოსამართლე, პროკურორი, სოციალური მუშაკი უდაოდ საჭიროებენ სპეციალურ გრძელვადიან გადამზადებას.

გვაქვს რეკომენდაცია, რომ ცვლილება შევიდეს კოდექსის 39-ე მუხლის მე-5 ნაწილში, რომელიც პროკურორის მიერ განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში არასრულწლოვანს და მის წარმომადგენელს უფლებას ანიჭებს განრიდების მოთხოვნით მიმართოს ზემდგომ პროკურორს. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია პროკურორის უარი განრიდებაზე საჩივრდებოდეს არა ზემდგომ პროკურორთან, არამედ სასამართლოში და ეს ყოველივე გაიწეროს კანონმდებლობაში.

კიდევ ერთი ცვლილება, რაც სასურველია განხორციელდეს, ეხება განრიდების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. ზოგიერთ ქვეყანაში გარდა პროკურატურისა და პოლიციისა, სასამართლოსაც ენიჭება დისკრეციული უფლებამოსილება განარიდოს არასრულწლოვანი. ამგავრი გადაწყვეტილების მიღება ძირითადად მოსამზადებელ სხდომაზე ხდება, მთავარ სასამართლო პროცესამდე. მაგალითად, ტაჯიკეთში განრიდება შესაძლოა განხორციელოს, როგორც პოლიციამ, ისე პროკურორმა და სასამართლომაც. ასევე სამივე ორგანოს ანიჭებს განრიდების შესაძლებლობას ფილიპინების კანონმდებლობაც. განრიდება ფილიპინების კანონმდებლობაში 2006 წელს დაინერგა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ კანონის 24 ნაწილში ვკითხულობთ: „განრიდება შეიძლება გამოყენებული იქნეს კატარუნგანგ პამბარანგაიში (Katarungag Pambarangay) საზოგადოებრივ დონეზე. პოლიციის გამოძიების, მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ეტაპებზე და საქმის წარმოების ყველა დონეზე და ყველა ფაზის განმავლობაში, მათ შორის სასამართლო დონეზე.“

მიგვაჩნია, რომ საქმის ყველა ეტაპზე უნდა იყოს შესაძლებელი განრიდება, და შესაბამისად სხვადასხვა იქნება გადაწყვეტილების მიმღები პირიც იმისდა მიხედვით თუ საქმის მსვლელობის რა ეტაპზე მოხდება განრიდება. წინასასამართლო სხდომამდე პროკურორის უფლებამოსილება უნდა იყოს, უკვე სასამართლოში - მოსამართლე უნდა

იღებდეს ამ გადაწყვეტილებას და ა.შ. გვაქვს რეკომენდაცია, ასევე დაინერგოს ახალი მექანიზმი უკვე მიღებული გადაწყვეტილების შემდგომაც იყო შესაძლებელი არასრულწლოვნის განრიდება. თუმცა ამ დროს განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაცია იმოქმედებს. ეს მისცემს სტიმულს არასრულწლოვანს რომ სასჯელალსრულების დაწესებულებაშიც კი აქვს კიდევ ერთი შანსი, იმისათვის რომ თავი აარიდოს ფორმალურ მართლმასჯულებას და ამგავრად გამოსწორდეს. ყოველივე ამ ცვლილების განხორციელება კანონმდებლობაში, იქნება ეფექტური მხოლოდ მაშინ, თუკი მოხდება გადაწყვეტილების მიმღები და წარმოებაში მონაწილე ყველა სუბიექტის სპეციალური გადამზადება.

განრიდების ეფექტურობა-არაეფექტურობის დადგენა სწორედ სტატისტიკის მეშვეობით ხდება. დღესდღეობით ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ უკვე მერამდენე წელი ეს პროგრამა წარმატებით ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში, პრევენციის თვალსაზრისით მისი ეფექტურობა დასტურდება პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნების მიერ განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებლით.

2015 წლის 30 იანვარს გამოვითხოვეთ განრიდების სტატისტიკური მონაცემები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან. დეტალურად შევისწავლეთ მონაცემები, წლების, რეგიონების, ჩადენილი დანაშაულების, რეციდივის შემთხვევების მიხედვით და ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წლების მიხედვით განრიდების ინსტიტუტი უფრო და უფრო პოპულარული ხდება ჩვენს ქვეყანაში, იმატებს განრიდებულ არასრულწლოვანთა რიცხვი. 2010 წლიდან 2015 წლის 29 იანვრის ჩათვლით სულ განრიდებული იქნა 747 არასრულწლოვანი. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ 747 არასრულწლოვნიდან განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ 60-მა.

„აღნიშნული პროგრამის ეფექტურობა დანაშაულის პრევენციასთან მიმართებაში მოწმდება პროგრამაში ჩართული არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებლის გათვალისწინებით. საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, პროგრამა წარმატებულია, თუ პროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის რიცხვი არ აღემატება 25 პროცენტს.“- ვკითხულობთ სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ ჩვენთვის გამოგზავნილ მომართვაში.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, განრიდების პროგრამა უმეტესდ გამოიყენება ისეთი დანაშულის დროს, როგორცაა ქურდობა, ცემა, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

შემდგომი მნიშვნელოვანი საკითხია სქესის მიხედვით განრიდებულ არასრულწლოვანთა დაყოფა. სულ 676 მამრობითი სქესის და 71 მდედრობითი.

რეგიონებს რაც შეეხება, რა თქმა უნდა თბილისში ყველაზე დიდი რაოდენობაა, შემდგომ მოდის იმერეთი და ქვემო ქართლი. აუცილებელია რეგიონებში გადამზადება ამ პროგრამაში ჩართული პროფესიონალების და დედაქალაქის მსგავსად მისი უფრო ხშირად გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

ჩვენს ქვეყანაში არსებული პრაქტიკა უდაოდ მოწმობს მისი შედეგების ეფექტურობას, რაც შეეხება განმეორებით ჩადენილ საქმეებს, აქ მნიშვნელოვანია რომ 60 საქმიდან მხოლოდ რამოდენიმეზე იყო განრიდებასთან ერთად მედიაციის ხელშეკრულებაც. ამრიგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განრიდებისა და მედიაციის ერთობლიონა ბევრად უფრო ეფექტურს შედეგს იწვევს, მხოლოდ განრიდების გამოყენებასთან შედარებით. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 747 საქმიდან, 542 საქმეს ჰყავდა დაზარალებული და მათგან განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების გაფორმებით მხოლოდ 117 საქმე დასრულდა. ვფიქრობთ, რომ მედიაციის როლი ამ პროცესში უნდა გაიზარდოს და უფრო მეტ საქმეზე უნდა მოხდეს დაზარალებულის ჩართვა, ამისთვის განსაკუთრებული როლი მედიატორებს ეკისრებათ, მათ ძალისხმევაზეა დამოკიდებული დაზარალებულის დათანხმება და მისი ჩართვა არასრულწლოვნის გამოსწორების პროცესში.

ბოლოს გვინდა ვისაუბროთ განმეორებითი დანაშაულის სტატისტიკაზე. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ 747 არასრულწლოვანთაგან 60-მა ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული. 2010-2015 წლის (პირველი 6 თვის) მონაცემების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განრიდების საქმეების 80 % წარმატებით დასრულდა, მიმდინარე წარმოადგენს - 8 %-ს, სასამართლო განაჩენით დადასტურებულია განმეორებითი ჩადენილი დანაშაულების 4 %, სავრაუდო განმეორებითი დანაშაულები - 4 %, ხოლო 4% - სხვა საქმეები, რაც გულისხმობს, შეწყვეტილ საქმეებს დანაშაულის დეკრიმინალიზაციის ან სხვა მიზეზის გამო.

საკითხის ძირფესვიანად შესწავლისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ ჩაგვეტარებინა გამოკითხვა 14-18 წლის მოზარდებს შორის და პირადად მათგან გაგვეგო, თუ რას ფიქრობენ არასრულწლოვანი დანაშაულის გამოსწორების გზებზე და მათ მიმართ განხორციელებულ მკაცრ თუ ლიბერალურ მიდგომებზე. 2016 წლის ოქტომბრის თვეში ჩავატარეთ გამოკითხვა თბილისის რამდენიმე სკოლის 100 მოსწავლეს შორის. შერჩეულ იქნა რამდენიმე მარტივი შეკითხვა, გამოკითხვა ანონიმურ ხასიათს ატარებდა. განსაკუთრებით ღირებულია გამოკითხვის შედეგები, რამეთუ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია თუ როგორ ხედავენ პრობლემის გადაჭრის გზებს თვითონ ის პირები, ვისაც ეხება საკითხი.

ერთ-ერთი შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში: მაშინ როდესაც არასრულწლოვანი ჩაიდენს დანაშაულს რა სახის სასჯელია ყველაზე ეფექტური რომ გამოსწორდეს და აღარ მოხდეს ხელახალი დანაშაულის ჩადენა? ამ შეკითხვაზე გამოკითხულთა 97 % თვლიდა, რომ დასჯა არ არის გამოსავალი, აუცილებელია ლიბერალური მიდგომა განხორციელდეს მათ მიმართ. საინტერესო იყო, მოსწავლეების მოსაზრებები პირის გამოსწორებასთან დაკავშირებით, ძირითადი აქცენტი საქმეში ფსიქოლოგის ჩართვაზე კეთდებოდა, მათი თქმით აუცილებელია ყოველი კონკრეტული საქმის დროს ჩადენილი დანაშაულის მიზეზების ძიება. არაერთი მათგანის მიერ იყო აღნიშნული, რომ არასრულწლოვნის გამოსწორება მიიღწევა მის საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტივობებში ჩართვაში, რაიმე ხელობის შესწავლაში, კეთილი საქმის კეთებაში.

ქვეყანაში არსებული პრაქტიკისა და უახლესი სტატისტიკის გაანალიზების საფუძველზე ნათლად დავინახეთ, თუ რამდენად ეფექტურია არასრულწლოვანთა მიმართ ლიბერალური მიდგომა მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკასთან შედარებით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ წლების განმავლობაში უფრო და უფრო იზრდება განრიდების საქმეთა რაოდენობა, 2015 წელს გაიზარდა მედიაციის როლიც ამ პროცესში, შსს-დან გამოთხოვილი სტატისტიკის მიხედვით კი ყოველწლიურად მცირდება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების რიცხვი.

საინტერესოა, უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით და შედარებითი ანალიზი, ნულოვანი ტოლერანტობის და ლიბერალური მიდგომის დროს ქვეყანაში არსებული კრიმინოლოგიური მდგომარეობის

შესახებ. 2010 წლიდან, მას შემდეგ რაც განრიდების ინსტიტუტი დაინერგა საქართველოში, იკლებს მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რიცხვი.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები, გამოკითხვები, საქართველოს უზენაესი სასამართლოდან, იუსტიციის სამინისტროდან, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი სტასტიკური მასალები, როგორც განრიდება-მედიაციის, ასევე არასრულწოვან მსჯავრდებულთა შესახებ წლების მიხედვით აშკარად მცხადყოფს ამ ინსტიტუტის ეფექტურობას.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული აქტები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის 20 თებერვალი

გაეროს ბავშვის უფლებების დაცვის კონვენცია;

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები);

გაეროს წესები თავისუფლებაადკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანის წესები)

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

„განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის #216 ბრძანება;

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი;

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2016 წლის თებერვლის მდგომარეობით

სსიპ დანაშულის პრევენციის ცენტრიდან გამოთხოვილი მასალები განრიდება-
მედიაციის შესახებ

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #51, ქ.თბილისი, 2014 წლის 11 ნოემბერი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურდიული დახმარების საკითხთა
მინისტრის ბრძანება #29, განრიდება ან/და განრიდებასა და მედიაციის შესახებ
ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა
და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, თბილისი, 2011 წლის 22 თებერვალი

სახელმძღვანელოები, ნაშრომები, სტატიები

გვენეტაძე ნ., კვაჭაძე მ., წიკლაური-ლამიხი ე., გაბუნია მ., არასრულწლოვანთა
მართლმსაჯულება:განრიდება და მედიაცია. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი
2012;

ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის
სახელმძღვანელო მითითებები. ქართული თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013;

შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდებასა და მედიაციის
სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები.
თბილისი 2013;

შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი:
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი,
პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები. თბილისი 2011;

*არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი სახის იძულებითი ღონისძიებების
შეფარდების პრობლემები*, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2011;

„არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია“ - საქართველოს პარლამენტის
მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭო, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბ 2003;

საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში,
UNICEF 2011;

მართლმსაჯულება ბავშვებისათვის. საუნივერსიტეტო კურსი. საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის. გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013;

ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, unicef 2013 ივლისი

შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ , თბილისი 2011;

Howard Zher. The little book of restorative justice. 2002;

Restorative Justice consortium. Standarts for restorative Justice. London.The national Council for Social Concern, 1998;

Handbook on Restorative Justice Programmes. Criminal justice handbook series. United Nations, New York 2006

ვებ-გვერდები

<http://ganrideba.ge/?action=page&pid=50&lang=geo>

უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10.10.2016

UNICEF-ის საიტი

<http://unicef.ge/publikaciebi/114>

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.10.2016

საქართველოს პროკურატურის საიტი

http://pog.gov.ge/geo/projects/current?info_id=86

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.10.2016

არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია (აღდგენითი მართლმსაჯულების
ეფექტურობა არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ
პასუხისმგებლობასთან შედარებით)

ეთერ ბურჯანაძე
მაგისტრანტი
კავკასიის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მიზანი - ნაშრომის მიზანია საკითხის სიღრმისეულად შესწავლის საფუძველზე წარმოვაჩინოთ აღდგენითი მართლმსაჯულების უპირატესობა მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკასთან შედარებით განრიდება- მედიაციის მაგალითზე, ასევე წარმოვაჩინოთ განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის დახვეწის ახლებური გზები.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა -ნაშრომში განხილულია განრიდება მედიაციის არსი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში განრიდების მარეგულირებელი ნორმები, ძირითადი საკითხები ამ ინსტიტუტის უფრო დახვეწის თვალსაზრისით.

დასკვნები - ჩატარებული კვლევების, გამოკითხვების, მოძიებული სტატისტიკური მონაცემებისა თუ თეორიული და პრაქტიკული მასალების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიბერალური მიდგომა ბევრად უფრო ეფექტურია განსაკუთრებით არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ, რაც შეეხება განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტს, 2010 წლიდან დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/ გავლენა - ნაშრომის სისუსტეს წარმოადგენს განრიდების საქმეების კონკრეტული მაგალითების სიმცირე, ვინაიდან კონკრეტული ქეისები წარმოადგენდა კონფიდენციალურ ინფორმაციას.

სიახლე/ღირებულება - სტატია წარმოადგენს ნოვაციას იმ თვალსაზრისით, რომ მასში განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში განრიდებისა და მედიაციის მარეგულირებელი ნორმები.

Diversion and Mediation Program for Juveniles (The effectiveness of Restorative Justice compared with Criminal Liability)

Eter Burjanadze

MA Student

Caucasus University

Abstract

Purpose –Paper aims to show the effectiveness of Restorative Justice, identifies the problems and shows us the ways to solve them. To research this thesis is important for the Juvenile justice, developing Diversion and Mediation program and prevention of juvenile delinquency.

Design/methodology/approach – Paper refers to the important subject- Diversion and Mediation Program for Juveniles. The program's main objective is to give a chance to a minor, and to promote the establishment of a law-abiding person. With the help of analyzing statistics, interviews, practical and theoretical issues we show how effective this program works nowadays.

Findings – In conclusion Diversion and Mediation program is an important step in the introduction of the Criminal Justice Policy Institute, a liberalisation, resulting in a possible criminal record, provided to reduce the number of convicts and prisoners, as well as the prosecutor and the court of the resources.

Research limitations/implications – The major weakness is that we didn't have opportunity to analyse more practical cases, because as it is about juveniles and is confidential information.

Originality/value – The paper is the first study about the articles of diversion and mediation program in “The code of Juvenile Justice”.

გამომცემელი: კავკასიის უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი,
ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

კრებული დაკაზადონდა და დაიბეჟდა გამომცემლობა “რეგტაიმი” - თან
თანამშრომლობით.

Published by Caucasus University, East European University, Friedrich-Ebert-
Stiftung.

The Collection is Printed and Published by the Collaboration with "Ragtime".

თბილისი, 2016